

178  
1965/2.




# სახვითა სამართალი

საქართველოს ეკონომიკური კომიტეტის გამომცემლობა

1965

6





# საბჭოთა სამართალი

## № 6

ნომერი—დეკემბერი

1965 წელი

ბაგოცემის XII

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო  
**ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი**

### ზინაარსი

პ. ბერძენიშვილი — განუხრელად დავიცვათ საბჭოთა კანონები . . . . .	3
ბ. ხარაზიშვილი — დამამტკიცებელი საბუთების ცნების საკითხისათვის საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში . . . . .	10
შ. ფაფიაშვილი — მექრთამეობის საქმეების გახსნის მეთოდის ზოგიერთი საკითხი . . . . .	22
მ. ნანიკიშვილი — ლოგია განაჩენში . . . . .	27

### კომენტარები ახალ კანონმდებლობაზე

ს. ჯაფარიძე — მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება საცხოვრებელ სახლზე . . . . .	32
ვ. მაისურაძე — სტუმრად მოძმე უნგრეთის იურისტებთან . . . . .	38

### 10 ნომერი — საბჭოთა მილიციის დღეა

მ. შურცხვალაძე, ვ. შეგრელიშვილი — 48 წელი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრების საღარაჯოზე . . . . .	40
ა. ხოჭოლავა — საურთიერთო პასუხისმგებლობა რუსულ ფეოდალურ სამართალში . . . . .	43
ოფიციალური მასალა . . . . .	53

9869

### მოწინავეთა პორტრეტები

ლ. ისაკაძე — საქმეს იხილავს დავით გიორგაძე . . . . .	61
--	----

### შცხეთები

რ. სმიტი — პოლიციელები მძარცველთა როლში . . . . .	64
გ. პროდემი — ჯადოქართა შემლოცველები . . . . .	67

### სასამართლოს დარბაზიდან

ზ. მესენგისერი — განაჩენი მოყვანილია სისრულეში . . . . .	71
--	----

### პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ვ. თამარაშვილი — ნაშრომი გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს სასამართლო პროცესის შესახებ . . . . .	73
ინფორმაცია . . . . .	76
ახალი წიგნები . . . . .	90
ბიბლიოგრაფია . . . . .	98
ნეკროლოგი . . . . .	96







## СОДЕРЖАНИЕ

П. Бердзенишвили — Неуклонно соблюдать советские законы . . . . .	3
Б. Харაიიშვილი — К вопросу о понятии доказательства в советском уголовном процессе . . . . .	10
Ш. Папиашვილი — Некоторые вопросы методики раскрытия дел о взыскании точности . . . . .	22
М. Наникишვილი — Логика в приговоре . . . . .	27

### КОММЕНТАРИИ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛСТВУ

С. Джапаридзе — Право личной собственности граждан на жилой дом . . . . .	32
В. Майсурадзе — В гостях у юристов братской Венгрии . . . . .	38

### 10 НОЯБРЯ — ДЕНЬ СОВЕТСКОЙ МИЛИЦИИ

М. Мурцхვალაძე, В. Мегрелишვილი — 48 лет на страже завоеваний Октября . . . . .	40
А. Хочолава — Круговая ответственность в русском феодальном праве . . . . .	43
Официальный материал . . . . .	53

### ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВЫХ

Л. Исакадзе — Дело рассматривает Давид Гиоргадзе . . . . .	61
--	----

### ЗА РУБЕЖОМ

Р. Смит — Полицейские в роли грабителей . . . . .	64
Г. Продел — Заклинатели ведьм . . . . .	67

### ИЗ ЗАЛА СУДА

З. Месенгисери — Приговор приведен в исполнение . . . . .	71
---	----

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. Тамарашვილი — Труд о судебном процессе Грузии позднего средневековья . . . . .	73
Информация . . . . .	76
Новые книги . . . . .	90
Библиография . . . . .	93
Некролог . . . . .	96

შვკ. № 151  
ტირაჟი 5000  
შპ 02954

**სარედაქციო კოლეგია**  
თ. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,  
პ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, გ. ინწკირველი,  
მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი,  
ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09-62

გაღებულა წარმოებას 12/1-66 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/III-66 წ. ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14  
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.



## განუხილად დავისვამთ საბჭოთა კანონები

პ. ბარძენიშვილი,  
საქართველოს სსრ პროკურორი

ჩვენს ქვეყანაში თითქმის არ მოიპოვება ადამიანი, რომელსაც ყოველდღიურად არ ეხმაროს გამოთქმა „კანონი“, „ეს უკანონოა“, „კანონი ამის საშუალებას არ იძლევა“, „კანონის ძალით“ და სხვა. მართლაც კანონი დიდ როლს ასრულებს სახელმწიფოსა და ხალხის ცხოვრებაში.

კაცობრიობის ისტორიაში პირველად სოციალისტური სახელმწიფოს კანონები გამოხატავენ მთელი ხალხის ნებასურვილს, ემსახურებიან საბჭოთა ადამიანების ინტერესებს. ჩვენი კანონების საშუალებით ხდება სოციალისტური საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარება, მათი მოწესრიგება, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის შემქმნელი ვ. ი. ლენინი სოციალისტური კანონიერების განუხრელად გატარებაში ხედავდა საზოგადოების გარდაქმნის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას და მოითხოვდა საბჭოთა კანონების დაუყოვნებლივ და უთუოდ შესრულებას ყველა თანამდებობის პირისაგან.

ვ. ი. ლენინი სასტიკად ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც არღვევდა საბჭოთა კანონს, მხოლოდ იმის გამო, რომ პარტიის წევრი იყო ან პასუხსაგები თანამდებობა ეჭირათ. იგი 1922 წლის 18 მარტისათვის პოლიტიბუროს წევრებისადმი დაწერილ ბარათში მოითხოვდა:

„მოსკოვის კომიტეტი (და ამხ. ზელინსკი მათ შორის) უკვე პირველი შემთხვევა რრდია, როცა ფაქტიურად შემწყნარებლობას იჩენენ დამნაშავე კომუნისტთა მიმართ, რომლებიც ჩამოხრჩობის ღირსნი არიან — ეს „შეცდომით“ ხდება, მაგრამ ამ „შეცდომის“ საფრთხე გიგანტურია.

წინადადება შემომავკს:

1. ამხ. დივილკოვსკის წინადადება მივიღოთ.
2. გამოვუცხადოთ სასტიკი საყვედური მოსკოვის კომიტეტს კომუნისტების მიმართ შემწყნარებლობისათვის (შემწყნარებლობის სახეობა — განსაკუთრებული კომისია).
3. დავუდასტუროთ ყველა საგუბერნიო კომიტეტს, რომ ოდნავი ცდისათვის — „გავლენა მოახდინონ“ სასამართლოებზე კომუნისტთა პასუხისმგებლობის „შემსუბუქების“ აზრით, ცენტრალური კომიტეტი გარიცხავს პარტიიდან.
4. ცირკულარულად ვაცნობოთ იუსტიციის სახალხო კომისარიატს (პირი საგუბერნიო პარტიულ კომიტეტებს), რომ სასამართლოებმა უფრო მკაცრად უნდა დასაჯონ კომუნისტები, ვიდრე არა კომუნისტები. ამის შეუსრულებლობისათვის სახალხო მოსამართლენი და იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრები უნდა გავაგდოთ სამსახურიდან“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> გაზეთი კომუნისტი, 1962 წ., 21 ნოემბერი, № 273.





ვ. ი. ლენინის ამ ბარათის შინაარსიდან ნათელია თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდა იგი საბჭოთა კანონის ცხოვრებაში ზუსტად გატარებას, რა სიმკაცრეს იჩენდა იმ პირთა მიმართ, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ თანამდებობას და პატივს არ სცემდნენ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს კანონებს

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ქვეყანაში სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე მოვალეა იდგეს ყველა მოქალაქე, ყველა ორგანიზაცია და დაწესებულება, განსაკუთრებით კი სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკები. პროკურორი პასუხს უნდა აგებდეს იმისათვის, რომ ხელისუფლების არც ერთი გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგებოდეს კანონს.

საბჭოთა სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების სადარაჯოზე ფხიზლად დგანან ადმინისტრაციული ორგანოები.

უკანასკნელ პერიოდში ადმინისტრაციული ორგანოები, კერძოდ პროკურატურის მუშაკები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ გამოვლინებულ იქნას და მკაცრად დასჯილნი განსაკუთრებით საშიში დამნაშავენი, რეციდივისტები, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლები, მექრთამეები, მკვლელები, ხულიგნები.

საქართველოს სსრ პროკურატურამ უკანასკნელ ხანებში გამოავლინა არაერთი შემთხვევა, როცა ადგილი ჰქონდა სამშენებლო მასალების დიდი რაოდენობით გატაცება-განიავებას.

ასეთი კატეგორიის საქმეებზე სასამართლო — პროკურატურის ორგანოების მუშაკები როდი კმაყოფილდებიან მხოლოდ მატერიალური ფასეულობის დანაკლისის დადგენით. მთელი ყურადღება იქითაა მიმართული, რომ დადგენილ იქნას სოციალისტური ქონების გატაცების ხელშემწყობი მიზეზები, დაინშოს ის ხერხელები, რომლის საშუალებითაც ხდება სოციალისტური ქონების გატაცება.

სოციალისტური ქონების გატაცება — განიავება ხდება სხვადასხვა ხერხებითა და ფორმებით — ზოგჯერ თვით ნედლეულის გატაცებით, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუარესებით და სხვა.

საკმაოდ გავრცელებული სოციალისტური ქონების მტაცებლობა სამშენებლო ორგანიზაციებში. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მტაცებლობა სამშენებლო ორგანიზაციებში ხდება იმ პირების მიერ, ვის განკარგულებაშიაც არის სამშენებლო მასალა, ვისთვისაც ხელმისაწვდომია იოლად დაეფლოს მას.

სამშენებლო ორგანიზაციებში საშენ მასალათა მტაცებლობა ხდება მატერიალურ ფასეულობათა ცუდი აღრიცხვით. სუსტია კონტროლი მისი სათანადოდ შენახვისათვის. ხშირად შევხვდებით, რომ ამა თუ იმ სამშენებლო მოედანზე ხე-ტყე, ცემენტი, აგური და სხვა სამშენებლო მასალები ყრია ღია ცის ქვეშ. მის შესანახად და დასაცავად საამისოდ გამოყოფილი პირები ნაკლებად ზრუნავენ. გარდა ამისა დეფიციტური სამშენებლო მასალის აღრიცხვა, მისი გაცემისადმი კონტროლი სრულიად არაა საკმარისი. ამის შედეგად ხდება ძვირფასი სამშენებლო მასალის გატაცება და განიავება.

ასე მაგალითად: ენგურჰესის მშენებლობაზე როგორც კი შეიქმნა მშენებლობის სამმართველო, მის სახელზე დიდი რაოდენობით იწყო მოსვლა სხვადასხვა სამშენებლო მასალებმა, როგორც არის: ცემენტი, დაუხერხავი და დახერხილი მასალა, რკინა-ბეტონის ნაკეთობანი, მსხვილპანელიანი სახლების დეტალები, რკინის კონსტრუქციები ელექტროხაზებისათვის და სხვა.

ამ სამშენებლო სამმართველოს ბაზის უფროსად გარკვეულ დროს (1961



წ. 15 აპრილიდან 1962 წ. 16 ივნისამდე) მუშაობდა ვ. კვერნაძე, რომელიც შემდეგ შესცვალა ლ. კვარაცხელიამ (მუშაობდა 1963 წლის სექტემბრამდე). როგორც ამ პირებმა, ისე საწყობის გამგეებმა ი. სვირაძემ, დ. კიკაღიშვილმა და სხვებმა გამოიჩინეს გულგრილი დამოკიდებულება თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობისადმი. ამის გამო აქ ადგილი ქონდა სოციალისტური ქონების გაფლანგვა-გატაცებას. დამნაშავენი სათანადოდ იქნენ დასჯილნი საბჭოთა კანონის შესაბამისად.

სოციალისტური საკუთრების დიდი რაოდენობით გატაცებას ადგილი ქონდა უკანასკნელ დროს აგრეთვე მიაკოვსკის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატთან არსებულ სარემონტო სამშენებლო კანტორის მუშაკების მიერ. ბოროტმოქმედთა ჯგუფის მონაწილეები ი. დევიძე, დ. ღამბაშიძე, ე. ბრეგვაძე და სხვები წლების განმავლობაში სხვადასხვა კომბინაციებით სისტემატურად ითვისებდნენ სახელმწიფო თანხებს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით. ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ მეტწილ სამშენებლო ორგანიზაციებში კონტროლი საშენი მასალების გაცემაზე არ იყო სათანადო დონეზე.

საბჭოთა კანონი საკოლმეურნეო საკუთრებას საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა პერიოდში ათანაბრებს სახელმწიფო სოციალისტურ საკუთრებასთან. საკოლმეურნეო ქონების ხელმყოფნი ისევე ისჯებიან, როგორც სახელმწიფო ქონების გამტაცებლები. რესპუბლიკის პროკურატურის საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ საბჭოთა კანონი არ ირღვეოდეს სოფლად, კოლმეურნეობებში.

საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების მიერ მიმდინარე წელს შესწავლილ იქნა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში საბჭოთა კანონის, არტელის წესდების მოთხოვნათა ცხოვრებაში გატარების მდგომარეობა. შემოწმებით გამოირკვა, რომ რესპუბლიკის ცალკეულ კოლმეურნეობებში ადგილი აქვს საკოლმეურნეო ქონების გატაცება — განიავების და მითვისების ფაქტებს, ირღვევა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დებიტორული დავალიანების თანხა ერთგვარად შემცირებულია, 1965 წლის 1-ლ. იანვრისათვის იგი შეადგენდა 23.079 ათას მანეთს. მართალია, რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში დებიტორული დავალიანება შემცირდა, მაგრამ არიან რაიონები, სადაც ეს დავალიანება გაიზარდა. (ხაშურის, წყალტუბოს, მიაკოვსკის, ცხაკაიას, ზობისა და ზოგიერთი სხვა რაიონები).

ჯერ კიდევ ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც საკოლმეურნეო საკუთრების გატაცებაში დამნაშავე პირის მიმართ საჭირო ზომებს დროზე არ იღებენ. ასე მაგალითად, ზნაურის რაიონის სოფელ კორისის კოლმეურნეობაში 1964 წლის ივნისიდან კოლმეურნე ა. ჩხეზვაზე ირიცხებოდა 8 ათასი მანეთი, მაგრამ მის მიმართ 1965 წლის 30 იანვრამდე არ იყო რაიმე ზომები მიღებული, ჩხეზვას მიმართ რაიონის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე.

საკოლმეურნეო დოვლათის ზრდისათვის ყველაზე მეტ დანტერესებას უნდა იჩენდეს, როგორც წესი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე. რესპუბლიკაში ათეულობით არიან კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, რომლებიც ამრავლებენ საკოლმეურნეო ქონებას, ყველა ზომებს ღებულობენ კოლმეურნეობათა შემოსავლის გაზრდისათვის, კოლმეურნეობათა ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯო-





ბესებისათვის. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთი თავმჯდომარეებიც, რომლებიც თავის ინტერესებს პირველ რიგში აყენებენ; ხშირ შემთხვევებში თვითონ არიან მოვალეები კოლმეურნეობის მიმართ. ასე მაგალითად, ჯავის რაიონის სოფ. კემულტის კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარე ი. ბიაზრეგზე ათი წლის განმავლობაში ირიცხებოდა 536 მანეთი. მისი ამოღება მანამდე არ მოხერხდა, სანამ რაიონის პროკურორმა სახალხო სასამართლოში არ აღძრა სამოქალაქო სარჩელი.

წულუკიძის რაიონის სოფ. კუხის კოლმეურნეობის გამგეობის 1964 წლის 29 იანვრის დადგენილებით ზოტეჭნიკოსი ს. ჩიხლაძე მოიხსნა დაკავებული თანამდებობიდან, მას აეკრძალა ზოტეჭნიკოსად მუშაობა, პირუტყვის შეძენაზე ყალბი აქტების შედგენისა და ამის შედეგად 180 მან. მითვისების ცდისათვის.

გურჯაანის რაიონის სოფ. ქოდალოს ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის საწყობის გამგეს ა. ქიტოშვილს გასული წლის დეკემბერში აღმოაჩნდა 2.220 კილოგრამი ხორბლის და 200 კგ შაბიამანის დანაკლისი, რაც გამგეობამ დააფარვინა. საკვირველია, რომ ქიტოშვილი მაინც დატოვეს იმავე თანამდებობაზე. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა პირი კოლმეურნეობას საგრძნობ ზიანს აყენებს, მის მიმართ კი მხოლოდ დისციპლინარული სასჯელის დადებით კმაყოფილდებიან. ასე მოიქცნენ მაგალითად, თელავის რაიონის სოფ. რუისპირის კოლმეურნეობაში, სადაც გასულ წელს განთავსებულ იქნა საკოლმეურნეო პირუტყვისათვის დამზადებული 80 ტონა თივა.

ხშირად კოლმეურნეობებში ადგილი აქვს კოლმეურნეთა უსაფუძვლოდ დაჯარიმების ფაქტებს. ასე მაგალითად, წალკის რაიონის სოფ. ნარდევანის წევრთა საერთო კრების მიერ 1964 წლის 14 ივლისის დადგენილებით 85 კოლმეურნე დააჯარიმეს თითოეული 10-10 მანეთით სამუშაოზე გამოუსვლელობისათვის. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭანჭათის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ 1964 წლის 20 მარტის დადგენილებით 13—13 მანეთით დააჯარიმა კოლმეურნეები, რომლებმაც სოფლის მეურნეობის ნამატი პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვაზე უარი განაცხადეს.

კიდევ უფრო შორს წავიდა ხულოს რაიონის სოფელ ჩაის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა. მათ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების 1964 წლის 26 მაისის დადგენილებით 120—120 მანეთით დააჯარიმეს კოლმეურნეები შ. აბულაძე და თ. მახარაძე იმისათვის, რომ მათი პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვი ძოვდა საკოლმეურნეო საძოვრებზე; გარდა ამისა, ამავე კოლმეურნეობის 5 წევრს ამავე მიზეზით გადაახდევინეს 200 მანეთი.

კოლმეურნეობებში კანონის დარღვევის სხვა ფაქტების მოყვანაც შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ თუ როგორ უპასუხისმგებლად ზღუდავენ კოლმეურნეთა უფლებას ესა თუ ის პირები. ჩვენ კანონი მოწოდებულია კოლმეურნეთა ყოველგვარი უკანონო შეზღუდვის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ზემოაღსახელებული უკანონო დადგენილებანი რაიონების პროკურორების გაპროტესტების შედეგად გაუქმებულია, თუმცა საქმე ამით მთლიანად არ დამთავრებულა. მოსალოდნელია მომავალშიც ჰქონდეს ადგილი კოლმეურნეობებში საბჭოთა კანონის დარღვევის შემთხვევებს, რასაც რაიონის პროკურორებმა დროულად უნდა მიაქციონ ყურადღება.



თანამედროვე ეტაპზე კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდას მაღალი იდეური სულისკვეთებით. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ ახალგაზრდობის ნიჭი, მისწრაფება ყოველმხრივ იყოს გაშლილი. საბჭოთა ახალგაზრდობას ღირსეული წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობაში. მთელი მსოფლიო განცვიფრებულია საბჭოთა ახალგაზრდობის საგმირო საქმეებით.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში ისეთი სახის დანაშაულობათა დიდი ნაწილი, როგორცაა ქურდობა, გაუპატიურება, ხულიგნობა, დაჭრა — მკვლელობა, ჩადენილია ახალგაზრდების მიერ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც დანაშაულს ჩადიან საკმაო რაოდენობით არიან არასრულწლოვანებიც.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული უმთავრესად ქონებრივი ხასიათისა. ერთ-ერთ არასრულწლოვანთა შრომის კოლონიის შემოწმების მომენტში განმეორებით ჩადენილ დანაშაულისათვის სასჯელს იხდიდა 13 არასრულწლოვანი. მათგან ათ არასრულწლოვანს განმეორებით დანაშაული ჩადენილი ჰქონდა ქონებრივ სფეროში (ქურდობა-ძარცვა).

არასრულწლოვანების მიერ დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი და უმთავრესი მიზეზია ოჯახში ცუდი აღზრდის პირობები. ჩვენს მიერ შესწავლილი 29 არასრულწლოვანიდან, რომლებიც განმეორებით ჩადენილ დანაშაულისათვის მოხვდნენ არასრულწლოვანთა შრომისა და აღმზრდელობით კოლონიაში, თითქმის არც ერთს არ გააჩნია ოჯახში ცხოვრებისა და აღზრდის ნორმალური პირობები.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულობას ხელს უწყობს ის ნაკლოვანებები და დაუდევრობანი, რომელიც აქვთ თავიანთ მუშაობაში საამისოდ განკუთვნილ საბჭოთა ორგანოებს. ამ ორგანოების მუშაეები იჩენენ უსულგულობასა და ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას, ხშირად არღვევენ არასრულწლოვანთა მიმართ არსებულ საბჭოთა შრომის კანონმდებლობას. ამის გამო მოზარდებს უძნელდებათ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ჩაწერა, პასპორტის მიღება, რაც თავის მხრივ ხელოვნურ დაბრკოლებას ქმნის სამუშაოზე მოწყობისათვის. აი, ერთი მაგალითი: აღსაზრდელმა ჩ. ოსმანოვმა განმარტა, რომ „როდესაც სასჯელი მოვიხადე ქურდობისათვის და გამოვედი კოლონიიდან, მინდოდა დამეწყო მუშაობა, დავმდგარიყავი ცხოვრების სწორ გზაზე, მაგრამ ორჯონიკიძის რაიონის მილიცია გადამეღობა, არ ჩამწერა საცხოვრებელ ადგილას, არ მომცა პასპორტი, რის გამოც მივმართე ორჯონიკიძის რაიონის კომკავშირის რაიკომის მდივანს, მაგრამ არავინ ყურადღება არ მომაქცია. დედაჩემს კი ჩემს გარდა 9 შვილი ყავს და მუშაობს დამლაგებლად. იძულებული ვაგხდი ქურდობისათვის მიმეყო ხელი. არც ამჟამად გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა არასრულწლოვანთა სამუშაოზე მოწყობის საკითხში. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ იმ არასრულწლოვანთაგან, რომლებიც წელს განთავისუფლდნენ ბავშვთა კოლონიებიდან ზოგიერთი არც მუშაობს და არც სწავლობს; ოთხმა მოზარდმა განმეორებით ჩაიდინა დანაშაული.

არასრულწლოვანები — ბებიავილი, ჯაჯარიანი, ძაძამიძე, საფანოვი, ლანტევი და სხვები არ იქნენ მიღებული იმ ტექნიკური სასწავლებლების დირექტორების მიერ, სადაც ისინი სწავლობდნენ დანაშაულის ჩადენამდე. ასევე სა-



მუშაოზე მიღებაზე უარი განუცხადეს ბავშვთა კოლონიიდან გათავისუფლებულ არასრულწლოვანებს: ზარანდიას, ტრეტიაკოვას, ავალიანს, ძვიძბას, ლიუტიკოვას და სხვებს სოხუმის № 1 და № 2 ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსებმა, ბიჭვინთის თევზის ქარხნისა და ავტოსატრანსპორტო კანტორის დირექტორებმა. აი, ასე უგულვებელყოფს ზოგიერთი წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელი საბჭოთა კანონს. პროკურორების პირდაპირი მოვალეობა არ დაუშვას უპრინციპო, შემრიგებლური დამოკიდებულება ასეთი მუშაკების მიმართ, კანონის ყოველგვარი დარღვევა, ძირშივე აღკვეთა ყველა პროკურორისა და მოსამართლის წმინდა პარტიული ვალი და სახელმწიფო მოვალეობა.

საბჭოთა კანონები მიმართულია იქითკენ, რომ გაძლიერდეს იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც ჩადიან საშიშ დანაშაულს. ასეთი ბუნება გამოძინარეობს კომუნისტური პარტიის პროგრამის მოთხოვნილებებიდან. არ შეიძლება აღზრდის უბრალო ზემოქმედების გამოყენება იმ პირთა მიმართ, ვინც იდენს საზოგადოებისათვის საშიშ დანაშაულს. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ხულიგნობა. ხულიგნობა შეიძლება ითქვას თესლია, რომლიდანაც აღმოცენდება ისეთი დანაშაულობანი, როგორიცაა: მკვლელობა, სხეულის დაზიანება. ბევრჯერ სქესობრივი ხასიათის დანაშაულს წინ უძღვის ხულიგნობა, რასაც უმეტესად ადგილი აქვს სიმთვრალის დროს.


შემთხვევითი არ არის, რომ ამ ანტისაზოგადოებრივ მოვლენას — სიმთვრალეს საყოველთაო-სახალხო ომი აქვს გამოცხადებული, მაგრამ მის ფრონტზე ჯერ-ჯერობით გააფთრებულ ბრძოლას ვერ ვხედავთ: ჩვენს რესპუბლიკაში საკმაოდ გავრცელებულია იმ დანაშაულობათა რიცხვი, რომელიც სიმთვრალეშია ჩადენილი. ყველასათვის ცნობილია სტუდენტ ადემიშვილის მკვლელობა; ან კიდევ ისეთი სამარცხვინო ფაქტი, რომელიც მსჯავრდებულებმა ჯ. ბერაძემ და ნ. აბაშმაძემ ჩაიდინეს ჩვენი რესპუბლიკის სტუმარი ქალების მიმართ. ზედმეტი არ იქნება რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ ამ ფაქტზე.

ქართველი ხალხი ისტორიულადაა ცნობილი თავის სტუმართმოყვარეობით. იგი უმაღლეს წერტილამდე აღწევდა, როცა საქართველოს სტუმარი იყო ქალი. აი რას წერდა ქართველი სტუმართმოყვარეობის შესახებ ცნობილი რუსი მსახიობი ქალი მ. სავინა, რომელიც საქართველოში იყო რამდენიმე ათეული წლის წინათ: „არ დამავიწყდება თბილისი და მისი მკვიდრნი, მე ვიყავი ბედნიერი... რა შესანიშნავი მხარეა, როგორი საყვარელი... თბილი... ჭკვიანი ხალხია, მე არავინ არ მეარშიყებოდა, აღტაცებული იყვნენ მსახიობით და პატივს მცემდნენ როგორც ქალს“.

კიდევ აი რას წერდა ჩვენზე რამდენიმე წლის წინ ჩეხი ტურისტი თ. ბერნარდინოვა: „ქართველი ხალხი ყველაფერს რასაც აკეთებს, აკეთებს კეთილშობილი მოხდენილობით — იქნება ეს ჩაის კრეფა, მთის ჯოგში ცხენით სიარული, ეროვნული ცეკვა თუ სატრფიალო პაემანი“. სულ სხვაგვარად ესმოდათ მსჯავრდებულ ჯ. ბერაძესა და ნ. აბაშმაძეს ქართული სტუმართმოყვარეობა.

გასული წლის 20 იანვარს ტურბაზის ერთ-ერთ დარბაზში სარატოვიდან ჩამოსული ქალიშვილები რ. ბაზანოვა და ვ. პეროვა ესწრებოდნენ ცეკვას. ნ. აბაშმაძემ რამდენჯერმე იცეკვა რ. ბაზანოვასთან, ცეკვის დროს ისინი შეთანხმდნენ, რომ მეორე დღეს ერთად დაათვალიერებდნენ თბილისს. ისინი შეხვდნენ ერთმანეთს 21 იანვარს 10 საათზე. რ. ბაზანოვამ თან მოიყვანა თავისი მეგობარი ქალი ვ. პეროვა. ჯ. ბერაძემ და ნ. აბაშმაძემ ქალიშვილები მიიწვიეს





თავის ბინაზე და მოინდომეს მათი გაუპატიურება. საქმე იქამდე მივიდა, რომ ვ. პეროვა მოძალადისათვის თავი რომ დაედწია გადახტა მეოთხე სართულიდან და იქვე გარდაიცვალა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ნათქვამია, რომ აუცილებელია მკაცრად დავსაჯოთ ისინი, რომლებიც ჩადიან დანაშაულს და არღვევენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს და არ სურთ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას ეწეოდნენ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ბევრია ისეთი ადამიანები, კერძოდ თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში, რომლებიც არ ეწევიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, მუქთახორობენ, ცხოვრობენ მშობლების კისერზე ან კიდევ სხვადასხვა საეჭვო წყაროთი. ისინი არათუ ქმნიან რაიმეს საზოგადოებისათვის, პირიქით, ხელს უშლიან მშრომელებს ნორმალურად ცხოვრებასა და შრომაში. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოებს ხელთა აქვთ საშუალებანი ამ მუქთახორობის წინააღმდეგ, ბრძოლა მათ მიმართ არასათანადოდ წარმოებს.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ყველა მუშაკი ყოველდღიურად აუმჯობესებს თავის საქმიანობას, სრულყოფს მუშაობის ხერხებს, საშუალებებს, რაც იმის საწინდარია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში უახლოეს დროში დანაშაულობათა რიცხვი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი და საბოლოოდ ლიკვიდირებული.



# დაამატებული საბუთების ცნების საკითხისათვის საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში

პროფ. ბ. ხარაზიშვილი.

ამა თუ იმ საზოგადოების სასამართლო წარმოების ბუნების შესწავლისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს დამამტკიცებელი საბუთების შესახებ მოძღვრების თავისებურებების გაგებას. მართლაც, სისხლის სამართლის პროცესის ერთი ისტორიული ტიპი მეორისაგან, უპირველეს ყოვლისა, იმით განსხვავდებოდა, რომ კლასობრივი ინტერესების შესაბამისად განსხვავებული იყო მათი დამოკიდებულება დამამტკიცებელ საბუთებთან. დამამტკიცებელი საბუთი სხვანაირად ესმოდათ საბრალდებო პროცესის ხანაში, ვიდრე შევიბრებიანთა გაბატონდებოდა და მისი თავისებური გაგება დამკვიდრდა შერეული პროცესის შემოღებიდან...

სისხლის სამართლის პროცესის მონათმფლობელურ, ფეოდალურ თუ კაპიტალისტურ ტიპების საერთო დახასიათებისათვის და მათი ანტიმეცნიერული თავისებების გამოვლენისათვისაც არსებითი მნიშვნელობა აქვს დამამტკიცებელ საბუთებზე მოძღვრების ისტორიული ასპექტების გათვალისწინებას.

სისხლის სამართლის პროცესის ისტორია ეს არის აგრეთვე დამამტკიცებელი საბუთის შესახებ სწავლების ისტორია.

ისე როგორც მეცნიერების სხვა დარგები, სისხლის სამართლის პროცესი საერთოდ, და დამამტკიცებელი საბუთების შესახებ მოძღვრება, კერძოდ, მოყოლებული მონათმფლობელური ურთიერთობიდან კაპიტალისტურის ჩათვლით წარმოიშვა და განვითარდა მოვლენების იდეალისტური, მეტაფიზიკური შემეცნების საწყისებზე. ჩვენი ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს თემის ამ ასპექტების გაშუქება. განვიზრახეთ გავარკვიოთ დამამტკიცებელი საბუთის ცნების ზოგიერთი საკითხი მხოლოდ საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის თვალსაზრისით.

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი და ცენტრალური პრობლემაა დამამტკიცებელი საბუთის შესახებ მოძღვრება. დამამტკიცებელი საბუთების საბჭოთა თეორია ემყარება მარქსისტულ გნოსეოლოგიას. მეცნიერული თვალსაზრისით დამამტკიცებელი საბუთი ჭეშმარიტების დადგენის საშუალებაა. იქ, სადაც მოვლენის ახსნა ან დადგენა სწადათ, მიმართვენ მტკიცებულებებსაც.

სისხლის სამართლის პროცესი განსაკუთრებული ურთიერთობაა და მასში გამოყენებული მტკიცებულებანიც პროცესუალურად განსხვავებულია მეცნიერების სხვა დარგებში (ისტორია, არქეოლოგია) გამოყენებული საბუთებისაგან. სისხლის სამართლის პროცესუალური ფორმის თვალსაზრისით დამამტკიცებელი საბუთები არ უტოლდება აგრეთვე ადამიანის ყოველდღიურ პრაქტიკულ ცხოვრებაში ამა თუ იმ გარემოების დასადასტურებლად გამოსაყენებელ ფაქტებს. სისხლის სამართლის პროცესში დამამტკიცებელ საბუთს მტკიცე სპეციფიკური აზრი და მნიშვნელობა აქვს.

დამამტკიცებელი საბუთების სრული განსაზღვრება საკანონმდებლო გზით ჩამოყალიბდა. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართ-



ლის სასამართლო წარმოების საფუძვლების მე-16 მუხლის შესაბამისად „სისხლის სამართლის საქმეებში დამამტკიცებელი საბუთებია ყოველი ფაქტიური მონაცემი, რომელთა საფუძველზე კანონით განსაზღვრული წესით მოკვლევის ორგანოები, გამოძიებელი და სასამართლო აღგენენ საზოგადოებრივად საშიში ქმედობის არსებობას ან არ არსებობას, ამ ქმედობის ჩამდენი პირის ბრალეულობას და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაჭრისათვის.

ეს მონაცემები დადგინდება: მოწმის ჩვენებით, დაზარალებულის ჩვენებით, ეჭვიანილის ჩვენებით, ბრალდებულის ჩვენებით, ექსპერტის დასკვნით, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთით, საგამოძიებლო და სასამართლო მოქმედებათა ოქმებით და სხვა დოკუმენტებით“.

მაშასადამე, როგორც ჩანს, კანონმდებელი დამამტკიცებელ საბუთებად მიიჩნევს მხოლოდ განსაკუთრებული წესით დადგენილ ფაქტობრივ მონაცემებს. ამიტომ უკუგდებული იქნა ის წესი, რომლის მიხედვითაც დამამტკიცებელ საბუთებად სინამდვილეში ცხადდებოდა თვით წყაროები ფაქტობრივი მონაცემების შესახებ. დამამტკიცებელი საბუთების ცნების საკითხში ასეთი შკვეთრი გარდატეხა მოხდა 1958 წელს, როცა მიღებული იქნა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლები, თუმცა თეორიაში ადრეც იყო მსჯელობა ამის შესახებ.

საფუძვლების მე-16 მუხლში მოცემულ დამამტკიცებელი საბუთების ფორმულის განმარტებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია სამი ძირითადი საკითხის გარკვევა. სახელდობრ:

1) რა იგულისხმება ფაქტობრივ მონაცემების შინაარსში, 2) რა ფარგლებში უნდა დადგინდეს ეს ფაქტობრივი მონაცემები, და ბოლოს 3) რა საშუალებები არსებობენ ფაქტობრივი მონაცემების დადგენისათვის.

ფაქტობრივი მონაცემები და ფაქტები იდენტური ცნებებია. იქ, სადაც ლაპარაკია ფაქტობრივ მონაცემებზე, იგულისხმება თვით ფაქტები და პირიქით. მართლაც წარმოუდგენელია ფაქტობრივი მონაცემების სხვაგვარი ახსნა. თვითონ ფაქტებიც გარემოში რაიმე მონაცემების მიხედვით ვლინდებიან; ამ მონაცემებში ჩანს ერთი ფაქტის მეორესთან დაპირისპირების შესაძლებლობა, მათი განსხვავებისათვის განსაკუთრებული ნიშანთვისებების გამოყოფის აუცილებლობა. ფაქტი უფრო ზოგადი ხასიათის ცნებაა, მაშინ როდესაც ფაქტობრივი მონაცემი ფაქტის რომელიმე კონკრეტული გამოსახულებაა, მისი კერძო სახეა.

სისხლის სამართლის პროცესში დამამტკიცებელი საბუთების შესახებ რომ ვლაპარაკობთ მხედველობაში გვაქვს სწორედ რომელიმე კონკრეტული ფაქტი, რომელიც თავისი გამოვლინების ფორმით ასახავს რეალურ სინამდვილეს, შეიცავს ობიექტურ ნიშან-თვისებებს.

სისხლის სამართლის პროცესში დამამტკიცებელი საბუთის საკითხი დგება მხოლოდ მას შემდეგ, როცა აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ამავე მომენტიდან იწყება მტკიცების პროცესი, რომელიც გრძელდება გამოძიების მანძილზე (როგორც წინასწარი, ისე სასამართლო გამოძიების სტადიაზე) და სწორედ მტკიცების პროცესია იმის ნათელი დადასტურება, რომ ფაქტობრივ მონაცემებს გამოძიების ყველა საფეხურზე, მხოლოდ გარკვეულ პირობებში მიიჩნევენ დამამტკიცებელ საბუთად. მართლაც, მტკიცების პროცესი ხომ—განუყოფელი პროცესია. დამამტკიცებელი საბუთების აღმოჩენა, მათი პროცესუ-





ლური დამაგრება, შემოწმება და შეფასება — ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული საფეხურებია, ფაქტობრივი მონაცემები უამრავია ამ საფეხურებზე. მათ არ შეუძლიათ გამოტოვონ რომელიმე მათგანი. იმისათვის, რომ ფაქტობრივი მონაცემი იქცეს დამამტკიცებელ საბუთად, ცხადია, იგი უნდა სახეზე იყოს, ოღონდ მარტო ეს არ კმარა. საჭიროა იგი დამაგრდეს განსაკუთრებული პროცესუალური წესის მიხედვით.

რამდენადაც მტკიცების პროცესი გრძელდება გამოძიების მთელ მახდილზე, მასთან განუწყვეტლად არის დაკავშირებული ფაქტების დამამტკიცებელ საბუთებად მიჩნევისა თუ არ მიჩნევის მომენტებიც. არც ერთი ფაქტობრივი მონაცემი მტკიცებულებითი მნიშვნელობის თვალსაზრისით არ გახიზნდება უცვლელად. გამოძიების საფეხურებზე ყოველთვის არის მოსალოდნელი, რომ რომელიმე ფაქტი დაკარგავს საქმისათვის პირვანდელ მნიშვნელობას, მისი სხვანაირად გაგების რეალური შესაძლებლობის შექმნისა თუ სხვა მიზეზით, ზოგიერთი ფაქტი კი შეიძლება სრულიად ამოვარდეს მტკიცებულებათა ორბიტიდან და ა. შ.

მსგავს მოვლენებთან სწორედ იმიტომ ვვაქვს საქმე, რომ მტკიცების პროცესი, როგორც აღვნიშნეთ, ეს განუწყვეტელი და შემოქმედებითი პროცესია — ფაქტობრივი მონაცემების, როგორც დამამტკიცებელი საბუთების შეფასება არ მთავრდება იქამდე, სანამ არსებითად არ გადაწყდება საქმის ბედი.

მას შემდეგ, რაც დამამტკიცებელი საბუთის ცნება საკანონმდებლო გზით ჩამოყალიბდა, სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში კვლავ თავი იჩინა თვით დამამტკიცებელი საბუთის წყაროს გაგებით დაინტერესებამაც. სახელდობრ, წამოიჭრა საკითხი დამამტკიცებელი საბუთის ორგვარი განმარტების მიზანშეწონილობის შესახებ.

როგორც ცნობილია, ვ. დ. არსენევი და სხვ. ამჟამადაც თვლიან სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა ორგვარ გაგებას — დამამტკიცებელი საბუთი, როგორც ფაქტის მიღების წყარო და დამამტკიცებელი საბუთი, როგორც ფაქტი, რის მიხედვითაც ვახდენთ საქმეზე, სხვა ფაქტის დადგენას.<sup>1</sup>

პროცესუალისტთა გარკვეული ნაწილი დამამტკიცებელ საბუთებად თვლიან მხოლოდ მტკიცებით ფაქტებს და მტკიცების საშუალებებს კი იხილავენ როგორც წყაროებს.<sup>2</sup>

დაბოლოს, არის ისეთი შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც დამამტკიცებელი საბუთების ერთიანი გაგებაა აღიარებული — ე. ი. დამამტკიცებელი საბუთის ცნებაში აერთიანებენ, როგორც მტკიცებით ფაქტებს, ისე მტკიცების საშუალებებს.<sup>3</sup>

დამამტკიცებელი საბუთის ცნების შესახებ აზრთა სხვადასხვაობის ერთერთ ძირითად მიზეზად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ სისხლის სამართლის საქ-

<sup>1</sup> В. Д. Арсеньев, Вопросы общей теории судебных доказательств, М., 1964, стр. 101.

<sup>2</sup> М. А. Чельцов, Советский уголовный процесс, М., 1962, стр. 135—143. С. А. Голунский, Вопросы доказательственного права в основах уголовного судопроизводства Союза ССР и Союзных республик. Вопросы судостроительства и судопроизводства в новом законодательстве Союза ССР, М., 1959, стр. 144. М. Т. Шаламов, Теория улик, М., 1960, стр. 9, и др.

<sup>3</sup> Л. Т. Ульянова, Оценка доказательств судом первой инстанции, М., 1959, стр. 11. А. И. Трусов, Основы теории судебных доказательств, М., 1960, стр. 51.



მეზე დასამტკიცებელ გარემოებათა წრეში აღარ ეძებენ მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტებს. რატომღაც საქმის ვითარება ისეა წარმოდგენილი, რომ ერთ მხარეზე თავსდება მხოლოდ დასადგენი გარემოებანი და, მეორეზე კი ის ფაქტები, რომლითაც უნდა უზრუნველყოფილ იქნას ამ გარემოებათა დადგენა.

ერთი შეხედვით ეს ლოგიკურია და თითქოს წინააღმდეგობასაც არ უხდა შეიცავდეს; მაგრამ აქ საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, თუ რა იგულისხმება მტკიცებით ფაქტსა და მთავარი ფაქტის შინაარსში.

ლიტერატურაში ავტორთა უმრავლესობა იმ აზრს იზიარებს, რომ მთავარი ფაქტი — ეს არის საქმის არსი. მთავარი ფაქტის დადგენა ხიზნავს დახაშულის ჩადენაში პირის ბრალეულობის ან არაბრალეულობის დადგენას<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ სსსკ 59-მე მუხლის შესაბამისად მოკვლევის, წინასწარი გამოძიების წარმოებისა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს უნდა დამტკიცდეს:

1. დანაშაულის შემთხვევა (დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი და სხვ. გარემოებანი);
2. ბრალდებულის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში;
3. გარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხარისხსა და ხასიათზე;
4. დანაშაულით მიყენებული ზარალის ხასიათი და ოდენობა.

მაშასადამე, ჩამოთვლილი გარემოებანი წარმოადგენენ საქმეზე საძიებელ გარემოებებს; მაგრამ ცალ-ცალკე მათი დადგენა (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ამ მუხლის მეორე პუნქტს) მაინც ვერ მიუთითებს მთავარი ფაქტის არსებობის ან არ არსებობის შესახებ.

მაშინაც კი როდესაც დადგენილია, მაგალითად, დანაშაულის შემთხვევა ან დანაშაულით მიყენებული ზარალის ხასიათი, ოდენობა, არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ კონკრეტულ დამნაშავეზე; როგორც ცნობილია, დახაშულის შემთხვევის (ფაქტის) გამო აღიძვრება ხოლმე სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ ყოველთვის როდი შეგვიძლია მაშინვე ვილაპარაკოთ კონკრეტულ დამნაშავეზე.

ასევე ითქმის დანაშაულით მიყენებულ ზარალის ოდენობასა და ხასიათზე; მართო ამ ნიშნების მიხედვითაც არა მართო შეუძლებელია დანაშაულის ჩადენაში პირის ბრალეულობაზე ან არაბრალეულობაზე ლაპარაკი, არამედ ზოგჯერ შეუძლებელია აგრეთვე თვით დანაშაულის კონკრეტული შემთხვევის უშეცდომოდ განსაზღვრაც.

როგორ უნდა შეფასდეს ეს გარემოებანი მთავარი ფაქტის მიმართ? აქვთ თუ არა მათ რაიმე მნიშვნელობა მთავარი ფაქტის დადგენის თვალსაზრისით? ჩვენ ვფიქრობთ, რომ დანაშაულის ჩადენაში პირის ბრალეულობის ან არაბრალეულობის დადგენისათვის ისეთი ფაქტობრივი მონაცემები, როგორცაა: დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი, დანაშაულით მიყენებული ზარალის ხასიათი, ოდენობა და სხვა გარემოებანი, მტკიცებითი მნიშვნელობის ფაქტები არიან. ისინი არაპირდაპირ დამამტკიცებელ საბუთებს წარმოადგენენ მთავარი ფაქტის მიმართ მაშინაც, როდესაც ერთიანდებიან საძიებელ გარემოე-

<sup>1</sup> იხ. მაგ. М. С. Строгович, Курс советского уголовного процесса, М., 1958, стр. 206, Ц. М. Каз., Доказательства в Советском уголовном процессе, 1960, стр. 32.



ბათა წრეში. ეს რომ ასეა, ამის ნათელი დადასტურებაა თვით საგამომძიებლო და სასამართლო პრაქტიკის მაგალითებიც.

მაგალითად, დანაშაულის ჩადენას რომ ადგილი ჰქონდა დროის გარკვეულ მონაკვეთში, ამის დადგენას არა მარტო დანაშაულის ობიექტური მხარის შესწავლისათვის აქვს მნიშვნელობა, არამედ ზოგჯერ დანაშაულის ჩადენის დროს სხვა ფაქტებთან ერთად, გარკვეულად მიუთითებს პირის ბრალეულობაზე, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, კონკრეტულ შემთხვევაში ალიბის მტკიცებით მნიშვნელობაზეც შეუძლებელია ვილაპარაკოთ, თუ ზუსტად არ იქნება დადგენილი დანაშაულის ჩადენის დრო, რასაც უეჭველად ენიჭება, აგრეთვე, დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობა.

დანაშაულის ჩადენის ადგილი და ხერხი, ერთის მხრივ, წარმოადგენენ დანაშაულის ობიექტური მხარის დამახასიათებელ ნიშნებს, მეორეს მხრივ, მათ შეუძლიათ მოგვცენ სასარგებლო ცნობები დანაშაულის ჩადენაში პირის ბრალეულობაზე. საგამომძიებლო პრაქტიკიდან არა ერთი მაგალითია ცნობილი, როდესაც ქმედობის ჩადენის ხერხი გამოუყენებიათ დანაშაულის გახსნისათვის.

არის ისეთი კატეგორიის საქმეები, რომლებზედაც სავალდებულოა დადგინდეს დანაშაულით მიყენებული ზარალის ხასიათი და ოდენობა, მაგრამ თვით ფაქტობრივ მონაცემებს მიყენებული ზარალის ხასიათისა და ოდენობის შესახებ აქვთ აგრეთვე მტკიცებულობითი მნიშვნელობა. მაგალითად, ერთ საქმეზე მოლარემ სალაროდან გატაცების სიმულიაციის მოწყობით მიითვისა 3000 მან. მალე გამოძიებით ეჭვმიტანილ მოლარესთან აღმოჩენილი იქნა გატაცებული ფული. ამ შემთხვევაში გატაცებული თანხის ოდენობის ზუსტად განსაზღვრას მნიშვნელობა ჰქონდა დამნაშავის ბრალეულობის საკითხის გადასაწყვეტად.

არის, რა თქმა უნდა, ფაქტობრივ მონაცემთა ისეთი წრეც, რომელიც არ მოიცავს ბრალეულობის დადგენის შესაძლებლობებს, მაგრამ ეს მონაცემებიც მტკიცებულობითი მნიშვნელობისანი არიან, რადგანაც გავლენას ახდენენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხარისხსა და ხასიათზე. კერძოდ, ეს ეხება საქართველოს სსრ სსსკ 59-ე მუხლის მესამე პუნქტის შინაარსს; თუმცა დანაშაულით მიყენებული ზარალის ხასიათსა და ოდენობას ზოგჯერ მტკიცებულებითი მნიშვნელობის გარდა სწორედ ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ისინი გავლენას ახდენენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხარისხსა და ხასიათზე (თუ ეს ნიშანი უშუალოდ არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის დისპოზიციაში, როგორც დანაშაულის ობიექტური მხარის აუცილებელი ნიშანი).

მასასადამე, ის გარემოებანი, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე, კონკრეტულ შემთხვევაში წარმოადგენენ აგრეთვე მტკიცებით ფაქტებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ როგორც დამამტკიცებელ საბუთებს.

აქ აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. გამოძიების პროცესში მტკიცების საგანი წარმოადგენს რა დინამიურს, დასამტკიცებელი გარემოებანი ურთიერთისაგან მოწყვეტით კი არ უნდა განვიხილოთ, არემედ საჭიროა მათი კავშირების მოძებნა, ერთი გარემოების გამოყენება მეორის დასამტკიცებლად და ა. შ.

ამრიგად, მტკიცების საგანსა და დამამტკიცებელ საბუთებს შორის უფსკრული არ არის. ისინი მუდმივად ერთმანეთს სცვლიან და ავსებენ. სხვანაირად შეუძლებელიც იქნებოდა ჭეშმარიტების დადგენაზე ლაპარაკი. მტკიცების სა-



განსა და დამამტკიცებელ საბუთებს შორის პირობითი ზღვარის დადება სწორედ იმიტომ არის საჭირო, რომ ისინი ცალ-ცალკე შეფასდნენ. მოხდეს მათი ურთიერთისაგან ემპირული და ლოგიკური გამოყოფა ურთიერთთან ისევე უკეთ დაკავშირების გზების აღმოჩენისათვის.

თითქმის ყველა პროცესუალისტი მტკიცებით ფაქტად მიიჩნევს მხოლოდ ისეთ გარემოებას, რომელიც არ შედის მტკიცების საგანში. უფრო სწორად, დამამტკიცებელ საბუთად, ფაქტობრივი მონაცემების თვალსაზრისით, თვლიან ისეთ მონაცემებს, რომელთაც არა აქვთ სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობა და რომლებიც გამოიყენება საქმეზე საძიებელი გარემოებების დასადგენად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ გარემოებითაც არის გამოწვეული წინააღმდეგობები, რომლებსაც ადგილი აქვს ლიტერატურაში. პრაქტიკულადაც ძნელად დასაჯერებელია, რომ თუ, მაგალითად, რომელიმე გარემოება საძიებელ ფაქტს წარმოადგენს, იგი ამიტომ აღარ ივარგებს სხვა გარემოების დასადგენად. ბრალდებულის ქცევის მოტივი რომ ყველა განზრახ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დროს უნდა დადგინდეს — ამას არ უარყოფენ არც თეორეტიკოსები და არც პრაქტიკოსები. დანაშაულის მოტივი კანონითაც შეტანილია მტკიცების საგანში, როგორც საძიებელი გარემოება, მაგრამ ეს როდი გვაძლევს იმის საფუძველს, რომ დანაშაულის მოტივი არ გამოიყენოთ აგრეთვე დამამტკიცებელ საბუთად, როგორც ფაქტობრივი მონაცემი საქმისათვის სხვა მნიშვნელოვანი გარემოების დასადგენად.

ზოგიერთი პროცესუალისტი იმასაც ფიქრობს, რომ მტკიცების საგანში არ შეიძლება შეტანილი იქნას მტკიცებითი ფაქტები, რადგან მათი დადგენა არ წარმოადგენს მტკიცების მიზანს. კერძოდ, ლ. ტ. ულიანოვა არ ეთანხმება პროფ. მ. ს. სტროგოვიჩს, რომელმაც საჭიროდ ჩათვალა მტკიცების საგანში გაეთვალისწინებინა მტკიცებითი ფაქტებიც.<sup>1</sup>

პროფ. სტროგოვიჩი მტკიცებით ფაქტებს აერთიანებს რა საქმეზე დასადგენ გარემოებათა წრეში, მხედველობაში ღებულობს იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ სხვა ფაქტის დადგენისათვის მტკიცებითი ფაქტის გამოყენებისას ჯერ ეს უკანასკნელი უნდა იქნეს დადგენილი. თუ ამ გარემოებას დავივიწყებთ, მაშინ ყოველგვარ აზრს დაკარგავს როგორც მტკიცების პროცესი, ისე გამოძიება. ულიანოვას არგუმენტი, რომ მტკიცებითი ფაქტების დადგენა არ წარმოადგენს მტკიცების მიზანს, თავისთავად ვერ უარყოფს მათი დადგენის აუცილებლობას. თუ მტკიცებითი ფაქტები უეჭველად ექვემდებარებიან დამტკიცებას, მაშინ ისინი განურჩევლად მიზნისა, მტკიცების საგანში მოექცევიან.

როგორ დამოკიდებულებაშია ფაქტობრივი მონაცემები, როგორც დამამტკიცებელი საბუთები, დამამტკიცებელი საბუთების წყაროებთან?

ცხადია, არ შეიძლება დამამტკიცებელი საბუთის გაიგივება დამამტკიცებელი საბუთის წყაროსთან. დამამტკიცებელი საბუთის წყაროს სხვანაირად მტკიცების საშუალებას უწოდებენ. კანონის ტექსტის მიხედვით მართალია დამამტკიცებელი საბუთის წყაროს მეშვეობით ხდება დამამტკიცებელი საბუთის დადგენა, მაგრამ საკუთრად დამამტკიცებელ საბუთებს ფაქტობრივი მონაცემები წარმოადგენენ და არა მათი დადგენის თუ მიღების წყაროები.

<sup>1</sup> см. Л. Т. Ульянова, Оценка доказательств судом первой инстанции, М., 1959, стр. 31.



საქმეზე იმდენი დამამტკიცებელი საბუთია, რამდენიც საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემია და არა წყარო. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ დამამტკიცებელი საბუთების შეფასების დროს მხედველობაში არ მივიღოთ დამამტკიცებელი საბუთების წყაროები. რა თქმა უნდა, არა. მტკიცების პროცესში დამამტკიცებელი საბუთების წყაროები ყოველთვის ყურადღების ცენტრშია, თუ რამდენად არიან ისინი კანონიერი და დამაჯერებელი.

პროცესუალისტები, რომლებიც აღიარებენ დამამტკიცებელი საბუთის ორგვარ მნიშვნელობას (მ. სტროგოვიჩი, ვ. არსენევი და სხვ.) ხელმძღვანელობენ იმ კრიტერიუმითაც, რომ მტკიცებითი ფაქტი არ შეიძლება იყოს აგრეთვე მთავარი ფაქტიც. ე. ი. იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია დანაშაულში პირის ბრალეულობა ან უდანაშაულობა მხოლოდ პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთების წყალობით, თითქოს არავითარ მტკიცებით ფაქტებთან აღარა გვაქვს საქმე, რომ ფაქტიურად ბრალის დადასტურება თუ უარყოფა ამ შემთხვევაში უშუალოდ დამამტკიცებელი საბუთების წყაროებით ხდება და არა ფაქტობრივი მონაცემებით. როდესაც, მაგალითად, ბრალდებული ამბობს, რომ დანაშაული ჩავიდინეო, თითქოს დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობა აქვს არა იმ ფაქტებს, რომლებიც მის დანაშაულზე მიუთითებენ, არამედ მის ჩვენებას, აღიარებას. ჯერ ერთი, ბრალდებულის ჩვენება — მის მიერ ბრალის აღიარება თუ უარყოფა თავისთავად არაფრის მთქმელია თუ არ მივმართავთ იმ ფაქტებს, რომლებშიაც ჩანს ჩვენების შინაარსი. მეორეც, მტკიცებითი ფაქტის ცნება ლოგიკურია, ისევე როგორც მთავარი ფაქტისა. ეს ორი ცნება ურთიერთ საპირისპიროა. ისინი სხვადასხვა შინაარსს გამოხატავენ. მათი დამთხვევა ცხადია, არ შეიძლება. მაგრამ, მთავარი ფაქტის ანუ პირის ბრალეულობის პირდაპირი გზით დადგენაც ხომ ფაქტობრივი მონაცემებით ხდება. მოწმე რომ აჩვენებს, მაგალითად, თუ როგორ ესროლა რევოლვერი სუბიექტმა დაზარალებულს, ამ სუბიექტის ბრალეულობის შესახებ პირდაპირი დასკვნის გამოტანა შეიძლება არა მოწმის ჩვენებიდან (მტკიცების სშაულებიდან), არამედ ამ ჩვენებით გადმოცემულ ფაქტობრივ მონაცემებიდან (დამამტკიცებელი საბუთებიდან).

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ავტორი ამ ბოლო დროს შეეცადა კიბურნეტიკული ტერმინების შემოღებას მტკიცებულებათა თეორიაში. ამ მიმართულებით შექმნილი ლიტერატურის გაცნობით ვრწმუნდებით, რომ ჯერჯერობით თვითონ ამ ავტორებსაც ნათლად არ აქვთ წარმოდგენილი არა მარტო ის, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ამჟამად რომელიმე კონკრეტული საკითხი მანქანური მეთოდებით, არამედ სარწმუნო იმედებსაც ვერ გვინერგავენ, რომ მომავალში მაინც გამოყენება ექნება კიბურნეტიკას მტკიცების პროცესში.

ვ. დ. არსენევი წერს: ინფორმაციის თეორიის თვალსაზრისით მოწმისა და სხვა პირების ჩვენებები, ექსპერტების დასკვნები და დოკუმენტები წარმოდგენენ ცნობებს (ინფორმაციას) ფაქტების შესახებ, რომლებიც გადმოცემულია წერილობით თუ სიტყვიერად ამ ინფორმაციის თანმიმდევრული სიგნალების სახით.<sup>1</sup>

გაურკვეველია, რატომ იყო საჭირო „იურიდიული ენის“ ასე გაბუნდოვანება.

<sup>1</sup> В. Д. Арсеньев, Вопросы общей теории судебных доказательств, М., 1964, стр. 84—85.



ავტორი მტკიცების საშუალების მთავარ ელემენტად თვლის ფაქტების შესახებ ცნობებს. აქედან გამომდინარე ასკენის, რომ «Среди всех средств доказывания особое место занимают вещественные доказательства, поскольку они дают не информацию о фактах прошлого, а служат лишь (подобно доказательственным фактам) основанием для построения версий об этих фактах.

Указанная особенность в свете теории информации объясняется тем, что вещи как доказательства в силу стихийного характера их возникновения не содержат достаточно определенного кода, т. е. заранее обусловленной системы знаков, благодаря которой мы можем воспринять информацию.

Качества и свойства предмета дают лишь основание построить версию об отношении данного предмета к искомому факту (например, следы подлога на документе, пятно крови на одежде), но не информацию об искомом факте»<sup>1</sup>.

ავტორის ამ მსჯელობაში ყველაფერი თავის ადგილზე არ არის. იგი ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს, როგორც დამამტკიცებელი საბუთების წყაროებს განსაკუთრებულ ადგილს უთმობს. მისი სიტყვით ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები გვაძლევენ არა ინფორმაციას წარსული ფაქტების შესახებ, არამედ გვემსახურებიან ამ ფაქტებზე ვერსიის შედგენაში. გამოდის, რომ, მაგალითად, სუბიექტის მიერ უნებართოდ ცეცხლსასროლი იარაღის ტარების დროს, აღმოჩენილი იარაღი, მხოლოდ წარსული ფაქტის (უნებართო იარაღის ტარების) შესახებ ვერსიის შედგენის საფუძველს გვაძლევს, რაც არასწორია. გაუზრკვეველია აგრეთვე, თუ საიდან ასკენის ავტორი, რომ ნივთები, როგორც მტკიცებულებანი მხოლოდ სტიქიურად წარმოიქმნებიან. განა გარკვეული ნივთები, რომლებიც, მაგალითად, ქურდობის საგანს წარმოადგენდნენ და სწორედ ამის გამო იქცნენ ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებად, სტიქიური წარმოშობისანი არიან?

დაუსაბუთებელია ავტორის თეზისი იმის შესახებაც, რომ თითქოს საგნის ხარისხი და თვისებები მხოლოდ ვერსიების შედგენის საფუძველს გვაძლევს საძიებელ გარემოებასთან ამ საგნის დამოკიდებულების შესახებ. გამოდის, რომ, თუ, მაგალითად, პირს ბრალს სდებენ გარკვეული ნივთიერებით დაზარალებულის მოწამვლაში და სინამდვილეში კი ეს ნივთიერება არ აღმოჩნდება საწამლავი, ნივთიერების თვისებებს არა აქვს ის მნიშვნელობა, რომ დავასკვნათ ამ ნივთიერების საძიებელ ფაქტთან დამოკიდებულების შესახებ;

საკითხის ასე ცალმხრივად გადაწყვეტა, რა თქმა უნდა, მხოლოდ გაუგებრობას იწვევს.

ფაქტობრივი მონაცემები, ფაქტები, ნამდვილად მომხდარი ამბავი, დადგენილი მოვლენა, რასაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი სისხლის სამართლის პროცესში დამამტკიცებელ საბუთებად გამოიყენებიან მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში. ამ ფარგლებს განსაზღვრავს კონკრეტულ საქმეზე დასადგენი გარემოებანი; დამამტკიცებელი საბუთების ორბიტში არ შეიძლება მოექცნენ ფაქტობრივი მონაცემები, თუ ისინი არ არიან განკუთვნილნი საძიებელ გარემოებათა დადგენისათვის.

თვითონ დამამტკიცებელი საბუთების დადგენისათვის არსებობენ კანონით

<sup>1</sup> В. Д. Арсеньев, Вопросы общей теории судебных доказательств, М., 1964, стр. 85—87.



მტკიცედ განსაზღვრული წყაროები. კანონში პირდაპირ არის მითითებული, თუ რომელი წყარო დაიშვება ფაქტობრივი მონაცემების დასადგენად.

მაშასადამე, თუ წინასწარ არ შეიძლება განისაზღვროს რა ფაქტობრივი მონაცემები გამოდგება ამა თუ იმ სისხლის სამართლის საქმეზე დამამტკიცებელ საბუთებად, რადგან ასეთი ფაქტები მრავალნაირია, სისხლის სამართლის პროცესში მტკიცედ განსაზღვრულია ფაქტობრივი მონაცემების, როგორც დამამტკიცებელი საბუთების, დადგენის საშუალებები.

ზოგიერთი ავტორი (მაგ., არსენევი) თვით დამამტკიცებელი საბუთის წყაროს ცნების წინააღმდეგია. ხელმძღვანელობენ რა „წყაროს“ სიტყვიერი წარმოშობის (გაგების) კრიტერიუმით, ისინი ასკვნიან, რომ ფაქტობრივი მონაცემისათვის, როგორც დამამტკიცებელი საბუთისათვის მტკიცების საშუალებას არ შეიძლება ჰქონდეს დასაბამისის მნიშვნელობა. ამას გარდა, დამამტკიცებელი საბუთის ორბუნებიანობის თვისის დასაბუთებისათვის მიმართავენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების მე-16 მუხლის ანალიზს.

სიტყვა „წყარო“, რომ გადატანითი მნიშვნელობით სათავეს, დასაბამისს ნიშნავს — ეს არ არის სადავო. ასე ხმარობენ ამ სიტყვას ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. მაგრამ იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ მეცნიერების ცალკეული დარგები ზოგჯერ სიტყვის შინაარსს ცვლიან, სულ სხვა მნიშვნელობას ანიჭებენ ტერმინს. სწორედ ამ გარემოებასთან გვაქვს საქმე დამამტკიცებელი საბუთის წყაროზე რომ ვლაპარაკობთ.

ფაქტობრივი მონაცემების დასაწყისად, თავისთავად ცხადია, რომ არ შეიძლება ჩათვალოს მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ჩვენებები, ექსპერტის დასკვნა, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები თუ სხვა მტკიცების საშუალებები, რომლებიც კანონით არიან განსაზღვრულნი. ფაქტობრივი მონაცემები არ იმყოფებიან მიზეზობრივ კავშირში მტკიცების საშუალებებთან.

მართლაც, ის ფაქტი, რომ ა-მ. რევოლვერიდან გასროლით მოჰკლა ბ. და ამას გვიდასტურებს მოწმე, არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მომხდარი ფაქტის სათავე მოწმის ჩვენებაში ვეძიოთ. მკვლელობის წყარო, სიტყვის არაპროცესუალური გაგებით, ამ შემთხვევაში, გამოძიებელმა უნდა მოძებნოს ქმედობის ობიექტურსა და სუბიექტური მხარეების ნიშნებში. ასევე ითქმის ფაქტობრივი მონაცემების მტკიცების სხვა საშუალებებთან (დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ჩვენებები, ექსპერტის დასკვნა, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი და სხვ.) დამოკიდებულების შესახებაც. მაგრამ როდესაც ვლაპარაკობთ დამამტკიცებელი საბუთების წყაროებზე, როგორც მტკიცების საშუალებებზე, სრულიად სხვა მნიშვნელობას ვანიჭებთ „წყაროებს“, სხვანაირად გვესმის პროცესუალურად მათი დამოკიდებულება ფაქტობრივ მონაცემებთან.

დამამტკიცებელი საბუთების წყაროები არასდროს არ უსწრებენ წინ ქმედობას, ჯერ უნდა ადგილი ჰქონდეს ქმედობას და მერე გაჩნდნენ წყაროები. ამ მხრივაც ის ფაქტობრივი მონაცემები, რომლებიც შემდგომ გამოსაყენებელი გახდებიან ხოლმე კონკრეტულ საქმეზე დამამტკიცებელ საბუთებად, წარმოიქმნებიან არა მტკიცების საშუალებებიდან (წყაროებიდან), არამედ თვით დანაშაულებრივი მოვლენიდან ან მასთან დაკავშირებულ სხვა გარემოებებიდან.



დამამტკიცებელი საბუთების წყაროები სწორედ რომ ფაქტობრივი მონაცემების გადმოცემის ან ახსნის საშუალებებია. ისინი წყაროებს წარმოადგენენ იმდენად, რამდენადაც გამოძიების დროს გვაკავშირებენ ფაქტობრივ მონაცემებთან. მტკიცების პროცესში დამამტკიცებელი საბუთების წყაროების პროცესუალური გაფორმების შედეგად ხდება ფაქტობრივი მონაცემების მტკიცებითი ხასიათის განსაზღვრაც, სადაც არა გვაქვს სათანადო წესით გაფორმებული მტკიცების კანონიერი წყარო, იქ არც ფაქტობრივი მონაცემების მტკიცებულობით მნიშვნელობაზე შეიძლება ლაპარაკი. სწორედ ეს გარემოება აქვს მხედველობაში კანონმდებელს, როდესაც წყაროების საშუალებით ფაქტობრივი მონაცემების „დადგენაზე“ მიუთითებს (იხ. საფუძვლების მე-16 მუხ.) აქ სიტყვა „დადგენა“ ნახმარია არა დამამტკიცებელი საბუთის სინონიმად, არამედ თვით დამამტკიცებელი საბუთის მიღების საშუალების შინაარსით.

დამამტკიცებელი საბუთების წყაროებთან დამოკიდებულების საკითხის გასარკვევად ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ, თუ როგორ არის გაგებული დასაბუთების ცნება ლოგიკაში. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ დასაბუთება არის მსჯელობის ჭეშმარიტების გამართლება, რომ ყოველი დასაბუთება დასკვნის ფორმას იღებს, თუმცა, ყოველი დასკვნა, თავის მხრივ, არ არის დასაბუთება. დასაბუთება გულისხმობს გარკვეულ მსჯელობას, რომლის გამართლება არის საჭირო<sup>1</sup>.

ჩვენთვის საყურადღებოა ის გარემოება, რომ „ყოველი დასაბუთება სამი ნაწილისაგან შედგება: ა) დასასაბუთებელი დებულება ანუ თეზისი, თეზისი ის დებულებაა, რომელიც მოცემულია და, რომლის გამართლება არის საჭირო, ბ) საფუძვლები, ე. ი. ის მსჯელობები, რომელთა ჭეშმარიტება დადგენილია და რომელთაგან გამომდინარეობს თეზისი; გ) დემონსტრაცია, ე. ი. მსჯელობა, აზრთა მსვლელობა, რომელიც დაადგენს საფუძვლებსა და შედეგს შორის ლოგიკურ კავშირს“. ასე ესმის დასაბუთება ლოგიკას, როგორც მეცნიერებას სწორი აზროვნების ფორმებსა და კანონებზე.

მართალია, არ შეიძლება ლოგიკაში დადგენილი წესების მტკიცებულებათა თეორიაში მექანიკურად გადმოტანა, რადგან ლოგიკურ დასაბუთებას აქვს თავისი სპეციფიკური ნიშნები, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი, მაგრამ, ანალოგიისათვის აქ უეჭველად არსებობს საფუძვლი.

დასასაბუთებელი დებულება, ანუ თეზისი, სისხლის სამართლის პროცესის თვალსაზრისით არის ის, რის დადგენაც არის საჭირო; ანუ სხვანაირად ის გარემოებანი, რომლებიც მტკიცების საგნის წრეში ერთიანდებიან. რაც შეეხება საფუძვლებს, ე. ი. მსჯელობებს, რომელთა ჭეშმარიტება დადგენილია და რომელთაგანაც გამომდინარეობს თეზისი, სწორედ რომ მტკიცებით ფაქტებს წარმოადგენენ. მტკიცებითი ფაქტების, ისე როგორ საფუძვლების ჭეშმარიტება უეჭველად დადგენილია, სხვანაირად ვერ ჩავთვლიდით, რომ საფუძვლებისაგან გამომდინარეობს თეზისი; მტკიცებითი ფაქტები ადგენენ ან უარყოფენ საძიებელ გარემოებებს.

საინტერესოა აგრეთვე დემონსტრაციის ცნება, რომელიც გამოხატავს მსჯელობას, აზრთა მსვლელობას საფუძვლებსა და შედეგს შორის ლოგიკური კავშირის დადგენის უზრუნველსაყოფად.

არ უნდა იყოს სიმართლეს მოკლებული, თუ ვიტყვით, რომ მტკიცების

<sup>1</sup> კ. ბაქრაძე, ლოგიკა, თბილისი, 1955, გვ. 447-448.





პროცესში დამამტკიცებელი საბუთების წყაროები, უმეტესად, ფაქტობრივ მონაცემებსა და მტკიცების საგანს შორის კავშირის დადგენას უზრუნველყოფენ.

დამამტკიცებელი საბუთების ცნებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საკითხია საყურადღებო. შემთხვევითი არ არის, რომ კანონმდებელი დამამტკიცებელი საბუთების წყაროებად, ანუ მტკიცების საშუალებებად მიიჩნევს მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ჩვენებას, ექსპერტის დასკვნას, ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს, საგამომძიებლო და სასამართლო მოქმედებათა ოქმებს და სხვა დოკუმენტებს.

ზოგიერთი პროცესუალისტი, ანსხვავებს რა მტკიცების წყაროს მტკიცების საშუალებისაგან<sup>1</sup>, მტკიცების წყაროდ მიიჩნევს, მაგალითად, თვით მოწმეს, ხოლო მოწმის ჩვენებას, როგორც მტკიცების საშუალებას.

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ და კანონის მოთხოვნის სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცების პროცესში მოწმის ცნებას მხოლოდ ის აზრი და გამართლება აქვს, რომ მოწმეს უკვე მიცემული აქვს ჩვენება ან იგი მისცემს ჩვენებას. უფრო სწორად, სიტყვა „მოწმე“ ამ პირობით არის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ტერმინი. პირს, რომელსაც არ მოეთხოვება საქმესთან დაკავშირებით ჩვენების მიცემა, იგი ვერ ჩაითვლება მოწმედ. მოწმედ ვერ მივიჩნევთ აგრეთვე იმ პირსაც, რომლის ნათქვამი სათანადო პროცესუალური წესების დაცვით არ არის გაფორმებული, თუ მას უკვე მიცემული აქვს განმარტება. იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოწმე წინასწარი შეცნობით უარს აცხადებს ან თავს არიდებს ჩვენების მიცემაზე, ამ გარემოების სათანადოდ გაფორმებაა საჭირო, რომ პირი მოწმის სახით იქნეს აღიარებული და აქედან გამომდინარე, დაისვას საკითხი მისი პასუხისმგებლობის მიცემის შესახებ.

ყოველივე ამისაგან გამომდინარეობს დასკვნა, რომ იურიდიული მნიშვნელობა აქვს არა მოწმეს დამოუკიდებლად, არამედ მის ჩვენებას. მოწმე, როგორც ტერმინი, ლოგიკურად ნაწარმოებია მოწმის ჩვენებისაგან. მოწმე იმითომ ჩნდება, რომ მას შეუძლია დამოწმება, დამამტკიცებელი საბუთის წყაროს მნიშვნელობა აქვს არა თვითონ პიროვნებას, არამედ მის მიერ აღქმულის დამახსოვრებულისა და გადმოცემულის სათანადოდ პროცესუალური წესით ფიქსირებას.

ასევე ითქმის დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის მიმართ, რომელთა ჩვენებებსაც აქვთ დამამტკიცებელი საბუთების წყაროების მნიშვნელობა. ბრალდებულად პირი იმ მომენტიდან ხდება, როდესაც მას წარუდგენენ ბრალდებას. მაგრამ ამ შემთხვევაში დამამტკიცებელი საბუთის წყაროდ შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ ბრალდებულის ჩვენება.

ანალოგიურად დამამტკიცებელი საბუთის წყაროა ექსპერტის დასკვნა და არა ექსპერტი, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები და არა ნივთები და ა. შ.

როგორც ცნობილია, „ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი არის ისეთი საგანი, რომელიც წარმოადგენდა დანაშაულის ჩადენის იარაღს ან რომელზედაც დარჩენილია დანაშაულის კვალი ან რომელიც ბრალდებულის დანაშაულებრივი

<sup>1</sup> იხ. მაგ. В. Д. Арсеньев, Вопросы теории вещественных доказательств в советском уголовном процессе — «Труды Иркутского Государственного университета» том XXII, сер. юрид. вып. 3, Иркутск, 1957, стр. 80—89.



ქმედობის ობიექტს შეადგენდა, აგრეთვე დანაშაულებრივი გზით შეძენილი ფული და სხვა ფასეულობა და ყველა სხვა საგანი, რომელიც შეიძლება გამოდგეს დანაშაულის გამოაშკარავებისა და დამნაშავის გამომჟღავნების საშუალებად, ან ბრალდების უარყოფის, ან ბრალდებულის ბრალის შემსუბუქების საშუალებად“ (საქართველოს სსრ სსსკ 74 მუხ.).

აღსანიშნავია, რომ თავისთავად ნივთები, ფული და სხვა არ შეიძლება მიჩნეულ იქნენ დამამტკიცებელი საბუთების წყაროებად. ისინი წყაროებად იქცევიან მხოლოდ მაშინ, როდესაც გაფორმდებიან სათანადო ოქმით (შეძლები-სამებრ გადავიღებთ მათგან ფოტოსურათებს, მომკვლევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის განსაკუთრებული დადგენილებით ან სასამართლოს განჩინებით დაერთვიან საქმეს (საქართველოს სსრ სსსკ 75-ე მუხ.) ე. ი. როდესაც ისინი გადაიქცევიან უკვე ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებად.

მაშასადამე, დამამტკიცებელი საბუთის წყაროს ცნება კანონმდებლობაში არ უნდა იწვევდეს წინააღმდეგობებს.



## მექრთამეობის საქმეების განხილვის მეთოდის ზოგიერთი საკითხი

ზ. ზაფიაზვილი

მექრთამეობის გამოძიება მეტად რთული პროცესია. მას ართულებს ის, რომ თანამდებობის პირს უმეტესწილად ქრთამი ვადაეცემა ყოველგვარი მოწმის გარეშე შენიღბული სახით. ამის გამო, ამ კატეგორიის საქმეებზე დამამტკიცებელ საბუთებად უმთავრესად გვევლინება მხოლოდ არაპირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები. გამოძიებას ართულებს ისიც, რომ ქრთამის მიცემა-აღების ფაქტის დადგენა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საშიშროებას უქმნის როგორც ქრთამის ამღებს ისე ქრთამის მიმცემს. ამიტომ, მექრთამეობაში მონაწილე მხარეები დაინტერესებული არიან საქმის გაუხსნელობით.

მექრთამეობის საქმის განხილვა და თავიდან აცილება მოითხოვს კრიმინალისტიკური ტექნიკის, ტაქტიკისა და მეთოდის საკითხების საფუძვლიან ცოდნას და მათ შემოქმედებითად გამოყენებას. მექრთამეობის განხილვის მეთოდის და თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ამისა, იგი ჯერ კიდევ თითქმის სრულიად დაუმუშავებელია საბჭოთა კრიმინალისტიკაში.

გამოძიების დროს საკმარისი როლი მართოდენ მთავარი ფაქტის — ქრთამის მიცემა-აღების დადგენა. საჭიროა დანაშაულის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა. დადგენილი უნდა იქნას აგრეთვე მექრთამეობის ჩა-

დენის ხერხები, საშუალება და მექრთამეობის ხელშემწყობი პირობები.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის დადგენილებამ „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია წინასწარი გამოძიების ხარისხის გაუმჯობესებას. დადგენილებაში ამ საკითხზე ნათქვამია: „სასამართლოებმა მეტი მოთხოვნები უნდა წაუყენონ წინასწარი გამოძიების ხარისხს, მიაღწიონ ჩადენილი დანაშაულის სრულ განხილვას, რათა ყოველი განაჩენი ეყრდნობოდეს სასამართლო განხილვისას ღრმად გამოკვლეულ ობიექტურ და უტყუარ ფაქტებს“<sup>1</sup>.

საგამომძიებლო პრაქტიკაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ ფაქტებს, როცა წინასწარი გამოძიების ორგანოები ვერ ახერხებენ მექრთამეობის საქმის განხილვას. ეს კი გამოწვეულია ჯერ ერთი, თვით გამოძიებლის დაბალი კვალიფიკაციით და მეორე, იმით, რომ სუსტია კავშირი საგამომძიებლო და მილიციის ორგანოების მუშაკთა შორის, აგრეთვე მათი კონტაქტი მასებთან.

მექრთამეობის საქმეებზე ყველა სახის დამამტკიცებელი საბუთების შეკრება უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილი წესის ფარგლებში. ამა თუ იმ დამამტკიცებელი საბუთების მიღება აუცილებელია მტკიცედ შეესაბამებოდეს საპროცესო ნორმებით დადგენილ წესებს. ამავე

<sup>1</sup> Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924 — 1963. М., 1964, стр. 259.



დროს, საქმეზე სწორი, უტყუარი დამამტკიცებელი საბუთების მისაღებად საჭიროა იმ ტაქტიკური ხერხებისა და საშუალებების სწორად შერჩევა, რომელთა გამოყენება ფართო შესაძლებლობას იძლევა საქმის გახსნისა და მომავალში მის თავიდან ასაცილებელ ღონისძიებათა შემუშავებისათვის.

მექრთამეობის დანაშაულის გახსნის ერთ-ერთი პირობაა საგამომძიებლო გეგმისა და ვერსიების შედგენა.

გამოძიების გაშლილი გეგმა უნდა შედგეს საქმის წარმოებაში მიღების მომენტიდანვე, რადგან ამ დროისათვის გამომძიებელს უკვე ხელთა აქვს ისეთი მონაცემები, რაც მას საშუალებას აძლევს ააგოს საგამომძიებლო ვერსიები. ამიტომ არასწორად უნდა ჩაითვალოს იმ კრიმინალისტების შეხედულება, რომლებიც მექრთამეობის საქმეზე შეუძლებლად მიიჩნევენ გაშლილი საგამომძიებლო გეგმის შედგენას სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მიღების მომენტიდან. მათი აზრით, მექრთამეობის საქმეზე გეგმის შედგენა შესაძლებელია მხოლოდ პირველდაწყებით საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარების შემდეგ. აქედან გამომდინარე, ისინი ჯერ განიხილვენ პირველდაწყებით საგამომძიებლო მოქმედებებს, ხოლო შემდეგ გამოძიების დაგეგმვას<sup>1</sup>.

მექრთამეობის საქმის წარმოებაში მიღების მომენტისათვის საგამომძიებელს უკვე აქვს ისეთი ფაქტიური მონაცემები, რომელთა საფუძველზე შეუძლია გაითვალისწინოს ვერსიები ქრთამის მიცემის, ქრთამის აღების, მექრთამეობაში შუამავლობის, მექრთამეობის ჩადენის ხერხების, საშუალებებისა და სხვა ცალკეულ გარემოებათა ასახნელად. ეს კი, ცხადია, მოგვეცემს არა მარტო ორი ვერსიის, როგორც ამას ფიქ-

რობს ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი, არამედ უფრო მეტი ვერსიების აგების შესაძლებლობას.

მექრთამეობის გახსნისა და თავიდან აცილების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მტკიცების საგნისა და ფარგალის სწორად განსაზღვრას. იგი საშუალებას გვაძლევს წინასწარ სწორად დავსაზოთ გამოძიების შემდგომი მიმართულება და ამით უზრუნველყოთ საქმის სწრაფი, სრული გახსნა.

მექრთამეობის საქმეზე გამოძიებით დასადგენ გარემოებათა წრე მეტად ფართეა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მათი მრავალფეროვნება განისაზღვრება პირველადი მონაცემებით.

მექრთამეობის საქმის გახსნა და თავიდან აცილება რთული პროცესია. არ შეიძლება მექრთამეობის ყველა საქმეზე შაბლონურად გამოვიყენოთ დანაშაულის გახსნის რომელიმე ერთი ხერხი. მოცემული კატეგორიის დანაშაულის ცალკეული შემთხვევისათვის აუცილებელია შევარჩიოთ და გამოვიყენოთ გახსნის ის ხერხი, რომელიც თავისი შედეგებით უფრო ეფექტური იქნება.

მექრთამეობის ხერხების, საშუალებებისა და ქრთამის საგნის დადგენა წინასწარი გამოძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. მათი გამორკვევა და ღრმა ანალიზი საშუალებას იძლევა შემუშავდეს საჭირო ქმედითი ღონისძიებანი ამ დანაშაულის თავიდან აცილებისათვის.

მექრთამეობის საქმეების გახსნის სპეციფიკურობიდან გამომდინარე ამა თუ იმ სახის პირველდაწყებით გადაუდებელ საგამომძიებლო მოქმედებათა შესრულება მექრთამეობის ყოველ კონკრეტულ საქმეზე დამოკიდებულია იმაზე თუ რა ფაქტიური მონაცემები გახდა მოცემული სახის დანაშაულის აღძვრის

<sup>1</sup> იხ. В. П. Бурчанинов, Расследование дел о взяточничестве. Кандидатская диссертация. Киев, 1954; Берекашвили Л. Ш., Методика расследования взяточничества. Кандидатская диссертация. Свердловск, 1965; ანოლოგიურ აზრს იზიარებს ა. ნ. ვასილევ. იხ. А. Н. Васильев, Планирование следствия и следственные версии. — В книге: «Криминалистика», учебник, изд. МГУ, 1963, стр. 304.



საფუძველი. და მამასადამე, თუ რა ფაქტური მონაცემები აქვს გამოძიებულს საქმის წარმოებაში მიღების მომენტისათვის.

იმ შევსხვევაში თუ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაზია მოქალაქის განცხადება ქრთამის გამოძალვის შესახებ, მაშინ, ცხადია, არ შეიძლება პირველ რიგში მივმართოთ სხვა რომელიმე საგამომძიებლო მოქმედების ჩატარებას თუ არა განმცხადებლის დაკითხვას. ხოლო თუ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა უშუალოდ მოკვლევის ორგანოს, გამოძიებლის ან პროკურორის მიერ დანაშაულის ნიშნების გამომჟღავნების საფუძველზე, მაშინ, ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა პირველად გადაუდებელ საგამომძიებლო მოქმედებათა სახით აუცილებელი გახდეს ქრთამის მიმცემის, ქრთამის ამღებისა და მექრთამეობაში შუამავალ პირთა საცხოვრებელ ბინაზე ჩხრეკის ერთდროულად ჩატარება. ან საგამომძიებლო დათვალიერება. ამიტომ, მექრთამეობის საქმეებზე არ შეიძლება წინასწარ განსაზღვრული და დაწესებული იქნას იმ აუცილებელ პირველად გადაუდებელ საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარების თანმიმდევრობა, რომელიც მექრთამეობის ყველა საქმის გახსნისათვის მზამზარეულ რეცეპტად გამოგვადგებოდა. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ საგამომძიებლო პრაქტიკის მონაცემებს—მექრთამეობის საქმეების უდიდესი უმრავლესობის აღძვრის საბაზი ხდება მოქალაქეთა განცხადებები. ამის შესაბამისად ცხადია, განმცხადებლის დაკითხვის გარეშე შეუძლებელია ქრთამის მიცემ-ამღების ფაქტზე ან თვით ქრთამის სვანზე რაიმე საარწმუნო ცნობის მიღება და გამოძიების სწორი მიმართულებით წარმართვა.

მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე მექრთამეობას სხადის წინასწარ შემუშავებული გეგმით, დიდი სიფრთხილით, მოწმეთა დაუსწრებლად, მექრთამეობის ესა თუ ის ფაქტი, ესა თუ ის გარემოე-

ბა არ შეიძლება შეუძინეველი დაიჩინოს სხვა პირთათვის. ასეთ პირთა შორეულ გამოძიებისათვის პირველ ხანებში გარკვეულ სიძნელებთანაა დაკავშირებული. გამორიცხული არ არის ისიც, რომ მოწმედ მოგვევლინოს თვით მექრთამეობაში მონაწილე რომელიმე პირი (მაგალითად, ქრთამის მიმცემის ნებაყოფლობითი განცხადების შემთხვევაში). ასევე, შესაძლოა საპირო გახდეს ისეთი პირის დაკითხვა, რომელმაც მართალია არაფერი იცის მექრთამეობის ფაქტის შესახებ, მაგრამ შეუძლია დაადასტუროს თანამდებობის პირის მიერ შესრულებული ესა თუ ის სამსახურებრივი მოქმედება ან უმოქმედობა, ან დაადასტუროს ქრთამის მიმცემისა და ქრთამის ამღების ნაცნობობის ფაქტი, ან მოგვცეს მნიშვნელოვანი ჩვენება მექრთამეობაში მონაწილე პირთა საყოფაცხოვრებო მდგომარეობის და სხვა ფაქტების შესახებ. ასე, რომ მექრთამეობის საქმის გამოძიების პროცესში იქმნება მოწმედ დასაკითხ პირთა ფართე წრე. მათი სწორი შერჩევითა და დაკითხვით შეგვიძლია შევკრიბოთ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის აუცილებელი მონაცემები.

მექრთამეობის საქმეზე დასაკითხ პირთა წრე პირობითად შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად ჯგუფად: 1. პირები, რომელთა მიმართაც ადგილი ჰქონდა ქრთამის გამოძალვას ან ასეთის მცდელობას, აგრეთვე ისინი ვინც უშუალოდ იყვნენ ამ დანაშაულში მონაწილენი, მაგრამ ნებაყოფლობით განაცხადეს ამის შესახებ და გულწრფელი აღიარებით ხელი შეუწყეს დანაშაულის გამოვლინებას. 2. პირები, რომლებმაც სხვადასხვა გზითა და საშუალებებით შეიტყვეს მექრთამეობის შესახებ, ხოლო თვით არავითარი კავშირი არა აქვთ მასთან და სურთ წინასწარი გამოძიების ორგანოებს დაეხმარონ დანაშაულის გახსნასა და თავიდან აცილებაში; 3. პირები, რომლებმაც მართალია არაფერი იცინა



მექრთამეობის ფაქტის შესახებ, მაგრამ შეუძლიათ დაადასტურონ ან უარყონ საქმისათვის რაიმე მნიშვნელოვანი გარემოება (მექრთამეობაში მონაწილე პირთა ურთიერთდამოკიდებულებისა და ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის თანამდებობის პირის მიერ ამა თუ იმ მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობის ფაქტი და სხვა); 4. პირები, რომლებმაც თუმცა იციან მექრთამეობის ფაქტების ან მის ირგვლივ გამოძიებით დასადგენი გარემოების შესახებ, მაგრამ მექრთამეობაში მონაწილე პირებთან კარგი (ნათესაური, მეგობრული, ამხანაგური, სამსახურებრივი ურთიერთობის და სხვა) დამოკიდებულების გამო არ სურთ მისცენ სწორი ჩვენება და ცდილობენ ჩვენების მიცემისაგან თავის შეკავებას ან მათთვის ცნობილი ფაქტების შეგნებულად დამახინჯებით გადმოცემას.

მოწმეთა ასეთი კლასიფიკაცია, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს საქმეზე

დასადგენი გარემოებებისათვის დასაკითხ პირთა მოძებნასა და მათი დაკითხვის ტაქტიკის განსაზღვრას, დაკითხვის ხერხებისა და მეთოდების სწორ შერჩევასა და მიღებული ჩვენების სწორად შეფასებას.

როგორც საგამომძიებლო პრაქტიკა გვიჩვენებს, მექრთამეობის გახსნისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებას<sup>1</sup>.

ჩვენების ადგილზე შემოწმებას მართალია აქვს სხვა საგამომძიებლო მოქმედებათა ელემენტები, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი იყოს საგამომძიებლო ექსპერიმენტი ან მისი ნაირსახეობა<sup>2</sup>, ამოცნობა<sup>3</sup>, შემთხვევის ადგილზე ბრალდებულის განმეორებითი დაკითხვა<sup>4</sup>, ან დათვალიერების, ჩხრეკის, დაკითხვის წარმოების ტაქტიკური ხერხი<sup>5</sup>, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი.

<sup>1</sup> საბჭოთა კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვაობა ჩვენების ადგილზე შემოწმების შესახებ. ასე მაგალითად, პროფ. მ. სტროგოვიჩისა და გ. ალექსანდროვის აზრით იგი არის კანონიერების დარღვევა და დაუშვებელია მისი გამოყენება საგამომძიებლო პრაქტიკაში. მათი აზრით იგი არის შემთხვევის ადგილის ვანგუერებითი დათვალიერება. Г. Александров, М. Строгович, Неправильная практика. Социалистическая законность, 1960, № 3, стр. 20—27. ასევე, პროფ. ბ. ხარაზიშვილის აზრით ჩვენების ადგილზე შემოწმება სხვა არა არის რა თუ არა შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ამიტომ, მის გამოყოფას დამოუკიდებელ საგამომძიებლო მოქმედებად არავითარი აზრი არა აქვს. Б. В. Харазшвили, Вопросы мотива поведения преступника в советском праве. Тбилиси, 1963, стр. 270.

კრიმინალისტთა მეორე ჯგუფი კი ჩვენების ადგილზე შემოწმებას სრულიად მართებულად განიხილავს, როგორც ახალ, დამოუკიდებელ საგამომძიებლო მოქმედებას. (იხ. А. Н. Васильев, С. С. Степичев, Воспроизведение показаний на месте при расследовании преступлений. М., 1959; И. Быховский, А. Ратинов, Проверка показаний на месте. — В книге: «Вопросы криминалистики». М., 1962, № 5, стр. 186—193; Б. Е. Бахарев, Вопросы следственного эксперимента и проверки показаний на месте преступления в новом уголовно-процессуальном законодательстве: — Труды ВЮЗИ, т. 2, Вопросы права, истории и философии. М., 1963, стр. 241—264; С. С. Степичев, Еще раз о «выходе на месте». — В книге: «Вопросы криминалистики». М., 1964, № 12, стр. 32—38 და სხვ.)

<sup>2</sup> იხ. Настольная книга следователя. М., 1949, стр. 370—395; В. Колмаков, Способы собирания и закрепления судебных доказательств. — «Социалистическая законность», 1955, стр. 34; Н. В. Жогин, Ф. Н. Фаткуллин, Предварительное следствие. М., 1965, стр. 147—152.

<sup>3</sup> იხ. Р. С. Белкин, К вопросу о природе, тактических целях и разновидностях следственного эксперимента. — «Советское государство и право», 1958, № 1, стр. 119.

<sup>4</sup> იხ. М. М. Гродзинский, Советский уголовный процесс и криминалистика. — В книге: «Вопросы криминалистики», № 1—2, М., 1961, стр. 17—20.

<sup>5</sup> იხ. С. Я. Розенблит, Выше мастерство расследования убийств и разбойных нападений. — «Следственная практика», вып. 22, М., 1955.



ჩვენების ადგილზე შემოწმება არის დამოუკიდებელი საგამომძიებლო მოქმედება, რომელიც ტაქტიკური თავისებურებებით არსებითად განსხვავდება ყველა სხვა დანარჩენი საგამომძიებლო მოქმედებებისაგან, ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სსრ

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში იგი გათვალისწინებული იქნას დამოუკიდებელ საგამომძიებლო მოქმედებად. მით უმეტეს, რომ იგი უკვე გათვალისწინებულია სამი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> იხ. თურქმენეთის სსრ სსსკ 173-ე მუხ., ლატვიის სსრ სსსკ 185-ე მუხ. და ლიტვის სსრ სსსკ 205-ე მუხლი.



## ლოგიკა განაჩენში

მ. ნანიკოზილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სასამართლოს განაჩენი წარმოადგენს მართლმსაჯულების აქტს, რომელსაც დიდი პოლიტიკური და პროცესუალური მნიშვნელობა აქვს. კანონის კატეგორიული მოთხოვნით განაჩენი ყოველთვის საქვეყნოდ უნდა გამოცხადდეს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმის განხილვა დახურულ კარებში მიმდინარეობს.

განაჩენის გამოქვეყნება ხელს უწყობს ხალხის კონტროლს სასამართლოს მუშაობაზე. მისი საშუალებით მასები რწმუნდებიან, რომ სოციალისტური სახელმწიფო, საბჭოთა კანონები ხალხის ინტერესების სადარაჯოზე დგანან და თუ ვინმე შელახავს მათ ინტერესებს საკადრისად იქნებიან დასჯილნი.

განაჩენი მთელი პროცესის სარკეა, სადაც გამოხატულებას პოულობს მოკვლევის, გამოძიებისა და სასამართლოს მუშაობის ხარისხი. განაჩენი ის დოკუმენტია, რომლითაც წყდება მოქალაქის ბედი.

განაჩენი, რომელშიც არ არის რკინისებური ლოგიკა, კარგავს თავის მნიშვნელობას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა შეისწავლა რა გამოტანილი განაჩენების ხარისხი, 1950 წლის 28 ივნისს მიიღო სახელმძღვანელო რედაქციის „სასამართლო განაჩენის შესახებ“, სადაც ნათქვამია: „კანონის დაცვით, მოსამართლეთა შინაგანი რწმენით და დამამტკიცებელი საბუთების გულდასმით შესწავლის საფუძველზე, კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების შესაბამისად გამოტანილი განაჩენი ხელს უწყობს სოციალისტური კანონიერებისა და სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებას.... სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი სასამართლო ჯერ კიდევ ყოველთვის პასუხისმგებლობის ჯეროვანი შეგნებით არ ეკიდება განაჩენის გამოტანას, საჭირო შემთხვევაში არ იძლევა საქმის პოლიტიკურ შეფასებას, არ მოყავს განაჩენში მიღებულ გადაწყვეტილებათა იურიდიული საფუძვლები, არ იცავს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას და ამით განაჩენს აცლის სოციალისტური მართლმსაჯულებისათვის საჭირო თვისებას“.

სასამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს ისეთი განაჩენების გამოტანას, რომლებიც აგებულნი არ არიან კანონისა და საგანთა ლოგიკის შესაბამისად. განაჩენის დასკვნები ლოგიკური დამაჯერებლობით არ გამომდინარეობენ საქმის მასალებიდან და განაჩენის ისტორიული ნაწილიდან. არის შემთხვევები როდესაც ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან განაჩენის ისტორიული და სარეზოლუციო ნაწილები. ლოგიკას მოკლებული განაჩენები ხელს უშლიან მართლმსაჯულების განხორციელებას, ლახავენ მოქალაქეთა ინტერესებს.

კარგად ჩატარებული მოკვლევა, გამოძიება და სასამართლო პროცესი აბსურდად იქცევა თუ თვით განაჩენი იურიდიულად და აზრობრივად არ არის გამართული.



მოკვლევის გამოძიებისა და სასამართლო ორგანოთა მოღვაწეობაში ლოგიკის კანონების გამოყენებისა და მნიშვნელობის შესახებ თითქმის არაფერი დაწერილა სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ. ა. სტარჩენკოს შრომას „ლოგიკა სასამართლო გამოძიებაში“<sup>1</sup>. ზოგიერთი თეორეტიკოსი, რომელიც გაცვრით შეხება ლოგიკის მნიშვნელობას, თავიანთ შრომებში იძლევიან არასწორ განმარტებას სასამართლოს საქმიანობაში ლოგიკის გავების, მისი როლისა და მნიშვნელობის შესახებ.

პროფ. ს. შიმელევიჩი თავის სტატიაში „მეთოლოგიური სიწმინდისათვის საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის მეცნიერებაში“ წერს: „ფორმალური ლოგიკა ბურჟუაზიული სასამართლოს ბუნების დამახასიათებელი თვისებაა და უცხოა საბჭოთა სასამართლოს ბუნებისათვის“<sup>2</sup>.

მსგავს შეცდომას უშვებს პროფ. ვ. რადკოვი<sup>3</sup>.

სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში არსებულმა არასწორმა შეხედულებებმა ფორმალური ლოგიკის მნიშვნელობის შესახებ გავლენა მოახდინა სასამართლო პრაქტიკაზეც. სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით ულოგიკო, დაუსაბუთებელ განაჩენებს.

ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ მსჯავრი დასდო დ-ს მასში, რომ მან გაიტაცა მსუბუქი ავტომანქანა. სასამართლომ ამ დანაშაულისათვის დ. ორი სხვადასხვა მუხლით დასაჯა, როგორც ამ მანქანის ქურდობისათვის (სსკ 150 მუხლი), ასევე ამ მანქანის დროებით გამოყენების მიზნით ვატაცებისათვის (სსკ 243 მუხლი). არ არის ლოგიკური, რომ ერთ და იმავე მოქალაქემ ერთი და იგივე მანქანა ერთ და იმავე დროს გაიტაცოს, როგორც ქურდობის ისევე მისი დროებით გამოყენების მიზნით. სულ სხვა რაიმეა საგნის მოპარვა საკუთრებად გადაქცევის მიზნით და სულ სხვაა, მანქანის დროებითი გამოყენების მიზნით ვატაცება. როგორც ვიცით ეს ორი სხვადასხვა დანაშაულია და ერთის არსებობა გამორიცხავს მეორეს. სასამართლოს განაჩენი პრინციპულად ეწინააღმდეგება როგორც პიროვნების, ასევე მართლმსაჯულების ინტერესებს. პიროვნებისათვის სულ ერთი არაა დისჯება იგი როგორც ქურდი, თუ როგორც მანქანის გამტაცებელი დროებით გამოყენების მიზნით. აღნიშნული განაჩენი არც კანონისა და არც საგანთა ლოგიკის მიხედვით არაა სწორი. ერთი დანაშაულის არსებობა დ-ს მოქმედებაში გამორიცხავს მიმართ გამოტანილი განაჩენიდან ამორიცხა ბრალდება გათვალისწინებული მეორე დანაშაულს.

საქმე განიხილა საკასაციო ინსტანციის სასამართლომ, რომელმაც დ-ს მიმართ გამოტანილი განაჩენიდან ამორიცხა ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსკ 150 მუხლით<sup>4</sup>.

ზოგჯერ სასამართლოებს გამოაქვთ ისეთი განაჩენები, რომელთა მიხედვით უარყოფენ ქმედობის ბრალეულობას, არასწორად მარტავენ სისხლის სა-

<sup>1</sup> А. А. Старченко, «Логика в судебном исследовании», М. 1958.

<sup>2</sup> Журн. «Социалистическая законность», 1950 г. № 9, стр. 20.

<sup>3</sup> В. П. Радков, «Социалистическая законность в советском уголовном процессе.» М., 1959 г. стр. 220.

<sup>4</sup> საგანთა ლოგიკის მიხედვით სწორად მოიქცა საკასაციო ინსტანციის სასამართლო, როდესაც დ-ს განაჩენიდან ამორიცხა ერთი ბრალდება, მაგრამ მან დაუშვა სხვა შეცდომა. მას არ ჰქონდა უფლება, რომ დადასტურებულად ჩაეთვალა დანაშაული გათვალისწინებული სსკ 243 მუხლით, ვინაიდან საქართველოს სსრ სსკ 364 მუხლის თანახმად მას არა აქვს უფლება დაადგინოს ან უარყოს განაჩენით დაუდგენელი ან უარყოფილი ფაქტი.



მართლის კოდექსის ამა თუ იმ მუხლის აზრს, ადგენენ გამამტყუნებელ განაჩენებს, მაშინ როდესაც თვით არსის მიხედვით განაჩენი გამამართლებელია.

საჩხერის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა სამართალში მიცემულ წ-ს საქმე. წ-ს ბრალი ედებოდა მასში, რომ ქ. ქუთაისიდან საჩხერეში ჩამოიტანა სასპეკულაციო საქონელი; იგი ამ საქონლით დაკავებული იქნა საჩხერის რკინიგზის სადგურში. სასამართლომ წ. დასაჯა საქართველოს სსრ სსკ 165 მუხლით.

წ. როგორც წინასწარ ისე სასამართლო გამოძიების დროს აცხადებდა, რომ ჩამორთმეული ნივთები მას ეკუთვნის. ნაწილი აჩუქა ქუთაისში გათხოვილმა ქალიშვილმა, ნაწილი კი თვითონ იყიდა. საქმეზე მოწმედ დაკითხულმა ქალიშვილმა დაადასტურა წ-ს ჩვენება, რომ მასთან სტუმრად იყო მამამისი, რომელსაც დედისა და დისთვის საჩუქრად გაატანა სხვადასხვა ნივთები. გარდა ამისა აღსანიშნავია ისიც, რომ წ-სთვის ჩამორთმეული ნივთები არ აღემატებოდა მისი ოჯახის მოთხოვნილებას. სასამართლომ არ დაუჯერა წ-სა და მისი ქალიშვილის ჩვენებებს. განაჩენში სასამართლომ მიუთითა: „...სამართალში მიცემული წ-ი არ სცნობს თავს დამნაშავედ მის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში და აცხადებს, რომ თითქოს საქონელი მას მოჰქონდა მისი ოჯახისათვის, რომლის ნაწილი აჩუქა ქუთაისში გათხოვილმა ქალიშვილმა. სასამართლო ვერ გაიზიარებს სამართალში მიცემულის ჩვენებას, ვინაიდან წ-ს არ ქონდა საშუალება იმ საქონლის ყიდვისა, რომელიც მას ჩამოართვეს“ (ხაზგასმა ჩვენია მ. ნ.).

საკმარისია კრიტიკულად შევხედოთ განაჩენს, რომ დავინახოთ მისი სრული ულოგიკობა. სასამართლოს აზრით წ-ს არ ქონდა ჩამორთმეული ნივთების შეძენის საშუალება, მას აღნიშნული ნივთები არ უყიდნია ე. ი. არ უნდა დასჯილიყო სპეკულაციისათვის, ვინაიდან საქართველოს სსრ სსკ 165-ე მუხლის მიხედვით სპეკულაცია არის საქონლისა თუ სხვა საგანთა ყიდვა--გაყიდვა მოგების მიზნით. საქონლის შესყიდვა აუცილებელი პირობაა, რათა პიროვნებას ბრალი დავდოთ სპეკულაციაში. სასამართლო კი წერს, რომ წ-ს არ შეეძლო მასზედ ჩამორთმეული საქონლის ყიდვა. ამით სასამართლომ ლოგიკურად დაადასტურა წ-ს უდანაშაულობა და მისი ქალიშვილის ჩვენების სისწორე, განაჩენში კი აღნიშნულია, რომ წ-ს და არც მისი ქალიშვილის ჩვენება სარწმუნო არაა!

განაჩენის ლოგიკურობისათვის აუცილებელია, რომ მასში სწორად იქნეს გადმოცემული კანონის არსი. თუ მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი არ სცილდება ამა თუ იმ მუხლით გათვალისწინებულ სასჯელის ფარგლებს, მაგრამ მკვეთრად არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა თუ სიმსუბუქეს, აგრეთვე დამნაშავეს პიროვნებას, განაჩენი მაინც არ არის ლოგიკური. კიდევ უფრო ულოგიკოა განაჩენი, როდესაც მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი არა თუ არ სცილდება ამა თუ იმ მუხლით გათვალისწინებულ სასჯელის ფარგლებს, არამედ ის მუხლი, რომლითაც პიროვნება იქნა დასჯილი, არ ითვალისწინებს მსჯავრდებულთათვის დანიშნულ სასჯელს.

ქ. თბილისის I მაისის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ მსჯავ-

<sup>1</sup> სწორად მოიქცა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი, რომელმაც წ-ს მიმართ გააუქმა განაჩენი და განჩინება და საქმე წარმოებით შეწყვიტა ბრალდების დაუდასტურებლობის გამო.





რი დასდო ლ-ს საქართველოს სსრ სსკ 229-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც შემდეგ პირობითი მსჯავრით შეუტყვალა. სასამართლომ თავის განაჩენში ჩაწერა: „იმის გამო, რომ ლ. არის ხანდაზმული (60 წლის) და დაბალი განათლების მქონე, იგი ორი წლის ვადით გადაყენებულ იქნას თანამდებობიდან“. მაშინ, როდესაც საქართველოს სსრ სსკ 46-ე მუხლის თანახმად პირობითი მსჯავრის დადების დროს არ შეიძლება დაინიშნოს სხვა დამატებითი სასჯელი გარდა ჯარიმისა. გარდა ამისა, სასამართლოს განაჩენის ულოგიკობა სხვა რამეშიც გამოიხატა. გამოდის, თითქოს ორი წლის შემდეგ ლ. უფრო ახალგაზრდა გახდება, ამავე დროს შეიძლება საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებას და ამით შესაძლებელი გახდება მისი ხელახალი გამოყენება ამ თანამდებობაზე. თანამდებობიდან გადაყენება, როგორც დამატებითი სასჯელი, უნდა დაენიშნოს მას, ვინც დანაშაულს ჩაიდენს მის თანამდებობასთან დაკავშირებით. ლ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული კი არავითარ კავშირში არ იყო მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან<sup>1</sup>.

განაჩენის ლოგიკურობისათვის აუცილებელია სასამართლოს განაჩენში გაკეთებული დასკვნები გამომდინარეობდნენ სასამართლო პროცესზე განხილული მტკიცებებიდან. სასამართლოს მიერ გაკეთებული დასკვნა უნდა კატეგორიული იყოს და არავითარ ეჭვს არ იწვევდეს.

ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლომ მსჯავრი დასდო ტ-ს იმის გამო, რომ მან ჩხუბის დროს, რომელსაც ადგილი ქონდა ს-სა და მ-ს შორის, თავის არეში ჯოხის დარტყმით მოკლა. ვ. ტ.-მ არ სცნო დამნაშავედ თავი მის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში და განაცხადა, რომ მას ჩხუბში არ მიუღია მონაწილეობა და არავისთვის არ დაურტყამს ჯოხი. ტ-ს საქმეზე სამჯერ იქნა ჩატარებული სასამართლო პროცესი და არც ერთხელ ბრალდებულებს, დაზარალებულებს და მოწმეებს არ უთქვამთ, რომ ტ-ს რაიმე მონაწილეობა მიეღოს ჩხუბში. მიუხედავად ამისა სასამართლომ ტ. დასაჯა.

ტ-ს მიმართ გამოტანილი განაჩენი ულოგიკოა, ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ მასალებს და კანონის მოთხოვნასაც.

ლოგიკური თანამიმდევრობით შედგენილი განაჩენი არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ყოველი სიტყვა და აზრი მკაფიო და გასაგები უნდა იყოს. შესაძლოა, მოქალაქე სასამართლოს პროცესს არ დაესწროს და მხოლოდ განაჩენი მოისმინოს. განაჩენი იმდენად სწორად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ ერთნაირად გასაგები და დამაჯერებელი გახდეს როგორც პროცესზე დამსწრე პირებისათვის, ასევე იმისათვის, ვინც მხოლოდ განაჩენს ისმენს. ამაშია სასამართლო განაჩენის არგუმენტაციისა და ლოგიკის მნიშვნელობა.

ქალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ მსჯავრი დასდო ნ-სა და ჯ-ს. ჯ-ს ბრალი ედებოდა იმაში, რომ მუშაობდა რა მაღაზიის მზატანსაცემლის სექციის გამგედ გამყიდველ ნ-ს ქალის კაბები ნაცვლად 8 მანეთისა დააწერა 10 მანეთად, რაც ჯ-მ ჩაიდინა ანგარების მიზნით, რათა ზედმეტად აღებული თანხა მიეთვისებინა.

ჯ. არ ცნობდა თავს დამნაშავედ მის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში და აცხადებდა, რომ ნ.-ს მან სწორი ფასი მიუთითა და არავითარი ანგარებითი განზრახვა არ ქონია. სასამართლომ დამნაშავედ სცნო ჯ. მაგრამ განაჩენში მიუთითა

<sup>1</sup> სწორად მოიქცა საკასაციო ინსტანციის სასამართლო, რომელმაც ლ-ს განაჩენიდან ამოიტყვა სასჯელი თანამდებობიდან მისი გადაყენების შესახებ.



ისეთ გარემოებებზე, რომლითაც უარყო ჯ.-ს. დანაშაული. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ ნ-მ სწორი ფასის ჩვენებით მიიღო კაბები, რაც ჩაწერილი ქონდა საკუთარ რეველში. ნ. თვითონ ყიდდა კაბებს და ფულსაც თვითონ იღებდა ნ.-ს განცხადებით ჯ. ვერ მივიდოდა სალაროსთან, სადაც ფული ქონდა შენახული, რათა ზედმეტად აღებული ფული წაეღო. იქნებ ნ-სა და ჯ-ს შორის რაიმე შეთანხმებას ქონდა ადგილი და სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ იგი ჯ.-ს აძლევდა ზედმეტად აღებულ ფულს. სასამართლოს განაჩენი უარყოფითად პასუხობს ამასაც: „არავითარ შეთანხმებას ნ-სა და ჯ-ს შორის არ ქონია ადგილი, რომ ზედმეტად აღებული ფული გაენაწილებინათ, გარდა ამისა, ნ. ნავაჭრ თანხას სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ ჯ-ს კი არ აძლევდა, არამედ მალაზიის გამგეს და მისგან ქვითარს ღებულობდა“.

ამდენად, თვით განაჩენის მიხედვით ჯ-ს დაკეტილი ქონდა ყველა გზები, რომ კაბების ზედმეტ ფასად გაყიდვის გზით აღებული თანხა მიეთვისებინა. რომელ ანგარებაზე შეიძლება ლაპარაკი ჯ-ს მოქმედებაში? აღნიშნულით სასამართლომ თავის განაჩენს გამოაცალა ლოგიკურობისა და დამაჯერებლობის ძალა და ჯ. ფაქტიურად უდანაშაულოდ აღიარა.

განაჩენის ლოგიკურობისათვის საკმარისი არაა მარტო ის, რომ განაჩენი არსებითად იყოს სწორი. საჭიროა, რომ განაჩენი სწორად იქნეს მოტივირებული, როგორც დანაშაულებრივი ქმედობას კვალიფიკაციის, ასევე სასჯელის განსაზღვრის მხრივაც. განაჩენი მაშინ არის ლოგიკური, როდესაც მასში გაკეთებული დასკვნები გამომდინარეობენ საქმეში არსებული მასალებიდან და თვით განაჩენის შემადგენელი ნაწილები იმყოფებიან ურთიერთკავშირში და ერთი მეორიდან გამომდინარეობენ.

განაჩენის ლოგიკურობისათვის საჭიროა ისიც, რომ განაჩენი დაწერილი იყოს გარკვეული ხელით, მართლწერის წესების დაცვით, რათა იგი გასაგები გახდეს ყველასათვის, ვინც იგი უნდა გაუასინჯოს და ვინც სისრულეში უნდა მოიყვანოს.

განაჩენის ლოგიკურობისათვის ბრძოლის საქმეში გარკვეული მოვალეობა აწევთ ზემდგომ სასამართლოებს, რომლებიც საკასაციო და ზედამხედველობითი წესით სწავლობენ განაჩენის კანონიერებას და დასაბუთებულობას.

ბრძოლა განაჩენის ლოგიკურობისათვის საბჭოთა კანონიერების დაცვის აუცილებელი პირობაა.





**ქართველნი  
ახალ კანონებზე**

**მოქალაქეთა პირადი საკუთრების უზღვევა  
სახსოვრებზე სხსნა**

ს. ჯაფარიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ყოველ მოქალაქეს, აგრეთვე ერთად მცხოვრებ მეუღლეებსა და მათ არასრულწლოვან შვილებს შეიძლება პირად საკუთრებად ჰქონდეთ მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სახლი (ან მისი ნაწილი), რომელიც შეიძლება ეკუთვნოდეს ერთ-ერთ მათგანს ან მათ საერთო საკუთრებას წარმოადგენდეს.

კანონით პირადი საკუთრების სახლის (ან მისი ნაწილის) საცხოვრებელი ფართობი არ შეიძლება აღემატებოდეს 60 კვადრატულ მეტრს. მაგრამ თუ მოქალაქის ოჯახი დიდია, ან მას აქვს დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია მას დაუტოვოს საკუთრებად სახლი, რომლის საცხოვრებელი ფართობიც აღემატება კანონით დადგენილ ზღვრულ ნორმას. ან ნება დართოს ააშენოს ან შეიძინოს ასეთი ფართობის სახლი (ან სახლის ნაწილი). ყველა შემთხვევაში სახლის ფართობი არ შეიძლება აღემატებოდეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების და სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში მცხოვრებ მოქალაქეებისათვის დაწესებული ფართობის ნორმას.

მოქალაქეს ან ერთად მცხოვრებ მეუღლეებსა და მათ არასრულწლოვან შვილებს შეიძლება აღმოაჩნდეთ პირად საკუთრებად ორი საცხოვრებელი სახლი, ისეთი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების საფუძველზე როგორცაა ქორწინება და მემკვიდრეობა. კერძოდ, თუ დასაქორწინებელ პირებიდან თითოეულს აქვს პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლი, დაქორწინების შედეგად მათ აღმოაჩნდება ორი საცხოვრებელი სახლი. გარდა ამისა მოქალაქემ შეიძლება მემკვიდრეობის წესით მიიღოს მეორე საცხოვრებელი სახლი.

პროფ. დ. გენკინის აზრით ხელშეკრულება მეორე სახლის ყიდვის ან ჩუქების შესახებ ცნობილ უნდა იქნას ბათილად<sup>1</sup>. ეს მოსაზრება ჩუქების ხელშეკრულების მიმართ არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს.

იმ მოქალაქეს ან ერთად მცხოვრებ მეუღლეებსა და მათ არასრულწლოვან შვილებს, რომლებსაც პირად საკუთრებად აქვთ ერთი საცხოვრებელი სახლი კანონის ძალით არ შეუძლიათ იყიდონ მეორე. მაგრამ კანონი არ შეიცავს ასეთი ხასიათის აკრძალვას ჩუქების წესით მეორე სახლის მიღების შემთხვევისათვის. გარდა ამისა ჩუქება ითვლება ცალმხრივ გარიგებად და მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ცალმხრივი გარიგებისათვის დადგენილი წესები. ჩუქების ხელშეკრულებისას მხოლოდ ერთი პირი, გამჩუქებელი წერილობითი ფორმით გამოთქვამს თავის ნებას. ასეთი თავისუფალი ნების გამოვლინება არ შეიძლება დაკავშირებულ იქნას სხვა ფაქტის ან ფაქტების არსებობასთან. ფაქტიურად

<sup>1</sup> Научно-практическ. комментарий к основам гражданского законодательства Союза ССР и союзных республик, 1962 г., стр. 135.



ასეთი ხასიათის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად აღიარება იქნებოდა მოქალაქეთა უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის შეზღუდვა. მოქალაქეს შეუძლია მემკვიდრეობის წესით მიიღოს მეორე საცხოვრებელი სახლი. ამის მსგავსად, ჩვენის აზრით მოქალაქეს შეუძლია ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე მიიღოს მეორე საცხოვრებელი სახლი (სახლის ნაწილი) იმ შედეგის რიგით, რომ ერთ-ერთი სახლი (ან სახლის ნაწილი) თავისი არჩევანით გაასხვისოს კანონით დადგენილი წესით და ვადის ფარგლებში.

თუ კანონით დაშვებული საფუძვლით (მემკვიდრეობა, ქორწინება, ჩუქება) მოქალაქის ან ერთად მცხოვრები მეუღლეებისა და მათი არასრულწლოვანი შვილების პირად საკუთრებაში აღმოჩნდება ერთზე მეტი საცხოვრებელი სახლი, მესაკუთრეს უფლება აქვს თავისი არჩევანით ერთი წლის განმავლობაში მეორე სახლზე საკუთრების უფლების წარმოშობის დღიდან გაყიდოს, გააჩუქოს ან სხვა წესით გაასხვისოს ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლი. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს განსაკუთრებულ შემთხვევებში (ავადმყოფობა, სამხედრო სამსახურში გაწვევა და სხვა) აღნიშნული ვადა გააგრძელოს, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა.

ეს წესი გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებსაც საცხოვრებელი ბინები პირად საკუთრებად აქვთ შრომითი ურთიერთდახმარების საფუძველზე აგებულ მრავალბინიან სახლებში. აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლებში.

თუ მოქალაქეს ან ერთად მცხოვრებ მეუღლეებსა და მათ არასრულწლოვან შვილებს კანონით დაშვებული საფუძვლით, პირად საკუთრებად აღმოაჩნდებათ საცხოვრებელი სახლი (სახლის ნაწილი) ან ბინა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლში და ამავე დროს საცხოვრებელი ფართობი საბინაო სამშენებლო კოოპერატივის სახლში, მესაკუთრეს უფლება აქვს დაიტოვოს ან სახლი (ბინა კოლექტივის სახლში) ან საცხოვრებელი ფართობი კოოპერატივის სახლში და ერთ-ერთი გაასხვისოს კანონით დადგენილი წესით ერთი წლის განმავლობაში საკუთრების წარმოშობის დღიდან ან კოოპერატივის სახლში ჩასახლების დღიდან.

თუ მოქალაქე კანონით დადგენილი დროის განმავლობაში არ ისარგებლებს აღნიშნული უფლებით, სახლი (მისი ნაწილი) მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით იძულებით გაიყიდება იმ წესით, რაც დადგენილია სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით. გაყიდვით მიღებული თანხა გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შემდეგ, გადაეცემა სახლის ყოფილ მესაკუთრეს.

იმ შემთხვევაში, თუ სახლის იძულებითი წესით გაყიდვა არ მოხერხდა მყიდველის აღმოუჩენლობის გამო, სახლი (მისი ნაწილი) მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონულ) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით უსასყიდლოდ გადადის სახელმწიფო საკუთრებად.

ეს წესები გამოიყენებულ უნდა იქნას იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოქალაქეს ან ერთად მცხოვრებ მეუღლეებსა და მათ არასრულწლოვან შვილებს პირადი საკუთრების უფლებით აქვთ სახლი (ნაწილები), რომლის საცხოვრებელი ფართობი აღემატება კანონით დადგენილ ზღვრულ ნორმას. მაგრამ თუ სახლი აგებული ან შექმნილია 1958 წლის 1 აგვისტომდე, მესაკუთრეს უნარ-





ჩუნდება პირადი საკუთრების უფლება, მიუხედავად საცხოვრებელი ფართობის ოდენობისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულების თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 პუნქტის წესები სხვადასხვა სახლის ნაწილებზე საკუთრების უფლების მოსპობის შესახებ, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც პირადი საკუთრების უფლება სხვადასხვა სახლის ნაწილებზე წარმოიშვა 1965 წლის 1 ივლისამდე (კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე), ამასთან იმ პირობით, თუ იგი გამოყენებულია მესაკუთრისა და მისი ოჯახის წევრების საბინაო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და ერთობლივად არ აღემატება 60 კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს.

ზემოაღნიშნული პირობების ერთდროულად არსებობისას მოქალაქეს ან ერთად მცხოვრებ მეუღლეებსა და მათ არასრულწლოვან შვილებს პირად საკუთრებად შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა სახლის ნაწილები ერთი დასახლებული პუნქტის ფარგლებში.

სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებისაგან განსხვავებით საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 105-ე მუხლი შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ ქალაქად (დაბაში) მოქალაქეს შეიძლება ჰქონდეს პირადი საკუთრების უფლებით ერთი საცხოვრებელი სახლი და აგრეთვე მეორე შენობა საკურორტო, საავარაკო ადგილას ან სოფლად, რომელიც გამოყენებულია მესაკუთრისა და მისი ოჯახის წევრების დასვენებისა და მკურნალობისათვის.

მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება საცხოვრებელ სახლზე დაცულია კანონით, ვარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს უფლება ხორციელდება მისი დანიშნულების საწინააღმდეგოდ.

პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის ძირითადი დანიშნულებაა მესაკუთრისა და მისი ოჯახის წევრების საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფა. მაგრამ ეს გარემოება მესაკუთრეს უფლებას არ ართმევს კანონით დადგენილი წესების დაცვით თავის სახლში ჩაასახლოს სხვა მოქალაქე. ამ შემთხვევაში ბინის ქირის ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ იგი არ შეიძლება აღემატებოდეს ამ სახლებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებულ ზღვრულ განაკვეთებს.

აკრძალულია მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების სისტემატურად გაქირავება კანონით დადგენილ ზღვრულ ბინის ქირის განაკვეთების დარღვევით ან მათი სხვა საშუალებით გამოყენება არაშრომითი შემოსავლის მისაღებად.

თუ მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლი (ნაწილი) სისტემატურადაა გამოყენებული არაშრომითი შემოსავლის მისაღებად, სახლი (ნაწილი) სასამართლოს გადაწყვეტილებით უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხარჩლით და ჩაირიცხოს ადგილობრივი საბჭოს ფონდში.

ამასთან ერთად სასამართლოს შეუძლია მესაკუთრეს და მასთან მცხოვრებ პირებს ჩამოართვას აღნიშნულ სახლში საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლება. თუ ამ პირთ არა აქვთ მუდმივ საცხოვრებლად სხვა ვარგისი ბინა, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ



კომიტეტს, რომელსაც ჩამორთმეული სახლი გადაეცა სასამართლომ უნდა აკისროს მათთვის სხვა საცხოვრებელი ფართობის მიცემა არსებული ნორმების მიხედვით.

სოციალისტური საზოგადოებისათვის შეუთავსებელია არაშრომითი შემოსავლით ან სოციალისტური ორგანიზაციების სახსრების უკანონოდ გამოყენების ხარჯზე საცხოვრებელი სახლის შექმნა ან აგება.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არაშრომითი შემოსავლით ან სოციალისტური ორგანიზაციების სახსრების უკანონოდ გამოყენების ხარჯზე შექმნილი ან აშენებული საცხოვრებელი სახლი სასამართლოს გადაწყვეტილებით მესაკუთრეს უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, კოლმეურნეობას ან სხვა კოლპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

აღნიშნული წესები გამოიყენება აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებმაც არაშრომითი შემოსავლით ან სოციალისტური ორგანიზაციების სახსრების უკანონოდ გამოყენების ხარჯზე შექმნილი ან აგებული სახლი მიიღეს მემკვიდრეობის წესით, ყიდვა-გაყიდვის, ჩუქების ან გაცვლის ხელშეკრულების საფუძველზე. საერთო წესის მიხედვით მემკვიდრეს შეუძლია მემკვიდრეობით მიიღოს მხოლოდ ის ქონება, მათ შორის საცხოვრებელი სახლი, რომელიც გარდაცვლილს კანონიერ საფუძველზე ჰქონდა შექმნილი. ამიტომ თუ მემკვიდრემ მიიღო საცხოვრებელი სახლი, რომელიც გარდაცვლილის მიერ შექმნილი ან აგებული იყო არაშრომითი შემოსავლით, სასამართლოს გადაწყვეტილებით მას შეიძლება ჩამოერთვას ეს სახლი და გადაეცეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. ასეთივე წესით თუ ორივე მხარის წინასწარი შეცნობით დადებულია არაშრომითი შემოსავლით შექმნილი ან აგებული საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის, ჩუქების ან გაცვლის ხელშეკრულება საერთო საფუძველზე, ხელშეკრულება აღიარებულ უნდა იქნას ბათილად და სახელმწიფო შემოსავალში ჩაირიცხოს ყოველივე ის რაც მხარეებმა მიიღეს ამ ხელშეკრულებით. იმ შემთხვევაში, როდესაც არაშრომითი შემოსავლით შექმნილი ან აგებული საცხოვრებელი სახლი მიეყიდა სოციალისტურ ორგანიზაციას ან იგი შეიძინა მოქალაქემ კეთილსინდისიერად თავისი პირადი შრომითი შემოსავლით და დანაზოგით, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება მათ მიმართ რჩება ძალაში, ხოლო სახლის ყოფილ მესაკუთრეს სახელმწიფოს შემოსავალში ჩასარიცხად გადახდება სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით მიღებული ღირებულება.

პირადი საკუთრების ინდივიდუალური და კოლექტიური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ბორციელდება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე. მიწის თვითნებურად მიტაცება, საცხოვრებელი სახლის თვითნებურად აშენება, მიშენება ან დაშენება წარმოადგენს სისხლის სამართლის წესით დასასჯელ დანაშაულებრივ ქმედებას.

მოქალაქეს, რომელმაც სათანადო ნებართვის ან დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტის გარეშე ან ძირითადი სამშენებლო ნორმებისა და წესების უხეში დარღვევით ააშენა საცხოვრებელი სახლი ან სახლის ნაწილი





უფლება არ აქვს ასეთი გაყიდოს, გააქირავოს, გააჩუქოს, დაავიროვოს, გაცვალოს ან ანდერძით გადასცეს სხვა პირს.

ასეთი სახლი (ნაწილი) სასამართლოს გადაწყვეტილებით მოქალაქეს შეიძლება უსასყიდლოდ ჩამოერთვას და ჩაირიცხოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს ფონდში, ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, (რაიონული), საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით იგი დანგრეულ უნდა იქნას თვითნებურად ამშენებელი მოქალაქის მიერ ან მის ხარჯზე.

სახლის უსასყიდლოდ ჩამორთმევის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია ამ სახლში მცხოვრებ პირებს აგრეთვე ჩამოართვას საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლება, ამასთან თუ ამ პირებს არა აქვთ სხვა ვარგისი საცხოვრებელი ფართობი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მათ მიეცემათ ბინა არსებული ნორმების მიხედვით.

აღნიშნული წესები გამოყენებულ უნდა იქნას აგრეთვე იმ სახლების (ნაწილების) მიმართ, რომლებიც აგებულია თვითნებურად 1965 წლის 1 ივლისამდე (კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე).

მოქმედი კანონმდებლობით მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების ყიდვა-გაყიდვისათვის დადგენილია განსაკუთრებული წესები. კერძოდ, საცხოვრებელი სახლი არ შეიძლება იყიდოს პირმა, რომელსაც აქვს ერთი საცხოვრებელი სახლი პირადი საკუთრების უფლებით. ამასთან ერთად საცხოვრებელი სახლის სპეკულაციის შესაძლებლობის აღკვეთის მიზნით კანონით დადგენილია, რომ მოქალაქეს არ შეუძლია სამი წლის განმავლობაში გაყიდოს ერთზე მეტი საცხოვრებელი სახლი, გარდა სახლის იძულებითი წესით გაყიდვისა.


ამ წესების დაუცველობა გამოიწვევს სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილობას.

ქალაქში ან დაბაში მდებარე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დამოწმებულ უნდა იქნას სანოტარო წესით და რეგისტრირებული მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში სამი თვის ვადაში ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების დღიდან. ხოლო სოფლად საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილი) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დადებულ უნდა იქნეს წერილობით და რეგისტრირებული მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში არაუგვიანეს სამი თვისა ხელშეკრულების დადების დღიდან.

საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მისი რეგისტრაციის დღიდან.

ამ წესების დაუცველობა გამოიწვევს საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილობას. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის № 13 დადგენილება შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ არაჯეროვნად გაფორმებული საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება შეიძლება მართებულად ცნოს სასამართლომ მხოლოდ ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც იგი არსებითად არ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს, მთლიანად ან მისი უმეტესი ნაწილი შესრულებულია მხარეების მიერ და კანონით დადგენილი წესით ხელშეკრულების ვაფორმება შეუძლებელი გახდა.





განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლის გაყიდვის საკითხი. კანონის თანახმად დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლის გაყიდვა შეიძლება განსაკუთრებულ შემთხვევაში მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახლი იყიდება მასალად.

დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლის გაყიდვა, გაჩუქება, და მიწის ნაკვეთის დათმობა, რომელიც ფაქტიურად ფარავს მიწის ნაკვეთის გაყიდვას, სასამართლოს მიერ ცნობილ უნდა იქნას ბათილად და სამოქალაქო სამართლის კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად ხელშეკრულების ორივე მხარეს სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთმევათ ყოველივე ის რაც მათ მიიღეს ან უნდა მიეღოთ ხელშეკრულების საფუძველზე.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით იმ საცხოვრებელი სახლის აღებისას, რომელიც მოქალაქეს ეკუთვნის პირადი საკუთრების უფლებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 დადგენილების შესაბამისად მესაკუთრეს მიეცემა სახლის და მოწყობილობის (ფარდული, სარდაფი, ჭები და ა. შ.) ღირებულება, ან მესაკუთრის მოთხოვნით, მას და მის ოჯახს წევრებს მიეცემათ საცხოვრებელი ფართობი არსებული ნორმების მიხედვით. ასაღები სახლის ღირებულების ან საცხოვრებელი ფართობის მიღების არჩევის უფლება ეკუთვნის სახლის მესაკუთრეს და არა ორგანიზაციას, რომელსაც ნაკვეთი გამოეყო.

სახლის აღებისას მესაკუთრეს და მის ოჯახს წევრებს იმავე დასახლებული პუნქტის ფარგლებში მიეცემათ სხვა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ფართობი კაპიტალური ტიპის სახლში არა ნაკლებ იმ ფართობისა, რაც მათ ფაქტიურად აქვთ. მაგრამ თუ მათ აქვთ ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი, მაშინ სხვა ბინა მიეცემათ არსებული სანიტარული ნორმების შესაბამისად. მესაკუთრეს შეუძლია არ ისარგებლოს ამ უფლებით და მიიღოს სახლის ღირებულება.

ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც მესაკუთრე და მისი ოჯახის წევრები ფაქტიურად არ ცხოვრობენ ასაღებ საცხოვრებელ სახლში და უზრუნველყოფილი არიან სხვა სათანადო საცხოვრებელი ფართობით, მაშინ ასეთი არჩევის უფლება ისპობა და მას შეუძლია მიიღოს სახლის ღირებულება.





# სჯუმაღარ მოძვე უნგრეთის იუკისჯვებთან

## 3. მანისურბამ,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს  
თავმჯდომარე

მიმდინარე წელს საბჭოთა იურისტთა დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ა. ფ. გორკინის ხელმძღვანელობით საპასუხო ვიზიტით იმყოფებოდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნ რსფსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საპატიმრო ადგილების სამმართველოს უფროსი ა. პ. სენატოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ვ. კახინი და ამ სტრიქონების ავტორი.

საბჭოთა იურისტების უნგრეთში გამგზავრების მიზანი იყო, მუშაობის გამოცდილების შესწავლა. ასეთი ურთიერთობა საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ ყოველივე ახალს დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში და დავნერგოთ იგი საბჭოთა იუსტიციის ორგანოთა მუშაობაში.

... და აი 11 ივნისს ცისფერი ლაინერი მსუბუქად დაეშვა ბუდაპეშტის აეროდრომზე. მეგობრული შეხვედრის შემდეგ მასპინძლებმა ჩვენს რეზიდენციამდე მიგვაცილეს.

საბჭოთა დელეგაციის საპატივცემულოდ შეხვედრა მოეწყო უნგრეთის სახალხო სოციალისტური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. შეხვედრა გახსნა იუსტიციის მინისტრმა ამხ. ნეზვალმა, მინისტრის მოადგილეებმა მარკოიამ და სილბერკიმ ვრცლად გაგვაცნეს თუ რა ამოცანები დგას ამჟამად უნგრეთის იუსტიციის ორგანოების წინაშე; შეხვედრაზე აღინიშნა, რომ უნგრეთში კონტრევოლუციის ძალების დამარცხების შედეგად საგრძნობლად ვარდა იქმნა იუსტიციის ორგანოების საქმიანობა, გადაისინჯა ძველი განაჩენები და ბე-

ვრი უდანაშაულო პირი მთლიანად რეაბილიტირებულ იქნა.

მოძველებული კანონების ნაცვლად მომზადდა ჯერ სამოქალაქო სამართლის ხოლო შემდეგ სისხლის სამართლის კოდექსი. გარკვეული ცვლილება განიცადა საპროცესო კანონმდებლობაშიც. გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს, თუ როგორ ახორციელებენ ადმინისტრაციული ორგანოები უნგრეთის მუშათა სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებს კანონიერების სწორად გატარების დარგში.

აღინიშნა, რომ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მთელი რიგი დანაშაულობანი საგრძნობლად შემცირდა, მკვეთრად გაძლიერდა ბრძოლა სავალუტო ოპერაციებისა და კონტრაბანდისტულ დანაშაულობათა მიმართ.

იუსტიციის სამინისტრო ემსახურება ნორმატული აქტების მომზადებას ყველა უწყებისათვის. სამინისტროები მიერ გამოსაცემი ნორმატული ბრძანებების მიღებისათვის აუცილებელია იუსტიციის სამინისტროს დასკვნა.

იუსტიციის სამინისტრო სასამართლო ორგანოებზე ხელმძღვანელობს ორი ძირითადი მეთოდით— რევიზია და დახმარება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რევიზია ტარდება, როგორც საერთო. ასევე ცალკეული კატეგორიების საქმეთა შესწავლის მიზნით.

იუსტიციის სამინისტროსა და უმაღლეს სასამართლოს შორის დამყარებულია მჭიდრო, მტკიცე კონტაქტი. ეს მნიშვნელოვან როლს თამაშობს კანონიერების განმტკიცების საქმეში.

საინტერესოა იყო საბჭოთა დელეგაციის შეხვედრა და საუბარი უნგრეთის უმაღლეს სასამართლოს მუშაკებთან.



უმადლეს სასამართლოს მუშაობის სტრუქტურაზე ისაუბრა უნგრეთის უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარემ იოჟიფ სალაიმ. უმაღლეს სასამართლოში ამჟამად მუშაობს 3 კოლეგია სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლისა და სამხედრო საქმეთა სასამართლო კოლეგიები. სამივე ზემოდასახელებული კოლეგიების თავმჯდომარეებს ჰყავთ მოადგილეები, რომლებიც იხილავენ საქმეებს. უნგრეთის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში 11 კაცია არჩეული. თუ პრეზიდიუმის სხდომას ერთი წევრი დააკლდა, მოქმედი კანონმდებლობით თავმჯდომარეს უფლება აქვს პრეზიდიუმის წევრი შეცვალოს უმაღლესი სასამართლოს რომელიმე წევრით. ასე რომ პრეზიდიუმის დადგენილება კანონიერ ძალაში ვერ შევა თუ პრეზიდიუმის სხდომას 11 კაცზე ნაკლები ესწრება.

ასევე საინტერესოდ და კარგად არის დაყენებული უნგრეთის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მუშაობაც.

უნგრეთის სახალხო სოციალისტური რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა დაწვრილებით გაგვაცნო რესპუბლიკის პროკურატურის მუშაობის სტრუქტურა. — ყველა საპატიმრო საქმეზე, — აღნიშნა გენერალურმა პროკურორმა სელემმა, — ბრალდებულის საბოლოო დაკითხვას პროკურორი ატარებს. ყველა საქმეზე გამოძიების ვადა სამი თვეა. სამი თვის შემდეგ გამოძიების ვადის გაგრძელება უშუალოდ ნებადართული უნდა იყოს გენერალური პროკურორის მიერ.

დავთვალეირეთ ბუდაპეშტის საქალაქო სასამართლო, რამაც ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

ძალზე კმაყოფილი დავრჩით ჩვენთვის დათვალეირებით. პირველ რიგში დავთვალეირეთ სახალხო სასამართლო, სადაც 7 მოსამართლეა. სასამართლოს აქვს ექვსი მშვენივრად მოწყობილი სხდომის დარბაზი. აღსანიშნავია, რომ

სასამართლო ოქმები ხელით ვიწერება, არამედ იბეჭდება, სათანობიროთახში სხდომას ესწრება მდივანი.

საინტერესო შეხვედრა მოეწყო ბუდაპეშტში, საბჭოთა საელჩოში. შეხვედრაზე გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. ფ. გორკინი, რომელმაც დამსწრეთ წარუდგინა დელეგაცია, ვრცლად გააცნო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა კანონიერების განმტკიცების საქმეში და იუსტიციის ორგანოების როლი ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისათვის.

ბოლო დროს უნგრეთმა მკვეთრი ნაბიჯები გადადგა წინ სოციალისტური ეკონომიკის და კულტურის განვითარებაში. მიღებულია ყველა ზომა სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფისათვის. კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ იუსტიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებს.

დანაშაულობათა რიცხვი რესპუბლიკაში თანდათან კლებულობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად შემცირდა ისეთ მძიმე დანაშაულთა რიცხვი, როგორცაა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება, ქურდობა, ხულიგანობა.

დელეგაციის მიმართ დიდ ყურადღებას იჩენდნენ არა მარტო უნგრელი იურისტები, არამედ უნგრეთის კომუნისტური პარტიის მოღვაწეები და რესპუბლიკის მთავრობა, რომლებთანაც გვქონდა პირადი შეხვედრები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

საბჭოთა და უნგრელი ხალხის მეგობრობა დაფუძნებულია მტკიცე და ნამდვილ მეგობრობაზე. ამის ერთი ნათელი დადასტურება იყო საბჭოთა იურისტების საპასუხო ვიზიტი მოძმე სოციალისტურ უნგრეთში.





# საბჭოთა შიშის ცილა

## 48 წელი მოგზავნის ჩემოდასრულების მონაპოვების სადასახოზე

საბჭოთა მილიციის მუშაკებმა მთელ ხალხთან ერთად 10 ნოემბერს იხეიმეს თავისი არსებობის 48-ე წლისთავი.

მუშურ-გლეხური მილიცია დიდი ოქტომბრის თანატოლია, იგი დაიბადა საბჭოთა სახელმწიფოსთან ერთად, განვლო გმირული ბრძოლისა და სახელოვანი შრომის გზა.

სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებელი ვ. ი. ლენინი, ჯერ კიდევ 1917 წლის მარტში წერდა: „საჭიროა გვეყავდეს სახალხო მილიცია, რომელიც გამოხატავს ხალხის უდიდესი უმრავლესობის გონებას, ნებას“.

მილიციის მოღვაწეობის სახელოვანი გზა დაიწყო რუსეთის მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების ხელში აღების მეოთხე დღეს, როცა ტელეგრაფით გადაიცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილება „მუშათა მილიციის დაარსების შესახებ“.

პირველი შეიარაღებული მილიციელები წითელი სამკლავურებით გამოჩნდნენ პეტროგრადის ქუჩებში და ამის შემდეგ ლურჯფარაჯიანი მილიციის მუშაკი, გამოჩენილი საბჭოთა პოეტის ვ. მაიაკოვსკის მოხდენილი თქმით დგას, „თავის უცვლელ საგუშაგოზე“.

ჩვენ სიამაყით ვიგონებთ, რომ ვ. ი. ლენინის სამუშაო კაბინეტის შესასვლელთან სმოლნში, საგუშაგოზე მილიციელები იდგნენ.

სახალხო მილიციის პირველ რაზმებსა და დანაყოფებს რევოლუციური მართლწესრიგის დაცვა მძიმე პირობებში უხდებოდა. ისინი ჯარისკაცებთან მხარდამხარ ებრძოდნენ ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების მტრებს.

ამრიგად, ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების ერთგული დასაყრდენის— ძველი პოლიციის ნაცვლად შეიქმნა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჭეშმარიტად სახალხო ორგანო — მილიცია.

საქართველოში 1921 წლის 15 აპრილს საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის დეკრეტით შეიქმნა რესპუბლიკის მილიციის მთავარი სამმართველო. მილიციის პირადი შემადგენლობის იდეურ პოლიტიკური აღზრდისა და სამსახურებრივი დისციპლინის განმტკიცებისათვის მილიციის ორგანოებში ჩამოყალიბდა პოლიტკომისრების ინსტიტუტი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მილიციის ორგანოების ავტორიტეტის ამაღლებისა და პირად შემადგენლობის დისციპლინის განმტკიცებაში.

საქართველოს მილიციის ისტორია აღსავსეა გმირობისა და თავდადების მაგალითებით. მილიციის მუშაკები იარაღით ხელში ებრძოდნენ თეთრგვარდიელებს, მონაწილეობდნენ კულაკთა აჯანყებების ჩახშობაში, უვნებლყოფდნენ ჯაშუშების, დივერსანტების და რევოლუციის სხვა მტრების მოქმედებას. მილიციის მუშაკებმა ასევე თავი ისახელებს დიდ სამამულო ომში, მათ თავიანთი სიფხიზლით და ოპერატიულობით უზრუნველყვეს მტკიცე წესრიგი ზურგში, ხოლო ფრონტზე მილიციის არაერთმა მამაცმა მუშაკმა შესწირა სიცოცხლე ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების საქმეს.

სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე მილიციის წინაშე იდგა ორი მთავარი ამოცანა:



სისხლის სამართლის დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი ყურადღება ექცევა მშრომელთა კომუნისტურად აღზრდას, მათ შეგნებაში წარსულის მავნე გადმონაშთების დაძლევის, დანაშაულებრივ და სხვა ანტი-საზოგადოებრივ გამოვლინებათა აღმოფხვრის საქმეს.

ბრძოლა ქურდების, სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა და ხულიგანთა წინააღმდეგ, მოითხოვს ფართო საზოგადოებრიობის აქტიურ მონაწილეობას. ამიტომ ამ უკანასკნელ ხანს განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი მილიციის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის მობილიზაციისათვის.

მიღებულია ყველა ღონისძიება მილიციის უახლოესი ოპერატიული ტექნიკით აღჭურვისათვის. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები სულ უფრო კონკრეტულად წარმართავენ მილიციის ორგანოების მუშაობას.

დედაქალაქის მილიციის მუშაკებთან ერთად სასახელოდ შრომობენ ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს ოპერატიული პოლკის მუშაკებიც. მუშაობაში თავდადებით და მაღალი სიფხიზლით გამოირჩევიან სამსახურის ინსპექტორები ამხ. ამხ. გ. ქუმარიტოვი, ო. ხურცია, კ. ახვლედიანი, ვ. გოგიშვილი, რ. ქაფიანიძე, მილიციელები გ. პაქსაშვილი, ხ. კაბულოვი, შ. ხარატიშვილი, ვ. მუხიგულაშვილი, ე. ბუბლიკი, გ. კოტრანოვი და სხვები.

ამჟამად დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულობათა აღკვეთა-აცილებას. ამ საქმეში ბევრი რამ არის დამოკიდებული საპატრულო-საგუშაგო სამსახურის სწორ ორგანიზაციაზე. ბოლო ხანებში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბი-


ჯები მილიციის რაიგანყოფილებებთან და სამწყობრო დანაყოფებს შორის კონტაქტისა და ურთიერთმოქმედების გასაუმჯობესებლად. საპატრულო-საგუშაგო სამსახურის გაძლიერების მიზნით მეტი ყურადღება ექცევა მილიციის განწესების მომზადებასა და ინსტრუქტაჟის ხარისხის ამაღლებას, განწესებაში მყოფი ძალების მანევრირებას, მუშაობაში ოპერატიული ტექნიკის გამოყენებას, საპატრულო-საგუშაგო სამსახურის დისლოკაციის შედგენას მოსალოდნელი დანაშაულობათა ადგილისა და დროის გათვალისწინებით.

ოპერატიული პოლკის და მასში შემავალი დანაყოფების მეთაურები დიდ ყურადღებას უთმობენ განწესების მომზადებას, მათთან ინსტრუქტაჟის ჩატარებას, დაწვრილებით აცნობენ მათ დედაქალაქში შექმნილ ოპერატიულ ვითარებას და უსახავენ მოქმედების კონკრეტულ გეგმას. ამის შედეგად ამაღლდა საპატრულო-საგუშაგო სამსახურის ხარისხი და განწესებაში მყოფი მილიციელების ოპერატიული მონაცემები. სამსახურებრივი მოვალეობის ხარისხიანად შესრულებისა და მუშაობაში თავდადების მაგალითს წარმოადგენს მილიციის სერჟანტ ხ. კაბულოვის მოქმედება, რომელმაც 26 კომისრის სახ. რაიონში დააკავა ვ. მღებრიშვილი (იგივე ს. მარქაროვი), რომელსაც გაექურდა კობარეთის ქ. № 45-ში მცხოვრებ ე. ასატუროვას ბინა და ცდილობდა მიმალვას. შემოწმებით გამოირკვა, რომ მღებრიშვილი თბილისში იმალებოდა.

ამხ. კაბულოვმა მოხერხებულად დააკავა ქურდობისათვის ძებნილი გრიგოლავა, შეიარაღებული ბოროტმოქმედი მელიტოსიანი და სხვები.

სამსახურის ინსპექტორმა ვ. გოგიშვილმა და მილიციელმა ვ. შიბიაციმ მოქალაქეთა მითითების საფუძველზე რუსთაველის გამზირზე დააკავეს შეიარაღებული ბოროტმოქმედები ხარაძე





და ოდიშარია, რომლებიც მილიციის რაიგანყოფილებაში წარადგინეს.

მოტოპატრული სამსახურს ასრულებდა კიროვის სახელობის რაიონში გორგასალის ქუჩაზე. აქ დანებით შეიარაღებულმა ხულიგნებმა ასტეხეს დეზოში. ეკიპაჟის უფროსი გ. კოტრანოვი არ დაიბნა და შემთხვევის ადგილზე გამოიძახა შაუმიანის ქუჩაზე მყოფი ავტო-ეკიპაჟი. მიღებული ზომებით თავაწყვეტილი ხულიგნები დაკავებულ იქნენ.

მოტოპატრულმა ს. მამიკონიანმა სამსახურის შესრულების დროს ვაიგო, რომ გატაცებულია ავტომანქანა გრგ 56-16. ეკიპაჟმა სასწრაფოდ მიიღო ზომები და დაახლოებით ერთ საათში დააკავა ავტომანქანის გამტაცებელი სამი ახალგაზრდა, რომლებიც მიმალვას ცდილობდნენ.

საპატრულო საგუშაგო სამსახურის გულმოდგინედ შესრულების შედეგად მილიციელებმა ი. ელბაქიძემ, ა. გეორჯიანმა, ა. ბაკაროვმა, გ. ბადალოვმა, მ. მინასაშვილმა და სხვებმა მოქალაქეებსაგან რამოდენიმე ცეცხლმსროლელი და ცივი იარაღი ამოიღეს.

დღეისათვის მილიციის ორგანოების წინაშე კიდევ მეტი პასუხსაგები ამოცანებია დასახული.

ცხადია, დასმული საბრძოლო ამოცანის შესრულება შეუძლია მხოლოდ მუშაკს, რომელსაც ახასიათებს მაღალი იდეურობა, რომელსაც ღრმად შეუგნია და სწამს ჩვენი მიზნები და ამოცანები.

პირადი შემადგენლობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და მათი გამოწვითობის საკითხი პოლკის პარტორგანიზაციის და ხელმძღვანელობის სერიოზული ზრუნვის საგანია.

მუშაობაში ორგანიზებულობისა და დისციპლინის ამალღებით უნდა მივალწიოთ სისხლის სამართლის დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერებას. მხოლოდ ასე შეიძლება გადავჭრათ ის დიდი ამოცანები, რასაც მილიციის ორგანოებს უსახავს ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

### მ. შურცხვალაძე,

ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს ოპერატიული პოლკის მეთაური მილიციის პოლკოვნიკი,

### ვ. მეგრელიშვილი.

ოპერატიული პოლკის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის პოლკოვნიკი





# საუკთიანთო პასუხისმგებლობა ჩსს-დ უპოლადეა სამეკთაღში

ადვ. ბ. სრეშოლავა.

რუსეთის სამართლის ისტორიის მეორე პერიოდის<sup>1</sup> სასამართლო სიგელებში გვხვდება ხშირად ვხვდებით მაძიებლებად და მოპასუხებებად მიწაზე დავის საქმეთა განხილვისას. ამ სიგელებით ირკვევა, რომ სადავო მიწა გლეხების საკუთრებას არ შეადგენდა. იგი ეკუთვნოდა დიდ მთავარს, ეკლესიას ან კერძო შემამულეს.

დიდი მთავრის მიწას — „შავ მიწას“ ანუ „შავი თემის“ („Черные земли“) მიწას ეძახდნენ. ასეთი მიწების გადაწოდება პერიოდულად ხდებოდა გლეხებს შორის და მათ ამუშავებდნენ დიდი მთავრისათვის საურთიერთო პასუხისმგებლობით ხარკის გადახდის პირობით.

1528 წელს დიდი მთავრის ბოიარინმა ზახარინმა გადაწყვიტა საქმე მიტროპოლიტის ბოიარინის რაგოზინის საჩივრის გამო შემამულე ნერონოვის გლეხებთან, ლაპინთან და მის აზნაგებთან. მაძიებელი ამტკიცებდა, რომ სამიტროპოლიტო მიწაზე მცხოვრებ გლეხთა ქონება გაძარცვეს და დაწვეს ლაპინმა და მისმა 18 აზნაგებმა.

საქმის განხილვის მომენტისათვის ლაპინის აზნაგებები მიიმალნენ. მათ მაგიერ ლაპინი აგებდა პასუხს. მოპასუხე ლაპინმა აღიარა ერთერთი კომლის გადაწვა და ნაწილობრივ გაძარცვა, მაგრამ, როგორც მან განაცხადა, ეს, ჩაიღინეს თავისი ბატონების ნერონოვების ბრძანებით, რომლებიც სასამართლოს არ დაუკითხავთ. მოსამართლემ, ზარალის მთლიანად გადახდა, 38 მანეთის ოდენობით, ლაპინს დააკისრა და ვინაიდან მას ამის გადახდის უნარი არ ჰქონდა იგი

მონათ გაცემული იქნა მაძიებელზე ზარალის ანაზღაურების ანგარიშში.<sup>2</sup>

ამ შემთხვევაში ფაქტიურად დავა წარმოებდა ეკლესიასა და შემამულე ნერონოვებს შორის, რომელთა სილუეტები აშკარად მოჩანს ლაპინის ზურგს უკან. ლაპინი მხოლოდ პროცესუალური ფიგურაა ყოველგვარი მატერიალური ინტერესების გარეშე, რომლის გაყიდვა შემამულეს ყოველთვის შეეძლო ამ საქმის დამოუკიდებელიც. საფიქრებელია, რომ შემამულემ თვით მოაწყო სხვა გლეხების გაქცევა და მაძიებელს შეატოვა მარტოოდენ ლაპინი ზარალის ანაზღაურების ანგარიშში, რომლის გადახდა მისთვის უფრო საძნელო იყო ვიდრე ლაპინის დაკარგვა.<sup>3</sup>

ასეთი შემთხვევები, როდესაც შემამულეთა მაგიერ გლეხები გამოდიან, მრავალია, საგამათიქოს გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მომჩივანი თემის გლეხები შემამულეს ეღავებიან საკუთარ მიწას.<sup>4</sup>

ამ მხრივ საინტერესოა 1498 წლის დიდი მთავრის დემიტრი ივანეს ძის სიგელი მოსამართლე კროტკის მოხსენებით. საქმის შინაარსი ასეთია: პერეასლავლის მაზრის გლეხები სტრუნიინები, ედავებიან მიტროპოლიტის გლეხებს მიწის ნაკვეთზე, რომელიც ამ უკანასკნელებმა დაისაკუთრეს და სამიტროპოლიტო სოფელ კარინსკს გაუერთიანეს, სტრუნიინები ამტკიცებენ, რომ სადავო მიწა წარმოადგენდა მათ საკუთრებას „ოტჩინა“-ს, რადგან იგი მაძიებლის მამას მიღებული ჰქონდა მზითვად ფეოდორ სუ-

<sup>1</sup> მიღებულია რუსეთის სამართლის ისტორიის სამ პერიოდად დაყოფა: პირველი IX — XII საუკუნეები ანუ კიევის პერიოდი, მეორე XV—XVII საუკუნეები, ანუ მოსკოვის სამთავრო; მესამე XVIII—XIX საუკუნეები ანუ იმპერია. (იხ. М. Владимирский-Буданов, Обзор истории русского права, Киев, 1902 г., გვ. 4). „უღელდების“ პერიოდი XIII—XIV საუკუნეები განხილბა მეორე პერიოდთან დაკავშირებით.

<sup>2</sup> Акты феодального землевладения и хозяйства XIV—XVI веков. Москва, 1951 г. გვ. 194—197.

<sup>3</sup> იმ დროს შემამულე მატერიალურად პასუხს აგებდა თავისი გლეხის დელიქტისათვის. (იხ. М. Владимирский-Буданов, დასახ. შრომა. გვ. 609). ასევე იყო დასავლეთის უძველესი სამართლითაც (ი. დოლიძე, აღრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, გვ. 18).

<sup>4</sup> იყო ცალკეული შემთხვევები, როდესაც გლეხებს ჰქონდათ თავიანთი საკუთრება განსაკუთრებით კოლონისტებს, რომლებიც დაუმუშავებელ მიწას დაუფლებით იძენდნენ. ნოვგოროდში მათ „სვოგეზმცებს“ ეძახდნენ.



ხერინისაგან, როდესაც ამ უკანასკნელის ქალი-შვილზე მათი მამა დაქორწინდა. ამის შესახებ მაძიებლებმა სიგელიც წარმოადგინეს, მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ მაძიებლების მოწმეები (знахори) მოპასუხებთან ხმალი არ გავიდნენ („у поля не стати“)! საქმე გადაწყდა სამიტროპოლიტო გლეხების სასარგებლოდ.\*

ამ გამოჩაყლის შემთხვევაშიც მაძიებლები თავის „ოტჩინას“ ქვეშ მათთვის დასამუშავებლად მიჩენილ მიწას გულისხმობდნენ, რომლის მიმართ ისინი როგორც ფილუციური მესაკუთრეები გამოდიოდნენ.<sup>3</sup>

ეს კარგად ჩანს ივანე III 1497 წლის სამართლის წიგნის 62 მუხლით, რომელიც მნიშვნელოვანია არა მარტო იმით, რომ აწენებს ხანდაზმულობის ვადას მიწაზე დადებისათვის, არამედ იმითაც, რომ მასში ზუსტად და ამომწურავად დასახელებულია ის სუბიექტები, რომელთაც შეუძლიათ დავა მიწის შესახებ. ამ მუხლის პირველ ნაწილში დავის სუბიექტებად აღიარებულია: ბოიარინები ურთიერთ შორის, მონასტრები ურთიერთ შორის, მონასტერი და ბოიარინი ან პირუტყუ ბოიარინი და მონასტერი. მეორე ნაწილის მიხედვით დავის სუბიექტებია: შავი სოფელი შავ სოფელთან, მემამულე მემამულესთან, შავი სოფელი ან კერძო მემამულეური სოფელი მემამულესთან, ან ეს უკანასკნელი შავ სოფელთან ან კერძომემამულეურ სოფელთან. მესამე ნაწილით დავის სუბიექტები არ

არის დასახელებული. აქ გათვალისწინებული თუ ხანდაზმულობის რა ვადა დაწესებული მონასტრისა და ბოიარინისაგან დიდი მთავრის მიწის ჩამორთმევის შემთხვევაში. ამგვარად, „სულდენის“ 68-ე მუხლის მესამე ნაწილში, სადაც ლაპარაკია დიდი მთავრის მიწებზე, ნათქვამი არ არის თუ ვისი სარჩელით უნდა იქნეს დაცული მისი მიწები, მაშინ, როდესაც პირველთა ნაწილში ეს კაზუსიტურად არის მოცემული: „а взыщет черной на черном“ და ა. შ. ან а взыщет—, или черной или сельской на помещичье, или помещик на черном и на сельском“<sup>4</sup>.

შავი მიწების გლეხების ურთიერთშორის დავა მიწებზე არ შეიძლება გაპრობებული ყოფილიყო საკუთრების ტიტულით, ვინაიდან მათ მიერ დაკავებული მიწები დიდ მთავარს ეკუთვნოდა.<sup>5</sup>

ამ სარჩელის ბუნება ვასაგები ვახლება თუ ვავითვალისწინებთ იმავე სამართლის წიგნის 62 მუხლს, რომელიც ეხება მიწის საზღვრებს. ამ მუხლის თანახმად დიდი მთავრის ბოიარინის ან მონასტრის მიწის საზღვრის მოშლა ან გადახვნა სასამართლო წესით ისჯებოდა. მაგრამ იგივე ქმედობა სოფლის გლეხთა შორის მამასახლისის ქვემდებარე იყო, რადგან მიწა გლეხებს არ ეკუთვნოდათ.

ამასადაამე, დავა სხვადასხვა სოფლის გლეხთა შორის მიწის საზღვრების შესახებ მამახა-

1 «поле» მტკიცების ერთ-ერთი სახე იყო და ემსგავსებოდა ქართულ სამართლის ხმალით გაწვევას. ასეთ შერკინებაში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო მხარეები, არამედ რაც მთავარი მოწმეებიც (знахори, послухи) ამის გამო მოწმე სიტოცხლის დაქარვვის რისკის პირისპირ იდგა. მხარეებს დაქირავებული კაცის გაყვანა შეეძლოთ ხმალით. გარკვეულ პირობებში ამის უფლება მოწმეებსაც ჰქონდათ. (იხ. Памятники русского права, вып. 3, гл. 59, 354) 1550 წლის სამართლის წიგნის «Судебник» მიხედვით ბოიარინების შვილების საწინააღმდეგო მეორე მხარეს წეებოდა ხმალით დაქირავებული გლეხების გამოყვანა. ბრძოლა მხარეთა შორის ნაჯახებით, კეტებით წარმოებდა. ამ ბრძოლაში მაცურებლებიც ერეოდნენ. ამგვარად რუსეთში ამ ინსტიტუტმა თავისებური სახე მიიღო.


2 Акты феодального землепользования и хозяйства XIV—XVI вевов 83. 110 — 111.

3. ფილუციურ საკუთრებაში ქონების იურიდიული მესაკუთრე ნამდვილი მესაკუთრე არ არის. მაგრამ მესამე პირების წინაშე იგი გამოდის როგორც მესაკუთრე. ბიზანტიაში X საუკუნეში ხშირად მონები ფილუციურ მესაკუთრეებად გამოდიან იმ ქონების მიმართ, რომელიც მათ პატრონს ეკუთვნოდა. (იხ. М. Я. Сюзумов, «Книга Эпарха», ученые записки Свердловского государственного педагогического института, вып. VI—1949 г.). რუსეთის სამართალი ნაწილობრივ ბიზანტიის ზეგავლენას განიცდიდა და ამიტომ ვასაკვირი არ არის იმ ინსტიტუტის აქ არსებობა განუვითარებელი სახით.

4 ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში «сельской» კერძო მემამულეურ სოფელს ნიშნავს და გათანაბრებულია შავ სოფელთან დავას არ იწვევს (იხ. Памятники русского права, вып. 3 83. 372).

5 შავი მიწებიდან დიდი მთავრის „სასახლის“ дворцовые მიწების პირობითად გამოყოფა პირველად გვხვდება დიდი მთავრის სემიონ ბეკბულატოვიჩის (ივანე მრისხანის მოადგილე) 1576 წლის სიგელში თავად დანიელ ზასკეინის სახელზე. (იხ. Хрестоматия истории Русского права, М. Владимирский-Буданов, II ნაწ., გვ. 244.





ზღისს არ ექვემდებარებოდა და უნდა გადაწვეტილიყო სასამართლოს მიერ.

წყაროები მოწმობენ, რომ დიდი მთავრები, სამთავროს მთელ მიწას თავის (საკუთრებად თვლიდნენ. მთავრები საკუთრების უფლებას არ ანსხვავებდნენ სუვერენიტეტისაგან, მაგრამ მიწის მფლობელობა სხვადასხვა წოდებათა შორის უკვე დიდი ხნის ფაქტი იყო, რასაც „სუღებნიკი“ გვერდს ვერ აუვლიდა.

ამ გარემოებამ და იმ იდეამ რომ ყველა მიწები დიდი მთავრის ერთპიროვნული საკუთრებაა, იმუღებელი გახდა სამართლის წიგნის აკტორები, პრაქტიკაში გამტკიცებული წესი, შემამუღეთა შორის მიწებზე დავის გადაწყვეტისა გლეხების საშუალებით, მოხერხებულად აესახათ „სუღებნიკში“ ისე, რომ დიდი მთავარი მხარედ არ გამოჩენილიყო. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება გასაგები თუ რატო იბრძვიან გლეხები სასამართლოში დიდი მთავრის მიწებისათვის. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი წესი გავრცელდებოდა კერძო შემამუღურ და სამონასტრო მიწების შესახებ დავის საქმეებზე. მართლაც, სამიტროპოლიტო და კერძო შემამუღეთა დავის დროს გლეხები გამოდიან სასამართლო პროცესებზე. მაგრამ ამ მოვლენას უფრო ღრმა საფუძველი ჰქონდა, იგი ხიზმოლურია, გადანაშთია სლავური თემისა, რომელიც ხალხის ცნობიერებაში კიდევ პოულობს გამოხსივებას მიუხედავად თემის გადაგვარებისა. აღმოსავლეთ სლავების თემის ბუნების პრობლემა წარმოადგენდა მკვლევართა და აუბლიციანტთა დისკუსიის საგანს და მხოლოდმხედველობით დაპირისპირებასაც იწვევდა რუს ინტელიგენტთა შორის XIX საუკუნეში.

ამჟამად საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში აკად. ბ. დ. გრეკოვის შრომების წყალობით გამომუშავებულია გარკვეული შეხედულება ამ საკითხზე.<sup>1</sup> ამ შეხედულების თანახმად კიევის ხანელმწიფოში „რუსკაია პრავდის“<sup>2</sup> მიხედვით სამეწობლო ან ტერიტორიული თემი უკვე შე-

ცვლილი იყო გვაროვნული ან სისხლით ნათესაობაზე დამყარებული თემით. „რუსკაია პრავდაში“ ტერიტორიულ თემის აღმნიშვნელ ტერმინებთან მოცემულია „Мир“ და „Вервь“. „კრატკაია პრავდას“ მე-13 მუხლის თანახმად მესაკუთრეს შეეძლო დაკარგული ცხენის იარაღის, ტანსაცმლის უკან დაბრუნება თუ ის გამოცნობდა მათ თემში. („а познает в своем миру“). „პროსტრანაია პრავდას“ 70-ე მუხლში დასახელებული „ვერვი“ „მირის“ ხინონიშად უნდა იქნეს აღიარებული. „Аже будет рассечена земля по верви искомат татя“ (тат ქურდს, მტაცებელს ნიშნავს). იმავე „კრატკაია პრავდას“ მე-20 მუხლის თანახმად თუ მთავრის დიდი მზებლის მკვლელი მოძებნილი ვერ იქნა ხსჯელი, გადასახადი მთავრის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს თემს, სადაც მოკლული აღმოჩნდა „а и же оубиють огнищанина в разбой любо оубицоуне ишоут, то вирное платити в чьей же (верви) голова начнет лежати“. „ვერვის“ განცალკევებას ოჯახიდან ჩვენ „პროსტრანაია პრავდას“ მე-7 მუხლიდან ვგებულობთ. მასში ნათქვამია: თუ უმიზეზოდ მოკლულია თავისუფალი კაცი „ვირას“ (გადასახადს) მთავრის სასარგებლოდ თემი არ იხდის, მკვლელი ვაცემულ უნდა იქნას ქონებრივი და პირადი სასჯელის დასადებად.

„Будет ли стал на разбой без всякой свады, то за разбойника людие не платят, но выдадят и всего с женой и с детьми на поток и разграбление“. მაშასადამე უკვე „ვერვი“ განსხვავებულია ოჯახიდან, რაც გვაროვნულ წყობილებაში შეუძლებელია.

„პროსტრანაია პრავდაში“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „дикая вервь“-ს ინსტიტუტი. იგი წარმოადგენს თემის წევრის წინასწარ შენატანს თემზე შეწერილი ჯარიმებისა და გადასახადების გასახტუმრებლად. „პროსტრანაია პრავდას“ მე-8 მუხლის თანახმად, „ვერვი“ ეხმარება მხოლოდ იმ წევრს, რომელიც მონაწილეობდა „დიკაია ვირას“ შექმნაში და უარს ეუბნება დასმარებაში იმას, ვისაც ასეთი მონაწილეობა არ მიუღია.

„Аже кто не вложиться в дикую виру, тому людые не помогают“.

<sup>1</sup> Б. Д. Греков, Крестьяне на Руси. Москва, 1946 г. მიხედვ. Киевская Русь, 1944 г.  
<sup>2</sup> «Русская правда» XI — XII საუკუნეების სამართლის ძეგლია. შესდგება XI საუკუნის «Краткая правда»-საგან და XII საუკუნის «Пространная правда»-საგან. კრატკაია პრავდას პირველი ნაწილი (17 მუხლამდე) მთავარი იაროსლავის საქანონდებლო მოღვაწეობის შედეგია, მეორე ნაწილში მისი შვილების. (С. Ф. Юшков, Русская правда, 1950 г.).





ამგვარად, ჩვენ სახეზე გვაქვს ტერიტორიული თემი<sup>1</sup>.

მაგრამ ასეთი თემი მთავრის და მისი „დრუჟინისგანაა“ დამოკიდებული. თემი იხდის ხარკს და ასრულებს ნატურალურ ბეგარას (ციხის მშენებლობა, გზის გაკეთება და სხვა). უველაფერი ეს ხდება მთავრის (Князь) ან მემამულის (муж) სასარგებლოდ, რომელთაც ევროპის საშუალო საუკუნის ფეოდალის მსგავსად ჩადგმული აქვთ ციხე-სიმაგრეები მორჩილ თემებში. თემის წევრს „სმერდი“ ერქვა, რომელიც დამამცირებელ სიტყვად იქცა; ვინაიდან სმერდი გაუხწორდა „ხოლოზს“, ხოლო ეს უკანასკნელი მონას (паш) ნიშნავდა. (აქედან სიტყვა „рабство“ ანუ მეორენაირად „страда“ რომლიდანაც страдать წარმოიშვა) მონღოლთა ბატონობის პერიოდში სიტყვა „სმერდი“ ქრება და მის მაგიერ მონღოლური სახელწოდება „христиане“ ანუ „крестьяне“ შემოდის ხმარებაში.

შემომოყვანილი შეხედულება სწორად ასა-

ხავს რუსული თემის ბუნებას, ვინაიდან „სხვა“ სახე თემს შემდეგ პერიოდებშიც ახასიათებდა. ამგვარად, თუმცა არსებობდა ფეოდალიზმის გზაზე შემდგარ პრივილეგიურ წოდების საკუთარი მამულები „გრაძების“ „ხოლოზების“ სახით, რომელთაც მემამულეები „ხოლოზების“ შრომით ინახავდნენ, მაგრამ ხარკის გადახდელ მონასლეობას თემში მცხოვრებნი — „სმერდები“ ანუ შემდეგში გლეხები წარმოადგენდნენ, რომლებიც „ხოლოზების“ მდგომარეობამდე იქნენ დაყვანილი თემების დაპყრობის შედეგად, ვანურჩევლად იმისა თუ ვის ჩავთვლით დამპყრობლად უცხო ტომებს თუ სლავიანთა ქალაქებიდან გამოყოფილ სოციალურ ჯგუფს „რუსინების“ სახით.<sup>2</sup>

ტერიტორიული თემი ანუ მარკა, რომელიც გერმანელებმა შექმნეს დაპყრობილ ან კოლონიზებულ რომის იმპერიაში, არბილებდა სოციალური დიფერენციაციის უკიდურესობებს „ამიტომ ტერიტორიული თემი დღემდის ცხოველყოფელ იარაღს წარმოადგენს ჩაგრულთა ხელში“<sup>3</sup> თემი ზღუდავდა მესაკუთრეების ხელ-

<sup>1</sup> „რუსკაია პრავდაში“ ტერიტორიული თემის საწინააღმდეგო ნიშნებიც არის. მაგალითად, შურისმაძიებელთა წრე შეზღუდულია, მაგრამ შურისძიება მაინც დაშვებულია რაც გვაროვნულ წყობილების დამახასიათებელია.

არ შეიძლება შურისძიება პაპის და ქალთა სქესის ნათესავეების მკვლელობის შემთხვევაში. თუ შურისმაძიებელი არ აღმოჩნდა მკვლეელი გადასახადს იხდის მთავრის სასარგებლოდ. მაშასადამე, შურისძიება სავალდებულოა ნათესავეებისათვის და ეს იმ დროს, როდესაც „რუსკაია პრავდა“ ზღუდავს შურისმაძიებლებს.

ევროპის უძველესი სამართლის წყაროების მიხედვით ტერიტორიულ თემში შურისძიება შეცვლილი იყო დაზარალებულის სასარგებლოდ კომპოზიციის გადახდით (რომელიც „პრავდაში“ არ სჩანს) (იხ. ი. დოლიძის შემოღდასახელებული შრომა, გვ. 54).

<sup>2</sup> ამკამად უარყოფილია ევრეთწოდებული ნორმანისტული თეორია კიევის სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში. ამ თეორიის მიხედვით კიევის სახელმწიფო შექმნილია (პოლიტიკური მნიშვნელობით) სკანდინავიიდან გამოსული თვაღების მიერ.

ნორმანისტების შეხედულებით სახელწოდება «Русь» სკანდინავური წარმოშობისაა, რადგან «Русь» ერქვა სკანდინავიიდან გამოსულ ტომს. რუსეთის პირველი უამთა აღმწერელი მათ „ვარიანებს“ უძახის, ევროპის ქვეყნებშიც ჩნდებოდნენ სკანდინავიიდან გამოსული მეომართა ამხანაგოები, იქ მათ „ვიკინგებს“ ეძახდნენ. „ვიკინგები“—ს საომარი ორგანიზაცია ამხანაგობაზე იყო დაფუძნებული. მათ წესდებაში ნათქვამი იყო: „ჩვენ არ ვცნობთ სხვა სამართალს, გარდა მახვილით დამყარებულისა, ჩვენ არ გვაქვს სხვა მიზანი თუ არა მტრის სიკვდილი და ნადავლის ძარცვისა“. სამჭოთა ისტორიკოსმა ს. ვ. იუშკოვმა აღმოსავლეთ სლავიანთათვის «Русь» სახელწოდების მიცემა დაუკავშირა სლავურ ტომთაგან გამოყოფილ პრივილეგიურ სოციალური ჯგუფების სახელწოდებას, რომელთაც «Русь» ერქვათ.

ეს სოციალური ჯგუფები ქალაქებში ცხოვრობდნენ და ძარცვის მსგავსი საშუალებებით იღებდნენ ხარკს თემების მცხოვრებლებისაგან, რაც მთავარია ეს ჯგუფები განსხვავდებოდნენ ყველა სლავი ტომებისაგან კულტურით და ენით.

ამ სოციალურ ჯგუფების სახელწოდებას «Русь» ეთნიური მნიშვნელობა მიეცა.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ორივე თეორიის მიხედვით თავისუფალი თემები დაპყრობილი იყო და ამიტომაც მათ ხარკი (дань) დაედო.

<sup>3</sup> ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, თბილისი, 1932 წ., გვ. 181.



ყოფას თავისუფალ ადამიანებზე, რაც თან სდევდა გვაროვნული ოჯახის რღვევას.

ფ. ენგელსის შეხედულებით ტერიტორიულ თემში, სადაც დავიწყებული იყო გვაროვნული წყობილების ინსტიტუტები ან მოკონება სისხლით ნათესაობაზე ან როდესაც კერძო საკუთრების განმტკიცების გარეშე სახელმწიფო წარმოიშობოდა, მაშინ თემები არამც თუ წარმოადგენდნენ ჩაგრულთა იარაღს, არამედ ასეთ პირობებში სახელმწიფო გვევლინება დესპოტიზმის სახით. ამის ნიმუშად ფ. ენგელსი აზიის არიულ ქვეყნებს და რუსეთს ასახელებს.<sup>1</sup>

აღმოსავლეთ სლავების თემებს „რუსკაია პრადამ“ იმ დროს მოუსწრო, როდესაც თემები ფეოდალიზირებული იყვნენ დაპყრობის და არა შინაგანი განვითარების შედეგად.

ბ. დ. გრეკოვი სლავიანთა ფეოდალიზაციის პროცესს ორივე ზემოთხსენებულ მიზეზს მიაწერს,<sup>2</sup> მაგრამ კმაყოფილდება ზოგადი მოსაზრებებით, არ მოჰყავს არავითარი შინაგანი მიზეზი თემის ფეოდალიზაციის შესახებ. აღმოსავლეთ სლავიანთა თემები რომ შინაგანი განვითარების გზით ქვეულიყვნენ ტერიტორიულ თემებად, მაშინ მათ უნდა შერჩნოდათ სამხრეთ სლავიანთა თემების თვისებები.

ვინოდოლის 1288 წლის სტატუტი (Винодольские законы) მთავრის გვერდით, თემის სახალხო კრებას საკანონმდებლო ფუნქციას უტოვებს გარკვეულ ფარგლებში. თემის ორგანოები მოქმედებენ მთავრის ადმინისტრაციის გვერდით და მთავრის გარეშე წყვეტენ სერიოზულ საკითხებს.

იგივე თემები იცნობენ საურთიერთო პასუხისმგებლობას და „დიკაია ვირას“ რასაც სტატუტი „ვრაუბას“ ეძახის, მაგრამ ამ ინსტიტუტების საშუალებით თემი, მთავრის ხელისუფლებას აწონასწორებს და ამდენად ისინი თვინობრივად განსხვავდებიან აღმოსავლეთ სლავიანთა მსგავს ინსტიტუტებისაგან. სამხრეთ სლავიანების თემები სასამართლო ფუნქციებსაც ანხორციელებენ თავის თემში, და სასამართლო გადასახადებიც მათ სასარგებლოდ მიდიოდა.<sup>3</sup> მსგავსად სერბიელთა თემის „ზადრუგისა“ ვინოდოლის სტატუტით აღწერილი თემი სერიო-

ზულ დაბრკოლებას უქმნიდა პრივილეგიულ კლასს თემის წევრის დამონებისათვის.

ამის მსგავს მოვლენას ჩვენ ვერ ვხვდებით აღმოსავლეთ სლავიანთა თემში. ამის გამო საფიქრებელია, რომ აღმოსავლეთ სლავიანთა თემები დაპყრობილი იყვნენ იმ დროს, როდესაც მათ გვაროვნული წყობილება ჰქონდათ, რის შემდეგ ამ თემმა შეითვისა ტერიტორიული თემის წყობილება იმ უარყოფითი მხარეებით, რაც თან სდევს ასეთ ძალმომრეობით ტრანსფორმაციას.

„ჩვენ ვიცით, ამბობს ფ. ენგელსი, რომ ბატონობა დაპყრობილ სახლზე არ ეგუება გვაროვნულ წყობილებას.“<sup>4</sup>

აღმოსავლეთ სლავიანთა თემი დამონების უჩრდილი იყო და ძალიან დაცილებული ფ. ენგელსის მიერ აღწერილი „მარკისაგან“. ამით აიხსნება სლავიანთა კოლონიზაციის პროცესის თავისებურება.

აღმოსავლეთის სლავიანები პერმანენტულად და დიდი ნაკადებით სტოვებდნენ თავის მამაპაპის ადგილებს და სახლდებოდნენ ნაკლებ თავისებულ და თავისუფალ მიწებზე, რომელიც ესოდენ დიდი იყო აღმოსავლეთ ევროპის დაბლობში. თავის მრავალრიცხოვნებით ისინი ასლავიანებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას ან ითქვიფებოდნენ მათში. „ველიკორუსები“ წარმოიშვნენ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთში ემიგრირებული კიევის მოსახლეობის და თურქი წარმოშობის მოსახლეობის შერწყმის ნიადაგზე.<sup>5</sup>

კიევის პერიოდის თემები, დამორჩილებულნი მთავრისა და მისი „დროჟინის“ წევრებისაგან იხდიდნენ ხარკს რომლის აკრევას „полюдье“ ერქვა, რაც არაფრით არ განსხვავდებოდა ძარცვისაგან. ამიტომ ხარკის გადასდას წყაროები „вымучивание дани“ ეძახდნენ, რაც მოსახლეობის ტანჯვა-წამებაზე მიუთითებს.

X საუკუნის არაბი გეოგრაფი აღ-მანსიდი და XI საუკუნის სპარსი გეოგრაფი გარდიზი მოგვითხრობენ სლავიან მონებით ვაჭრობას აღმოსავლეთის ბაზარებზე.<sup>6</sup>

არანაკლებ დამონებულნი იყვნენ აღმოსავლეთ სლავიანთა თემები შემდეგ პერიოდებშიც. ამ დროსაც გლეხები ცლობით, ოჯახებით და სოფ-

1 Ф. Энгельс. Переворот в аграрных отношениях при Меровингах и Каролингах. Соч. К. Маркс и Ф. Энгельс т. XVI, гл. 391.

2 Б. Д. Греков, Киевская Русь гл. 289—290.

3 Ф. Леонтович. Древнее хорвато-далматское законодательство, 1868 г. 33-17.

4 ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. 1932 წ., გვ. 180.

5 С. Ф. Платонов, Лекции по русской истории, гл. 105.

6 Б. Д. Греков, А. А. Якубовский, Золотая орда и ее падение, 1950 г. 33-22—23.



ლებით იყიდებოდა. მოსკოვის პერიოდის თემური წყობილება შავსა და კერძო მიწებზე გაუგებარ მოვლენად დარჩებოდა, რომ იგი კიევის თემის ტრადიციას დავაცილოთ, რომლის განვითარება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვაროვნული თემის სტაბილურ შექმნაზე

მაგრამ უნდა აღინიშნოს შემდეგი: თუ მეორე პერიოდის ზოგიერთ პარტიკულიარული კანონმდებლობით დაშვებულ გამოწვევებს მხედველობაში არ მივიღებთ, მოსკოვის სამთავროში გლეხები გადასვლის თავისუფლებით ხარგებლობდნენ ვიდრე არ მოხდა მათი საბოლოო მიმავრება მიწაზე, რაც გავრცელებული შეხედულებით ბორის გოდუნოვის 1597 წლის კანონით იქნა დადგენილი.

გლეხის გადასვლის შესაძლებლობამ ერთი მემამულიდან მეორეზე და თემის არსებობის ფაქტმა, შექმნა წარმოდგენა გლეხების პროცესუალური უფლებაუნარიანობის შესახებ, რაც მოხერხებულად იქნა გამოყენებული მმართველი კლასის მიერ. სინამდვილეში კი მონაწილეობა პროცესში ისეთსავე ბეგარას წარმოადგენდა გლეხსათვის, როგორც ყოველი სხვა ბეგარა. წარმოუდგენელია, რომ „მოწმე“ და მოდავე გლეხი „სმალში“ გასულიყვნენ მოპირდაპირესთან მიწის შესახებ, რომელიც თემში წმირი გადანაწილების გამო მოდავე მხარეს შეიძლება არც მისცემოდეს დასამუშავებლად.

სწორედ იმის გამო, რომ აღმოსავლეთ ხლავიანების თემში გაქრალი იყო გვაროვნული წყობილების და სილადის ნიშნები, ამ თემებიდან ემიგრაციამ ფართო ხასიათი მიიღო. XIII—XIV საუკუნეებში, მოსკოვის უწინშენელო სამთავროში სახლდებოდა მონღოლებისაგან და საკუთარი თავებისაგან დაზარალებული მოსახლეობა (მაგ. 1252 წ. პერეიასლავზე და 1281—1282 წლებში ვლადიმირზე, იურევზე, მურომზე, როსტოვზე და სხვა ქალაქებზე თავდასხმებისაგან გაქცეული მოსახლეობა). თვით მოსკოვის სამთავრო დაცული იყო მონღოლებიდან და სხვა ხალხთა თავდაპისმეფებისაგან ძლიერი „უდებლების“ მიერ, რომლებიც გარს ერტყა მოსკოვს (სმოლენსკი, ტვერი, ნოვგოროდი, რიაზანი, პსკოვი): ამან გამოიწვია მოსკოვის სამთავროს ხალხმრავლობა და მას შემდეგ რაც მოსკო-

ვის მთავრებმა მონღოლთა ბატონობა მონღოებულად თავის სასარგებლოდ გამოიყენეს (ხარკის გადახდა მონღოლთა ხანებმა მოსკოვის მთავრებს მინდო) მოსკოვის სამთავრო სათავეში ჩაუდგა აღმოსავლეთ სლავიანთა ცენტრალიზაციის საქმეს, რასაც ფისკალური ინტერესებში მონღოლთა უწყობდნენ ხელს.

მაგრამ იმავე ემიგრაციის პროცესი შემდეგში მოსკოვის სამთავროსაც ახასიათებდა. აქაც თემის მოსახლეობა გარბოდა ქვეყნის განაპირა მიწებზე.

XVI საუკუნეში ამ პროცესმა იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ მოსკოვის სამთავრო გაუკაცრიელობის საშიშროების პირისპირ იდგა.<sup>1</sup> ამ პერმანენტულ კოლონიზაციის პროცესმა აღმოსავლეთ სლავებს მრავალი ქვეყანები შესძინა. სხვა მოსახლეობაში ინფილტრაციის გზით ისინი ასლავიანებდნენ აღმოსავლეთ ხალხებს. სლავი ხალხის მკვლევარს ნიდერლეს კოლონიზაციის ასეთი უნარი აღმოსავლეთ სლავების ბუნების სიძლიერედ მიაჩნია.<sup>2</sup> ხოლო ისტორიკოსი ს. მ. სოლოვიოვი ამავე მოვლენას აღმოსავლეთ სლავიანების ბოგანობისაკენ, ხეტიალისაკენ მიდრეკილებით ხსენის.<sup>3</sup>

თავისთავად ცხადია, რომ ამ მოვლენას სლავიანების ბუნებასთან არავითარი კავშირი არ აქვს და აისხნება სოციალ-ეკონომიური ფაქტორებით.<sup>4</sup>

მოსკოვის მთავრობა სადაც კი მისწვდებოდა გლეხთა შედარებით თავისუფალ გაერთიანებებს თემში თუ ამხანაგობებში, ან ფეოდალურ საზოგადოებებში, სადაც შერჩენილი იყო ხალხმმართველობის ფორმები ამ მოსახლეობას, იგი კვლავ აუცნებდა ცენტრალურ რაიონებში გაბატონებულ რეიშიში. ძალმომრეობით იქნა ნიველირებული ნოვგოროდის, პსკოვისა და ნაწილობრივ გალიჩის უფლებრივი წესრიგი, რომელიც მიუწვდომელი დარჩა შემდეგ საუკუნეებშიც ცენტრალიზებულ სახელმწიფოსათვის. ამ მისწრაფებამ განსაკუთრებით იჩინა თავი მესამე პერიოდში. ბელორუსიის შემოერთების შემდეგ (1795 წ.) დაიწყო გლეხების გაყიდვა, ოჯახების გარეშე, რაც მანამდე გაუგონარი იყო ამ ოლქისათვის. თუმცა უკრაინა რუსეთთან შეერთების მომენტში ფეოდალიზებული იყო, მაგრამ გლეხებს თავისუფა-

1 იხ. А. И. Смирнов. Восстание Болотникова 1600—1607 г. გვ. 44, 47.

2 Л. Нидерле Славянские древности 1956 г. გვ. 128.

3. მოგვყავს ბ. დ. გრეკოვის წიგნიდან «Крестьяне на Руси», გვ. 784.

4 თუ რამდენად არამეცნიერულია ეროვნების ბუნებაზე მითითება ჩანს XVI საუკუნეში რუსეთში მყოფ უცხოელის გერბერშტეინის მსჯელობიდან. მხოლოდ იმის გამო, რომ მემამულის მიერ გათავისუფლებული მონები კვლავ შედიოდნენ მეორე მემამულის მონობაში გერბერშტეინი რუსი ხალხის მონობისაკენ მიდრეკილებას მიაწერდა. (მოგვყავს ბ. დ. გრეკოვის წიგნიდან «Крестьяне на Руси», გვ. 574.



ლი გადასვლის უფლება ისე როგორც თვითმმართველობის წოგეირთი ფორმა შერჩენილი ჰქონდათ.

1788 წლის ბრძანებულებით აქაც შემოღებული იქნა რუსეთში არსებული ბატონყმობის საზარელი ფორმები. ასეთივე ბედი ეწვია ეკატერინოსლავის, ვოლნენენის, კავკასიისა და ტავრიზის (ყირიმის) ოლქებს 1796 წელს.<sup>1</sup>

დამახასიათებელია, რომ მთავრობის ასეთი აქციები ტარდებოდა ადგილობრივი ფეოდალური წრეების თხოვნითა და დახმარებით, რომელთაც გლეხებზე შეუზღუდველი უფლების მოპოვების სურვილი ამოძრავებდათ.

აღმოსავლეთ სლავანთა კოლონიზაციის პარალელურად არა ნაკლები სიძლიერით მიმდინარეობდა რუსეთის თვალუწვდენელ სტეპებში და ქალაქებში უცხოელთა მიგრაციის პროცესი.

ჯერ კიდევ „რუსკაია პრავდა“ (9, 10 მუხლები) შეიცავდა შეღავათებს ვარიაგებისათვის და „კოლოზაგებისათვის“ (აღმოსავლეთ წარმოშობის ხალხი უნდა იყოს). ნოვგოროდში და პსკოვში უცხოელებს ჰქონდათ თავის სავაჭრო სახლები (гостинные дворы), რომლებიც როგორც იურიდიული პირის უფლების მქონენი უძრავ ქონებასაც იძენდნენ. 1497 წლის „სულდბნიკი“ (მუხლი 58) უცხოელებისაგან სარჩელის დასახუთებლად მხოლოდ ფიცს მოითხოვს, მაშინ როდესაც ადგილობრივ მოსახლეს სარჩელი მოწმებით და „ხმალი“ გასვლით უნდა ემტკიცებია. მაგრამ უცხოელთა მიგრაცია რუსეთში ხდებოდა არა იურიდიული საშუალებებით, არამედ მთავართა სამსახურში შესვლით, რაც ქვეშევრდომობას იწვევდა ეროვნულობის განურჩევლად. ღალატი იმ დროს გაგებული იყო როგორც ფიცის, სამსახურის დარღვევა მთავრობისადმი.

ივანე კალიტა თავის 1397 წლის ანდერძში ვერ ანხვავებდა მმართველობას და საკუთრებას. თავის მეუღლეს იგი უტოვებს ისეთ შემოსავალს, რომელიც მთავრობის სასარგებლოდ უნდა წასულიყო და არა კერძო პირის (მაგალითად „МЫТ“ გადასახადი უცხოელზე „осминичее“ სავაჭრო გადასახადი, „ТАМГА“ კვლავ საქონელზე გადასახადი). ამავე დროს იგი თავის სამფლობელოს კერძო უფლებრივ საკუთრების სახით უყოფს თავის შვილებს.

„რუსეთი“ ამ დროს სხვადასხვა ერების შეკ-

რებილობითი მნიშვნელობით იყო გაგებული, სადაც დასასრული ჰპოვებს მისმა დამპყრობელმა ერებმა (ხაზარებმა, მონღოლებმა) მისი ვებერთელა აუთვისებელი ტერიტორია იზიდავდა სხვა ქვეყნებიდან გამოსულ სიმდიდრესა და მიწის მაძიებელ ხალხს, რომლებშიც ბევრი იყო ავანტიურისტიც. ცნობილია თუ რა დიდ საჩუქარს და სამსახურს იღებდნენ მოსკოვში ლიტვიდან გადმოსული თავადები, რომელთაც სარჩოს (кормление) სახით მთელი ქალაქები ეძლეოდათ. მაგალითად, მეფე ვიტოვტის უკმაყოფილო თავადებისა და მეფე იაგაილოს ძმის, სვიდრიგოლს გადმოსვლა XV საუკუნეში.

მონღოლთა იმპერიის ნამსხვრევებზე დარჩენი ისეთი ძლიერი სახანოები, როგორც იყო ყაზანი, ყირიმი, ნოგაი, რომელთა ხანები და მურზუები დიდ როლს თამაშობდნენ მოსკოვის სახელმწიფოში.

„რუსეთის განაპირა კუთხეებში, ამბობს პროფ. მავროდინი, სახლდებოდნენ არამცირერიცხოვანი და ძლიერი თათართა ურდოები, რომლებიც განწყობილი იყვნენ არა მარტო ძარცვისაკენ, არამედ ეძებდნენ მიწებსაც და დიდი მთავრის სამსახურშიც ღებოდნენ. შეიქნა ახალი ძალა, რომელსაც დიდი მთავარი ეყრდნობოდა“.<sup>2</sup>

ისტორიულ წყაროებში სიტყვა „люди“ სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება, იგი თავისუფალი ხალხის, ქვეშევრდომის და ხან ხოლოპის აღმნიშვნელია.<sup>3</sup>

თავადი ვახილი იაროსლავის ძე 1455 წლის სიგელით ათავისუფლებს 10 წლით ეკლესიის მიწაზე სხვა სამთავროებიდან დასახლებულთ: „И кого в то село его приказчик призовет жити людей из иных княжений, а не из нашей отчины и не им надобе моя дань на 10 лет“.<sup>4</sup> ასეთივე სიგელს აძლევს მიტროპოლიტ იონას დიდი მთავარი ვახილი ვახილის ძე (1448—1461 წ.) იმ განხვავებით, რომ დიდი სამთავრო გაიგივებულია მის მამულთან „а кого в те села церковные призывают жити людей из иных княжений, а не из мое отчины из великого княжения, и тем людям пришлым на десять лет не надобе моя дань“.<sup>5</sup>

თუ ასეთ პირობებშივე მიწაზე დასახლებოდნენ ადგილობრივი „სტაროყილები“ იგივე სიგე-

<sup>1</sup> И. Энгельман. История крепостного права. гл. 169—178.

<sup>2</sup> В. В. Мавродин, Образование единого Русского государства, 1951 г. стр. 15.

<sup>3</sup> Памятники Русского права, вып. 3, стр. 391.

<sup>4</sup> Акты феодального земледользования и хозяйства XIV—XVI веков, стр. 92.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 129—130.



ლები თავისუფლებენ მათ ხარკის გადახდისაგან მხოლოდ სამი წლით. მიწების გაცემა ყმებით უცხოელებზე და მსახურ ხალხზე არ შეწყვეტილა. მე-18 საუკუნეშიც თუ არ ვცდებით ქარანსკენლად მიწები ყმებით გადასახლებულ ქართველ თავადაზნაურობას რუსეთის მთავრობამ მისცა 1738 წელს და ამით შეწყდა უცხოელებზე მიწების გაცემა.

დიდ მთავარს ვასილი ვასილის ძეს (1425—1462 წ.წ.) თანამედროვეები უსაყვედურებდენ თათრებისადმი (მონღოლებისადმი) ზედმეტ სიმბატას.

„რუსეთის მიწაზე მოიყვანე ამოდენა თათარი, სარჩით მიეცი მათ ქალაქები და დაბეზი, გიყვარს თათრები და განსაკუთრებით ზომაზე მეტად მათი ენა, ვერცხლს და ქონებას აძლევენ თათრებს და უწყალოთ ჩაგრავენ გლეხებს“<sup>1</sup>.

იყო პერიოდები, როდესაც ხელისუფლება ფაქტიურად უცხოელების ხელში იყო. მაგალითად „სმუტის“ პერიოდში, ამბობს ენგელმანი, „მოსკოვი ფაქტიურად პოლონელებს ეკავათ ბოიარების და ვლადისლავის სახელით“<sup>2</sup> (ვლადისლავი პოლონელ მეფის სიგიზმუნდის შვილია რუსეთის ტახტის უძლიერესი პრეტენდენტი, მაგრამ მისი გამეფება არ მოხერხდა), ამის შემდეგაც ბევრი ოლქები პოლონელების და შვედების ხელში იყო.<sup>3</sup>

რუსეთის თავადაზნაურობა თავის წარმოშობით ასე ნაწილდებოდა: რიურეკებიდან 168 გვარი, სხვა რუსული გვარიდან 42, პოლონელ-ლიტვის 223, დასავლეთ ევროპული 229, მონღოლური 120. სხვა აღმოსავლური ხალხების — 86 და გაურკვეველი ეროვნების — 97 გვარი.<sup>4</sup>

დიდი მთავრის სამსახურში მყოფი უცხოელების უმრავლესობა, რომელიც ნაწყალობევი მიწებით, სარგოთი და სამსახურით უზვად სარგებლობდა თავისი მდგომარეობის დაკარგვის შიშით, უფლებბრები წესრიგის ლიბერალიზაციის წინააღმდეგნი იყო და უფრო ექსტრემისტულ თვისებებს იჩენდა, ვიდრე თვით აღმოსავლეთ სლავიანები. ცნობილი გამოთქმა, რომ ვინმაროთ მათ შესახებ შეიძლება ითქვას, „უფრო მორწმუნენი იყვნენ ვიდრე რომის პაპი“<sup>5</sup>.

მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ აღმოსავლეთ

სლავიანთა ფეოდალური საზოგადოებებზე ზრდა წოდებების ენერჯის განვითარების არათანაზომიერად მიმდინარეობდა და თემების მოსახლეობის უფლებების სრული შთანთქმით იყო გაპირობებული, იგი ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით საკუთარივე იდეით დაწარცხდა.

თემის უფლებბრები რეჟიმის საკითხი არ იქნებოდა ამოწურული თუ მეორე პერიოდის საერო მმართველობას არ გავცნობით, რომელსაც ბევრი გულუბრყვილო ისტორიკოსი მოსახლეობის თვითმმართველობის მომასწავებელ მოვლენად თვლის. 1550 წელს დიდი მთავრის მიერ ერთერთ ოლქზე გაცემული სიგელით, რომელიც შემდეგ მთელ რუსეთზე გავრცელდა ოლქის სარჩოზე მყოფი „ნაცვლები“ (наместники) ამორჩეულ მოხელეებით (излюбленные люди) შეიცვალნენ. ამ უკანასკნელთა კომპეტენციაში შედიოდა საფინანსო და ადმინისტრაციული საქმეები, სასამართლო ფუნქციები დამნაშავეის სიკვდილის დასჯის უფლების ჩათვლით.

სიგელის ბირველი ნაწილი შეიცავს ოლქის მთხოვნელთა (челобитчики) საჩივარს „ნამესტინეებზე“. მთხოვნელები აცხადებენ, რომ მიუხედავად მოსახლეობის შემცირებისა მთავრობის მოხელეები მათ ახდევინებენ თავიდანვე შეწერილ გადასახადს. როგორც სიგელიდან ჩანს „ჩელობიტჩიკები“ 22 კაცის შემადგენლობით გლეხებია „и мы жалючи крестьянство“ ნათქვამია სიგელში.

სიგელში დასახელებულია 20 გვარი, რომლებიც ამ ოლქის რაიონების ველსკის და შენკურის მმართველებად ინიშნებიან თვით მოსახლეობის ამორჩევით. „ჩელობიტჩიკებიდან“ არც ერთი არ მოხდა ამ დანიშნულებში.

როგორც სიგელიდან ირკვევა თვითმმართველობის მოხელეებად მიხვდნენ ვაჭრები (посадские люди) ან ანაუტრები (выборные) სიგელში ნათქვამია: „а влети бы нам, на Ваге, в шапкurye на посаде и Вельском стану на посаде учинити, по их челобитью, из их посадских людей выборных лучших людей, кого они излюбили Важаие.“<sup>7</sup>

1 Л. В. Черепнин, Русские феодальные архивы, XIV—XV веков; стр. 150.

2 И. Энгельман, История крепостного права, стр. 54.

3 იქვე.

4 М. Ф. Владимирский-Буданов, Обзор истории русского права, стр. 126.

5 ვ. ი. ლენინი ანალოგიური მოვლენის შესახებ ამბობდა: «Известно, что обрусевшие инородцы всегда пересаливают по части истинного русского настроения», «К вопросу о национальностях или автономизации».

6 ვაქის ოლქი

7 Уставная Важская грамота, Хрестоматия истории Русского права, М. Владимирский-Буданова П.-ч., стр. 185.



„ვიბორნი“ იმ დროს აზნაურს ნიშნავდა. ვიბორნები დაერქვა 1550 წლის კანონით პროვინციიდან მოსკოვში გადამოყვანილ სამსახურვადლებულ 1000 კაცს და პროვინციების იმ აზნაურებს, რომელთაც სამ-სამი წლით უნდა შეეცნოთ მოსკოვში გადაყვანილი „ვიბორნები“. სწორედ ეს „ვიბორნები“ და სხვ. წოდებებიდან ამის მსგავსი წარმომადგენლები შეადგენდნენ XVI საუკუნის სახელმწიფო საეროო ყრილობების შემადგენლობას (земские соборы), რომელნიც ყოველთვის ერთსულოვან გადაწყვეტილებებს იღებდნენ.<sup>1</sup> მთავრობამ ასეთი „ვიბორნებიდან“ მისცა უფლება ოლქს ჰყოლოდა თავისი მოხელეები, რასაც, რასაკვირველია, თვითმმართველობასთან არავითარი კავშირი არ აქვს. მთავრობამ ამ ოლქს შეაწერა 1500 მანეთი ყოველწლიურად, რაშიც შედიოდა ის თანხაც, რომელსაც ვაჟის ოლქი თავის ყოფილ „ნამესტნიკებს“ სარჩოდ უხდიდა. მაშასადამე, მოსახლეობის გადასახალი არ შემცირებულა.

მ. ვლადიმირსკი-ბუდანოვის მიხედვით ვაჟის ოლქის გადახმელთა რაოდენობა 2750 ერთეულს შეადგენდა.<sup>3</sup>

XVI საუკუნის მეორე ნახევრის მანეთი XIX საუკუნის 60-74 მანეთს უდრიდა.<sup>4</sup> გამოდის, რომ იმ დროს თითოეული გადასახდელი ერთეული XIX საუკუნის კურსით გაუგონარ თანხას — 74 მანეთს იხდიდა.<sup>5</sup>

საეროო მმართველობის დაარსებამდეც „ნამესტნიკების“ დროს თემები პოლიციური ფუნქციების შესასრულებლად და გადასახლის ასაკრეფად მამასახლისებს ირჩევდნენ.<sup>6</sup> სწორედ ამ ორგანოების საშუალებით ხდებოდა თემის დამონება.

მაშასადამე, ზემოაღნიშნულ რეფორმას არავითარი გავლენა არ მოუხდენია თემის ორგანიზაციული მხარის გაუმჯობესებაზე. პირიქით ეკონომიურად მან გაააუარესა მისი მდგომარეობა.

ვაჟის ოლქზე გაცემული სიგელიდან თვალსა-

ჩინოდ ჩანს მეორე პერიოდის მთავრობის ჩვეულება — შენიღბოს მოსახლეობის მოთხოვნით მისივე საწინააღმდეგო აქციები, რაც სამდვიო თვალთმაქცობას წარმოადგენდა.

ისეთი ბუმბერაზი მოაზროვნე ისტორიკოსი, როგორც ვ. ო. კლუჩევსკი იყო გავირვებულია XV საუკუნეში „თავისუფალ გლეხკაცობის“ კაბალურ ხოლოპობაში მასიურად მოქცევის მოვლენით. კაბალური ხოლოპობის ხელშეკრულების ძალით გლეხი მემამულისაგან მიღებული სენსის პროცენტების ანგარიშში მუშაობდა მემამულისათვის ვალის გასტუმრებამდე, რაც საბოლოოდ მისი მიწაზე მიმაგრების საბაზი გახდა.

„ძნელი ასახსნელია თუ რა მოხდა იმ დროს სახალხო მეურნეობაში, წერს ვ. კლიუჩევსკი. მაგრამ ის კი უდავოა, რომ ამ დროს არჩვეულებრივად გაიზარდა თავისუფალი ხალხის რიცხვი, რომელთაც არ სურდათ რა გაყიდულიყვნენ სრულ ხოლოპობაში, ამავე დროს არ შეეძლოთ თავისი მეურნეობის შენარჩუნება სხვისი კაპიტალის გარეშე.“<sup>7</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გლეხს ჰქონდა უფლება თემიდან გადასვლისა სხვა მემამულურ თემში. კაბალური ხოლოპობა პირველი ცდა იყო გლეხის მიწაზე მიმაგრებისა ვიდრე ეს საკანონმდებლო საშუალებით არ განხორციელდა შემდეგში.

გლეხების თემებიდან ვასვლის შესაძლებლობას ხელს უწყობდა თემის საურთიერთო პასუხისმგებლობა. ვასული გლეხის მაგიერ ხარკს დარჩენილი გლეხები იხდიდნენ. იურიდიულად გლეხს შეეძლო თემიდან ვასვლა, თუ იგი თავის მაგიერ სხვას მოეყვანდა.<sup>8</sup> მაგრამ ფაქტიურად გლეხები მასიურად ტოვებდნენ თემებს და მონეტარულ არმიებს ჰქმნიდნენ, ან კაბალურ ხოლოპობაში ცვივდებოდნენ.

საურთიერთო პასუხისმგებლობით გაერთიანებული პირები განსაკუთრებულ რეაქციას იჩენენ იმ პირის მიმართ, რომელიც გამოეთიშება ასეთ პასუხისმგებლობას. ეს რეაქცია უფრო მიმი-

<sup>1</sup> В. Ключевский, Опыты и исследования, стр. 460, 487.

<sup>2</sup> ვ. კლიუჩევსკის საეროო ყრილობების ერთსულოვნება საეკვოდ მიაჩნია და ამის სთვლის ყრილობების ოქმებში „დიაკების“ სარედაქციო მუშაობის ნაყოფად (დასახ. შრომა გვ. 452). მართლაც „დიაკები“ იმ დროს მმართველი ბიუროკრატიის სახით გვევლინება. 1550 წ. „სუდბენიკის“ 29-ე მუხლი უკრძალავდა დიაკებს წაეკითხათ სასამართლოს ოქმი მხარეებისათვის. ამის უფლება ჰქონდა მხოლოდ ბოიარინს, რომელიც საქმეს სჯიდა.

<sup>3</sup> Владимирски-Буданов, Хрестоматия II ნაწ., გვ. 197.

<sup>4</sup> В. Ключевский, დასახ. შრომა, გვ. 81.

<sup>5</sup> პ. მილიუკოვის ცნობით XIX საუკუნეში სახელმწიფო გადასახალი ერთ სულზე წელიწადში არ აღემატებოდა 8 მან. П. Милуков, История русской культуры, I ч. გვ. 147).

<sup>6</sup> М. Владимирский-Буданов, Обзор истории Русского права, გვ. 201.

<sup>7</sup> В. Ключевский, Опыты и исследования, გვ. 230.

<sup>8</sup> М. Владимирский-Буданов, Обзор истории Русского права, стр. 137.



იყო, როდესაც საურთიერთო პასუხისმგებლობაში მყოფ გაერთიანებას აღუთქვამენ გათავისუფლებას თუ იგი გასცემს დამნაშავე პირს, ე. ი. იმას ვინც საურთიერთო პასუხისმგებლობას გაურბის ან ასეთ პასუხისმგებლობას იწვევს თავისი მოქმედებით. ასეთ დროს გაერთიანებაში მყოფი პირები ზედმეტ მეცადინეობას იჩენენ იმისათვის, რომ დამნაშავე მონახონ თავის წრეში და იგი გასცენ იმაზე, ვისგანაც დამოკიდებული არიან.

„რუსკაია პრავდას“ მიხედვით, გარდა ხარკისა თავადების სასარგებლოდ თემი იხდიდა გადასახადს მისი წევრის დანაშაულისათვის, რასაც „продажа“ ერქვა. ეს იყო საერთო და დაუმსახურებელი უბედურება თემისათვის, მაგრამ თუ დამნაშავეს თემი აღმოაჩენდა იგი თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობიდან.<sup>1</sup>

ასეთივე წესი იყო დადგენილი ბელოზერის საკანონმდებლო სიგელის 14 მუსლითაც.<sup>2</sup> 1437 წლის „სუდებნიკი“ მართალია თემის პასუხისმგებლობაზე არაფერს ლაპარაკობს, მაგრამ აქ იგი იგულისხმება როგორც გამტკიცებული წესი.

მაგრამ „სუდებნიკში“ აღსანიშნავია შემდეგი: სიკვდილით ისჯებოდა არა მარტო მკვლეელი, ქურდი, ცეცხლის წაპყიდებელი, არამედ ცუდ საქციელში ეჭვმიტანილი პირიც, თუნდაც მას კონკრეტული დანაშაული არ ჰქონოდა ჩადენილი, რომელსაც „სუდებნიკი“ „ведомый лихой человек“-ს ეძახის.

საფიქრებელია, რომ უკანასკნელ კატეგორიას

მივს მიეკუთვნებოდა თემის წევრი, რომელიც მის რეჟიმს არღვევდა.<sup>3</sup> ცხადია, რომ გაპირებული თემი დამნაშავეს აღმოჩენას და მის გაცემას ამჯობინებდა. მით უმეტეს, რომ დანაშაულის დასადასტურებლად საკმარისი იყო ჯვარზე დაფიცული 5—6 გლეხის უბრალო ჩვენება.<sup>4</sup>

დაბეზღების ინსტიტუტებს უფრო მეტი ვასაქანი მიეცა მესამე პერიოდში. 1765 წლიდან მემამულეებს უფლება მიეცათ „დამნაშავე“ გლეხები ციმბირში გადაესახლებიათ. საჩივრის შეტანა მემამულეზე აკრძალული იყო. თუ გლეხი საჩივარს შეიტანდა მემამულეზე ან თხოვნით მიმართავდა მთავრობას სასჯელის შემსუბუქების მიზნით იგი მკაცრად ისჯებოდა.

მაგრამ ამ წესს ჰქონდა ერთი გამონაკლისი: თუ გლეხის საჩივარი შეიცავდა ცნობებს მემამულის სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო რამე მოქმედების შესახებ ან ცნობას იმის შესახებ, რომ იგი მალავს გლეხთა რაოდენობას რევიზიისაგან (იმ დროში უმთავრეს სიმდიდრეს) ასეთი საჩივარი როგორც საკუთარი მემამულის, ისე სხვა მემამულის მიმართ ყოველ დროს და ყველა პირობებში მიღებული უნდა ყოფილიყო.<sup>5</sup> დამბეზღებელს ჯილდოც ეძლეოდა.

ისეთ საზოგადოებაში, სადაც პიროვნებას წართმეული ჰქონდა მოქალაქეობრიობა და ნორმალური საშუალებები თავის ინტერესების დაცვისა, დაბეზღება სახელმწიფო საწინააღმდეგო მოქმედებაში, ერთ-ერთი შურის საძიებელი საშუალება იქნებოდა გაღიზიანებული გლეხებისათვის.

1 Проф. Б. А. Романов, Люди и нравы древней Руси, 1947, стр. 111—112.

2 იხ. Белозерская Уставная грамота 1488 г. Памятники Русского права, вып. 3, 33-172.

3 იხ. Судебник 1497 г. მუხლი 9, «Памятники Русского права», вып. III, 33-347.

4 იქვე, მუხლი 12, 33-347.

5 И. Энгельман, История крепостного права, 33-185.



# ოფიციალური მასალა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კლენუშის

## დ ე რ გ ე ნ ი რ ე ბ ა № 6

29 სექტემბერი, 1965 წ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო კლენუშის 1968 წლის 18 მარტის დადგენილების „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს კანონების ზუსტად დაცვის შესახებ“ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კლენუშის 1968 წლის 5 მარტის დადგენილების „საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში კანონიერების დარღვევის ფაქტების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“ უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი საკართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის საკასაციო ინსტანციის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 18 მარტის დადგენილების „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს კანონების ზუსტად დაცვის შესახებ“ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 5 მარტის დადგენილების „საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში კანონიერების დარღვევის ფაქტების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“ შესრულების მიმდინარეობაზე, პლენუმი აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით ჩატარებული გარკვეული მუშაობა.

მოისმინა და განიხილა რა საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის საკასაციო ინსტანციის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 18 მარტის დადგენილების „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს კანონების ზუსტად დაცვის შესახებ“ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 5 მარტის დადგენილების „საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში კანონიერების დარღვევის ფაქტების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“ შესრულების მიმდინარეობაზე, პლენუმი აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით ჩატარებული გარკვეული მუშაობა.

ზემოთ აღნიშნული დადგენილებები თავის დროზე გაცნობით სასამართლო ორგანოებს ზონალურ თათბირებზე ადგილზე მისვლით; პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის მიზნით 1964-65 წლებში შემოწმდა რაიონისა და ქალაქის 64 სახალხო სასამართლო, პრაქტიკაში დაინერგა რაიონისა და ქალაქის სახალხო სასამართლოთა თავმჯდომარეების ანგარიშის მოსმენა პლენუმებისა და პრეზიდიუმების სტომბებზე ჩატარებული მუშაობის შესახებ.

რიგ კატეგორიის საქმეებზე პროკურატურის ორგანოებთან ერთად შესწავლილ იქნა სასამართლო პრაქტიკა და აღმოჩენილ დარღვევებზე სასამართლოებს მიეცათ სათანადო მითითებანი.

პროკურატურასთან ერთად მეცნიერ მუშაკების ჩაბმით ჩატარდა ერთდღიანი ზონალური სე-

მინარები არასრულწლოვან დამნაშავეთა საქმეების განხილველ მოსამართლეებისა და პროკურატურის იმ მუშაკთათვის, რომლებიც სპეციალურად არიან გამოყოფილი არასრულწლოვან დამნაშავეთა საქმეებზე.

ერთობლივად მიღებულ ღონისძიების შედეგად რესპუბლიკაში 1965 წლის 1-ლ ნახევარში 2%-ით იკლო მსჯავრდებულთა რაოდენობამ გაუმჯობესდა საქმეთა განხილვისა და განჩინებების შედეგების ხარისხი.


თუ 1964 წლის პირველ ნახევარში საერთო მსჯავრდებულთაგან გასაჩივრდა და გაპროტესტდა განაჩენის 39 პროცენტი, მიმდინარე წლის ამავე პერიოდში აღნიშნული უდრის 33 პროცენტს.

გამომდინარე კანონიერების მტკიცე მოთხოვნიდან კოლეგიები სწორად აუქმებენ განაჩენებს და წარმოებით წყვეტენ საქმეებს, როდესაც საქმე ეხება მცირე მნიშვნელოვან დარღვევებს ან მტკიცებანი ძალზე სუსტია.

კანონიერების ცხოვრებაში უფრო მტკიცედ გატარების შედეგად ზედამხედველობითი წესით საჩივრებმა იკლო 30 პროცენტით, ხოლო ზედამხედველობითი წესით პროტესტებმა 52 პროცენტით.

შეიმჩნევა განაჩენების სტაბილობის განმტკიცების ტენდენცია. მ/წლის პირველ ნახევარში განაჩენების გაუქმება და შეცვლა შედარებით შემცირდა გ/წლის შესაბამის პერიოდთან. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა საკასაციო კოლეგიის მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს: ნაკლებია მათი ხელმძღვანელი როლი ქვემდგომი სასამარ-





თლოების სწორად ორიენტირების საქმეში. ამაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ჯერ კიდევ საგრძნობლად დიდია განაჩენების გაუქმებისა და მათში ცვლილებების შეტანის ოდენობა.

ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად საკაცო კოლეგიების მიერ ჯერ კიდევ არ ხდება სათანადო რეაგირება. იშვიათად გამოაქვთ კერძო განჩინებები, როცა აუცილებლობითაა გამოწვეული ან მიდიან ადგილებზე და არ უწყვენ ზონაში შემავალ სასამართლოებს ქმედით პრაქტიკულ დახმარებას, არ ზრდიან იმ სახალხო მოსამართლეთა პასუხისმგებლობის გრძობას, რომლებიც სისტემატურად უშვებენ შეცდომებს და გამოაქვთ უსწორო განაჩენები.

კოლეგიის შემადგენლობები პერიოდულად არ ახდენენ სასამართლოების მუშაობის განხორციელებას შეცდომების მიზეზების გაანალიზებით, ასევე არ აწარმოებენ მოწინავე სასამართლოთა გამოცდილებას.

ზოგჯერ კოლეგიები თვით უშვებენ უხეშ შეცდომებს საკასაციო საჩივრებისა და პროტესტების განხილვისას, განჩინებებს აფორმებენ ზერელედ, სათანადო დასაბუთების და სამართლებრივ კანონმდებლობის ნორმათა დაცვის გარეშე. ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც საეჭვო მასალებზე დაყრდნობით და კანონის უხეში დარღვევით გამოტანილ განაჩენებს ძალაში ტოვებენ, ან პირიქით, აუქმებენ მათ, როდესაც რაიმე არსებითი ხასიათის დარღვევა საქმეში დაშვებული არ არის.

ხშირია შემთხვევები, როდესაც არ ასწორებენ სასამართლოების მიერ დაშვებულ შეცდომებს დანაშაულის კვალიფიკაციის ნაწილში, არის იმის შემთხვევებიც, როდესაც ამ საკითხში თვითონვე უშვებენ შეცდომებს.

სახალხო სასამართლოების განაჩენებში ცვლილებების შეტანა ძირითადად (70%-ზე მეტი) ხდება სასჯელის ღონისძიებების შემცირებაზე, რაც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და პიროვნების გათვალისწინებით უმრავლეს შემთხვევაში უსაფუძვლო, გაუმართლებელია და არ ატარებს პრინციპულ ხასიათს. ამავე დროს ძალაში ტოვებენ ისეთ განაჩენებს, სადაც სასამართლოების მიერ განსაზღვრული სასჯელი დანაშაულის ხასიათისა და დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით აშკარად შეუსაბამოა. ცალკეულ შემადგენლობათა შორის შეინიშნება არაერთიანი დასჯითი პრაქტიკა.

კოლეგიები საქმის დამატებითი გამოძიებაზე ან სასამართლოში ხელახალ განსახილველად დაბრუნების დროს ხშირად არ აძლევენ ამომწურავ მითითებებს დაშვებულ შეცდომების შესა-

ხებ, რის შედეგადაც შემდეგში განაჩენები განმეორებით უქმდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის, აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეების და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ყურადღება მიექცეს:

ა) გაზარდონ მომთხოვნელობა სახალხო სასამართლოებისადმი იმდაგვარად, რომ აღმოიფხვრას საქმეთა განხილვის დროს კანონის დარღვევათა ფაქტები. თითოეული განაჩენის გაუქმება ან მასში არსებითი ხასიათის ცვლილებების შეტანა გახადონ სპეციალური მსჯელობის საგნად.

ბ) იმ სასამართლოების მიმართ, რომელთაც მუშაობაში აქვთ არაღამაქცაყოფილებელი მონაცემები გააძლიერონ პრაქტიკული ხელმძღვანელობა, ადგილებზე მისვლით, სტაჟირებაზე გამოძახებით, საქმიანი წერილებისა და კერძო განჩინების გამოტანით.

გ) კოლეგიების შემადგენლობებმა სათანადო კონსულტანტების მონაწილეობით კვარტალში ერთხელ გაუკეთონ ანალიზი ზონაში შემავალ სახალხო სასამართლოსა და ცალკეულ მოსამართლეთა მუშაობას, საკასაციო კოლეგიის მასალების მიხედვით და გამოვლენილ დარღვევებზე დააყენონ საკითხი რეაგირებისათვის ხელმძღვანელობის წინაშე.

არ დაუშვან განაჩენების უსაფუძვლო გაუქმებისა და ძალაში დატოვების ფაქტები.

აღმოიფხვრას განაჩენებში ისეთი არაპრინციპული ცვლილებების შეტანა, რაც კანონის მოთხოვნიდან არ გამომდინარეობს, ამავე დროს არ იქნეს დაშვებული ისეთი განაჩენების ძალაში დატოვება, რაც ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით აშკარად შეუსაბამოა. ამ საკითხში დადგინდეს ერთიანი პრაქტიკა.

ე) გულდასმით იქნას გადაწყვეტილი განაჩენით განსაზღვრული, დანაშაულის კვალიფიკაციის სისწორის საკითხი, მოთხოვონ სახალხო სასამართლოებს წარდგენილი ბრალდების სათანადო დასაბუთება და ასეთის საკასაციო კოლეგიაში შეცვლის შემთხვევაში დეტალურად მიუთითონ მოტივებზე.

ვ) არ დაუშვან დაუსაბუთებელი განჩინებების გამოტანის ფაქტები, მასში რთულყოფილად უნდა იყოს ასახული არა მარტო დემოგრაფიული ცნობები და ბრალდების შინაარსი, არამედ სათანადო მტიციებანი.





საკასაციო საჩივრებსა და პროტესტებზე ვა-  
ცემული უნდა იქნეს დასაბუთებული პასუხები,  
როგორც მათი დაკმაყოფილების ისე უარყო-  
ფის შემთხვევაში.

ზ) აღმოიფხვრას საქმეთა შესწავლის საკითხ-  
ში ზერელობა. საქმის დამატებითი გამოძიება-  
ზე თუ სამსჯავრო სხდომის სტადიიდან ხელა-  
ხალი განხილვისათვის გადაგზავნის დროს ამომ-  
წურავი და სრულყოფილი მითითებები მიეცეს  
სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებს.

2. პრეზიდენტებში ზედამხედველობითი წე-  
სით საქმეთა განხილვის დროს სასამართლო, სა-  
გამომძიებლო ორგანოების მუშაკების მხრივ  
დაშვებულ კანონის დარღვევის თვითოეულ  
ფაქტს გაუკეთდეს სათანადო რეაგირება.

3. პლენუმი მიაქცევს საქართველოს სსრ ყვე-  
ლა სასამართლო ორგანოების ყურადღებას,  
რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს  
პლენუმის 1963 წლის 18 მარტის დადგენილე-  
ბის „სასამართლოების მიერ სისხლის სამარ-  
თლის საქმეთა განხილვის დროს კანონების  
ზუსტად დაცვის შესახებ“ და საქართველოს  
სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963  
წლის 5 მარტის დადგენილების „საქართველოს  
სსრ სასამართლო ორგანოების მუშაობის პრაქ-  
ტიკაში კანონიერების დარღვევის ფაქტების  
აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“, ცხოვრე-  
ბაში განუხრელად ვატარება სასამართლო ორ-  
განოების პირდაპირი ვალდებულება და მის  
განხორციელებისას მცირეოდენი დარღვევაც  
დაუშვებელი და მოუთმენელია.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **მ. მანისუბაძე**  
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი **ზ. მისენიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის**

**რ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 7**

29 სექტემბერი, 1965 წ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 ნოემბრის  
ბრძანებულების „ნასვამი მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისათვის და მოძრაო-  
ბის უსაფრთხოების და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების სხვა დარღვევისათვის  
ავტომობილტრანსპორტის და ქალაქის ელემენტტრანსპორტის მძღოლთა პასუხისმგებ-  
ლობის გააღვირავის შესახებ“.**

განიხილა რა სასამართლო პრაქტიკის განზო-  
გადების მასალები, საქართველოს სსრ უმაღლე-  
სი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ სა-  
ქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუ-  
მის 1964 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულების  
ცხოვრებაში სწორად ვატარებას დიდი მნიშვნე-  
ლობა აქვს ავტომობილტრანსპორტის მძღოლთა  
შორის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების,  
ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის, მოქალა-  
ქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის  
საქმეში. რესპუბლიკის სახალხო სასამართლო-  
ები გამომდინარე ბრძანებულების არსიდან ძი-  
რითადად სწორედ იხილავენ ამ კატეგორიის  
საქმეებს და ამ ბრძანებულების დამრღვევთ  
უფარდებენ კანონით დადგენილ სანქციებს. ამა-  
სთან ერთად რიგ სახალხო სასამართლოებს ამ

საქმეში გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი,  
კერძოდ:

აღვილი აქვს მილიციის ორგანოებიდან ვად-  
მოგზავნილ მასალების უსწორო დაბრუნებას,  
საქმეთა განხილვის ვადების უსაფუძვლოდ გა-  
ჭიანურებას და სამსჯავრო გამოძიების უხარის-  
ხოდ ჩატარებას.

სწორად სამსჯავრო სხდომის ოქმში დამრღვე-  
ვი არასწორად იწოდებიან, როგორც ბრალდე-  
ბული, სამართალში მიცემული ან კიდევ, რო-  
გორც მოპასუხე.

საქმეთა განხილვისას არ ისწრებენ პროკურო-  
რებს, უსაფუძვლოდ ეუბნებიან უარს ავტომო-  
ტორანსპორტის ჩამორთმევაზე მისი შემდგომი  
რეალიზაციისათვის. დროულად არ ხდება დად-  
გენილების აღსრულება და არა აქვთ დაწესებუ-  
ლი კონტროლი მის სისრულეში მოყვანაზე.





ზოგიერთი სახალხო სასამართლო (გურჯაანის და გორის რაიონი) სცილდება ბრძანებულებით გათვალისწინებულ საწესდებებს და უფარდებენ ჯარიმას ან სხვა ღონისძიებას, ამასთან არ არის ბრძანებულების მე-2 პუნქტის ერთნაირი გაგება.

ადგილი აქვს საკასაციო საჩივრების მიღებას და საქმეთა დანიშვნას განსახილველად ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

არ არის ერთიანი პრაქტიკა დადგენილების აღსრულების საქმეში. ზოგი სახალხო სასამართლო (გორი და ხაშურის რაიონები) ახდენს აღმასრულებელი ფურცლების ამოწერას და მის გადაცემას სასამართლოს აღმასრულებლებზე სისრულეში მოსაყვანად, ხოლო ზოგიერთი კი (ქ. ქუთაისი და ქ. თბილისი 26 კომისრის სახელობის რაიონი) დადგენილების ასლს უგზავნის შესაბამის ავტოინსპექციებს სისრულეში მოსაყვანად.

მეტწილ სასამართლოებს სტატისტიკურ ანგარიშებში არ შეაქვთ ზუსტი მონაცემები ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის შესახებ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ უ მ ა ლ ლ ე ს ი ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს პ ლ ე ნ უ მ ი ა დ გ ე ნ ს : დაევალოს ყველა რაიონისა და ქალაქის სახალხო სასამართლოებს:

1. არ დაუშვან მილიციის ორგანოდან არასრულყოფილად გაფორმებული მასალების მიღება სასამართლო წარმოებაში და სწორად გაფორმებული მასალების უკანონოდ დაბრუნება.
2. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვა უზრუნველყონ საქართველოს სსრ სსსკ 240 მუხლით დადგენილ ვადაში.
3. საქმეთა განხილვისას ჩაატარონ სრულყოფილი სამსჯავრო გამოძიება და უზრუნველყონ პროკურორის მონაწილეობა სამსჯავრო სხდომაზე.
4. ავტომოტორანსპორტის ჩამორთმევის საკითხის გადაწყვეტის დროს ზუსტად იხელმძღვა-

ნელონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულებით, რისთვისაც განემარტოთ:

ა. ბრძანებულების მე-2 პუნქტში აღნიშნული საკითხი, რომელიც ეხება ავტომოტორანსპორტის იმ მძღოლებს, რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ ამ ტრანსპორტის მართვის უფლება და სამი წლის მანძილზე გაიმეორებენ ტრანსპორტის მართვას ნასვამ მდგომარეობაში, ეს ვადა იანგარიშება ავტომოტორანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევის დღიდან.

ბ. სახალხო სასამართლოების უფლებამოსილებაში შედის მართლმოდენ ავტომოტორანსპორტის ჩამორთმევის საკითხის გადაწყვეტა და სხვა საწესდების შეფარდების უფლება არა აქვთ.

გ. იმ შემთხვევაში, როდესაც ავტომოტორანსპორტის მფლობელი ამ ტრანსპორტს გადასცემს გამოსაყენებლად ისეთ პირს, რომელსაც არა აქვს მისი მართვის უფლება, პირველ შემთხვევაშივე დგება საკითხი ამ ტრანსპორტის ჩამორთმევაზე.

დ. საქმის განხილვის შემდეგ სახალხო სასამართლოებს გამოაქვთ დადგენილება, რომელიც საკასაციო წესით არ საჩივრდება.

5. ავტომოტორანსპორტის ჩამორთმევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოაქციონ დადგენილება აღსრულებაზე, რისთვისაც დადგენილების ასლი გაუგზავნონ მშრომელთა დებუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომებს და რეალიზაცია მოხდეს საქართველოს სსრ ვაკრობის სამინისტროს 1961 წლის 10 ივნისის ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვით.

6. დააწესონ კონტროლი დადგენილების აღსრულებაზე და ცნობა მის სისრულეში მოყვანის შესახებ დაუერთონ საქმეს.

7. განხილულ საქმეთა შესახებ ზუსტი მონაცემები შეიტანონ სტატისტიკური ანგარიშის „ო“ კარის მე-3 სვეტში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მანისერბაძე  
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ზ. მესხინაძე

## საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ე № 8

29 სექტემბერი, 1965 წ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 22 დეკემბრის დადგენილების „ხულიგნობის სამხეობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ შემსრულებლის მიმდინარეობაზე.

განიხილა რა საქართველოს სსრ პროკურორის წარდგინება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 22 დეკემბრის დადგენილების „ხულიგნობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ შესრულების მიმდინარეობაზე,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ წინა პერიოდთან შედარებით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის სასამართლო ორგანობა ხულიგნობასთან ბრძოლის საქმეში გააუმ-



ჯობესს მუშაობა. სასამართლოებმა უფრო სწორად დაიწყეს სასჯელის ღონისძიების შეფარდება, ბრალდების დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა ვათვალისწინებით.

სასამართლოების მიერ დიდი რაოდენობით იხილება საქმეები გამსვლელ სესიებზე დანაშაულის ადგილას, საზოგადოებრივ ბრალდებულთა და საზოგადოებრივ დამცველთა მონაწილეობით.

ამასთანავე პლენუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სასამართლოებმა ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას ჯერ კიდევ ვერ მიიღწიეს ბრძოლის გადაწყვეტ გაძლიერებას. ხშირად უშეებენ სერიოზულ ნაკლოვანებებს და მასთანადავე ვერ გააკეთეს სათანადო დასკვნები სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო მითითებებიდან. დასჯითი პრაქტიკა ხელიდან იშორება საქმეებზე ყოველთვის არაღვას სითანადო სიმძალეზე, იშვიათი არაა შემთხვევები ლიბერალური განაჩენების გამოტანისა; ამასთან ზოგჯერ, იმ პირთა მიმართ, რომლებიც ცნობილი იქნენ დამნაშავედ ბოროტ ხელიდან ჩადენაში, ხშირად სათანადო საფუძვლის გარეშე უფარდებენ საქართველოს სსრ სსკ 45 და 46 მუხლებს.

კანონის არასწორად შეფარდებისა და პლენუმის დასახელებული დადგენილების მითითებათა არადაამკმაყოფილებლად შესრულების შედეგად, ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები მოქალაქეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მიცემისა და მსჯავრდადებისა ხელიდან იშორებისათვის, როდესაც შეურაცხყოფის მიყენება, ცემა, სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენება ჩადენილია მხოლოდ პირადი მოტივებით და არ არის დაკავშირებული საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევასა და სასაზოგადოებრივობის აშკარად უპატივისმცემლობასთან.

საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები არც თუ იშვიათად ხელიდან იშორებენ აკვლიფიციურებენ საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის მე-2 ნაწილით ისეთ შემთხვევაში, როდესაც არ არის ბოროტი ხელიდან იშორების ნიშნები, ხოლო განაჩენებიდან ხშირად არა ჩანს, სახელდობრ რომელი კვალიფიციური ნიშნით არის ცნობილი დამნაშავეს ქმედობა ბოროტ ხელიდან იშორებად.

მიუხედავად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მითითებისა, ჯერ კიდევ ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც ხელიდან იშორებენ მოქმედებებს აკვალიფიციურებენ არა მარტო საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლით, არამედ დამატებით სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებ-

ლობას სხეულის მსუბუქად ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის.

სასამართლოები პირობითი მსჯავრდების შეფარდების შემთხვევებში ზოგჯერ არ მსჯელობენ პირობითი მსჯავრდებულის მშრომელთა კოლექტივებზე ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაცემის საკითხზე. ხელიდან იშორება საქმეებზე პირობითი მსჯავრდებულთა ხელახალი აღზარდისათვის გადაცემა შეადგენს მხოლოდ 23 პროცენტს.

სასამართლოები არა საქმარისად ახორციელებენ ზედამხედველობას იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან ხელიდან იშორებისას თავის სასჯელის ისეთი ღონისძიებით, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი შემთხვევები, როდესაც ხელიდან იშორების საქმეები იხილება კანონით დაწესებული ვადების დარღვევით.

ერთეული როდია საქმის განხილვის გადაცემის შემთხვევები სასამართლო პროცესის წინასწარ უხარისხოდ მომზადების გამო.

ამ კატეგორიის საქმეების საკასაციო და ზედამხედველობის წესით განხილვისას სათანადო ყურადღება არ ექცევა საგამომძიებლო ორგანოების და ქვემდებარი ინსტანციის სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომების აღმოფხვრას, საჭირო შემთხვევაში ყოველთვის არ გამოაქვთ კერძო განჩინებანი.


საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. სასამართლოების ყურადღება მიექცეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 22 დეკემბრის დადგენილების „ხელიდან იშორების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ განუხრელ შესრულებას.

2. მიღებული იქნეს მხედველობაში, რომ ხელიდან იშორება წარმოადგენს საშიშ დანაშაულს, რომელსაც ზოგჯერ თან სდევს ძალზე მძიმე შედეგი, რის გამოც ამ დანაშაულობასთან ბრძოლა წარმოადგენს სასამართლო ორგანოებისათვის პირველხარისხიან ამოცანას. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია შესწავლილი იქნეს ხელიდან იშორების ჩადენის მიზეზები და მიღებული იქნეს ზომები მისი აღმოფხვრისათვის, ფართოდ ჩაბაძას საზოგადოებრიობა ხელიდან იშორების მოვლინების წინააღმდეგ საბრძოლველად, ხშირად განიხილონ ხელიდან იშორების საქმეები გამსვლელ სესიებზე დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით...

3. სასამართლოებმა ბოროტ ხელიდან იშორებათ მიმართ სასჯელის განსაზღვრისას გაითვალისწინოს ამ დანაშაულის საზოგადოებრივად საშიშროება.





და არ დაუშვან სასჯელის უსაფუძვლოდ შემცირება.

4. არ იქნეს დაშვებული იმ პირთა მსჯავრდება ხელიგნობისათვის, რომლებიც დამნაშავენი არიან შეურაცხყოფის, ძალადობის, სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენებაში, როდესაც ეს ქმედობანი ჩადენილია პიკატი მორტივებით და ის არ არის დაკავშირებული საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევასთან და არ გამოხატავს საზოგადოებრიობის აშკარად უპატივცემლობას.

იმ შემთხვევებში, როდესაც პიროვნებაზე ხელყოფა დაკავშირებულია ხელიგნობის მოქმედებასთან დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის შესაბამისი ნაწილით.

5. სასამართლოები ვალდებული არიან საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის მე-2 ნაწილით დანაშაულის დაკვალიფიცირებისას განაჩენონ დასაბუთონ აღნიშნული მუხლის რომელიც კვალიფიციური ნიშანი დაედვა საფუძვლად დამნაშავის ბოროტი ხელიგნობისათვის მსჯავრდებას.

ამასთან მტკიცედ უნდა იხელმძღვანელონ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მითითებით იმის შესახებ, რომ ბოროტი ხელი-

გნობის დაკვალიფიცირება პიროვნებაზე ძალადობის გამოყენების ნიშნით შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ძალადობა გამოხატულია ამა თუ იმ ზიანის მიყენებაში დაზარალებულ პიროვნებაზე, ან წარმოადგენდა საშიშროებას მისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის.

6. სასამართლოებმა, პირობითი მსჯავრდების შემთხვევაში პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენონ პირობით მსჯავრდებულთა მშრომელთა კოლექტივებზე გადაცემა მათი აღზრდა-გამოსწორებისათვის. ამასთან სისტემატურად შეამოწმონ პირობა ყოფილიყო და უზრუნველყონ მათზე მშრომელთა კოლექტივების მუდმივი კონტროლი.

7. წინადადება მიეცეთ სასამართლოებს ამაღლონ სასამართლო პროცესის კულტურა ხელიგნობის საქმეებზე და უზრუნველყონ ამ კატეგორიის საქმეების განხილვა უშოკლეს ვადაში.

8. საქასაციო და ზედამხედველობის წესით საქმეების განხილვისას რეაგირების გარეშე არ დატოვონ სასამართლოებისა და საგამომიბელო ორგანოების მიერ დაშვებული დარღვევები და მიიღონ ზომები მათ აღმოსაფხვრელად შემდგომ მუშაობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **მ. მანისჭრამა**  
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი **ზ. მენდენიშვირი**

### საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კლენუმის

## დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 9

29 სექტემბერი, 1965 წ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კლენუმის 1964 წლის 15 ივნისის № 4 დადგენილებაში „სასამართლო კრამტიკის უსახეობა, ისეთ დანაშაულებზე სამხმეზზე, რომლებიც დაკავშირებულია ავტომოტოტრანსპორტის, ქალაქის ელექტროტრანსპორტის, მოძრაობისა და მსხლირბატინის უშიშროების წესების დარღვევასთან“.

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1965 წლის 9 აპრილის დადგენილების „ავტომოტოტრანსპორტის ან ქალაქის ელექტროტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების და ექსპლოატაციის წესების დარღვევის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მე-7 მუხლით

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 15 ივნისის № 4 დადგენილებაში „სასამართლო საქმეებზე, რომლებიც დაკავშირებულია ავტომოტოტრანსპორტის და ქალაქის ელექტროტრანსპორტის მოძრაობისა და ექ-

სპლოატაციის უშიშროების წესების დარღვევასთან“ შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. შესავალ ნაწილში სიტყვების შემდეგ: „სასამართლოები ზოგჯერ არასწორად აკვალიფიცირებენ ავტომოტოტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების წესთა დანაშაულებრივ დარღვევას საქართველოს სსრ სსკ 242 მუხლით“. აზოცო ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სასამართლოები სხვადასხვანაირად წყვეტენ იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ტრანსპორტის მართვის გადაცემაში, მათთვის წინასწარი შეცნობით არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ მართვის უფლებჩამორთმეულ მოცემული სახის ტრანსპორტის, ან საერთოდ მართვის უფლების არ მქონე მძღოლებზე“.



2. დადგენილების მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „პირი, მოქმედი წესების დარღვევის — ტრანსპორტის მართვის გადაცემისათვის მისთვის წინასწარი შეცნობით არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ, მართვის უფლება-ჩამორთმეულ, მოცემული სახის ტრანსპორტის

ან საერთოდ მართვის უფლების არ მქონე მძღოლზე, აგრეთვე ამ შემთხვევაში ტრანსპორტის მმართველი მძღოლი, პასუხს აგებენ მოძრაობის უშიშროების წესების დარღვევისათვის, თუ ამ ქმედობის შედეგად დადგა კანონში მითითებული შედეგი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **3. მანისურბაძე**  
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი **ზ. მანანაძისძარი**

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 10

17 დეკემბერი, 1965 წ.

კოლმეურნეობის სასარგებლოდ დებიტორული დავალიანების გადახდვინებაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ.

მოისმინა და განიხილა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ანხ. გ. ყ. იოსავას მოხსენება; — კოლმეურნეობების სასარგებლოდ დებიტორული დავალიანების გადახდვინებაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ, — პლენუმში აღნიშნავს, რომ სასამართლოებმა ამ მხრივ მუშაობა ძირითადად სწორად წარმართეს, რითაც ხელი შეუწყვეს საკოლმეურნეო წყობილების ეკონომიკის შემდგომ განმტკიცებას.

კოლმეურნეობის სოციალისტური საკუთრების დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი მეთოდი მდგომარეობს ორგანიზაციებისა და პირებისაგან უკანონოდ წაღებული კოლმეურნეობის ქონების, პირუტყვისა და ფულადი სახსრების გამოთხოვაში, კოლმეურნეობის სასარგებლოდ ორგანიზაციებისა და პირთაგან დებიტორული დავალიანების გადახდვინებაში და აგრეთვე იმ ზარალის ანაზღაურებაში, რაც კოლმეურნეობის ქონებას მიაყენეს.

სასამართლოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საკოლმეურნეო დებიტორული დავალიანების ლიკვიდაციას, საკოლმეურნეო სახსრების დაბრუნებას კოლმეურნეობებზე ცალკეული ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისაგან. კოლმეურნეობის სარჩელების 90 პროცენტი განხილული იქნა კანონით დაწესებულ ვადაში, ამ კატეგორიის საქმეებზე კოლმეურნეობის სარჩელები დაკმაყოფილებულია 88,4%. უარი ეთქვათ სარჩელზე 11,6%. სასამართლოების მიერ დაკმაყოფილებულია ძიება კოლმეურნეობების სულ 248, 257 მანეთზე, აქედან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების გარეშე საქართველოს სსრ რაიონის კოლმეურნეობების ძიება დაკმაყოფილებულია 100, 403 მანეთზე, აფხაზეთის ავტონომიურ სს რესპუბლიკაში 139 505 მან. აჭარის ასსრ 3. 675 მან. სამხრეთ ოსეთის ასსრ 4.673 მან.

მიუხედავად აღნიშნულისა სასამართლოები ჯერ კიდევ არადაამკმაყოფილებლად ასრულებენ სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 28 ივნისის დადგენილებას „საკოლმეურნეო საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ და სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის 1963 წლის 13 ივლისის წერილობით მითითებას.

კოლმეურნეობების სასარგებლოდ დებიტორული დავალიანებების ლიკვიდაციის შესახებ არ იჩენენ პირად ინიციატივას და ნაკლებად ეხმარებიან კოლმეურნეობებს რჩევითა და კონსულტაციებით, აგრეთვე საკოლმეურნეო დებიტორული დავალიანების სარჩელის საქმეების აღძვრაში. სისტემატურად არ ატარებენ ლექციებსა და მოხსენებებს კოლმეურნეობებში სამართლებრივ საკითხებზე; ნაკლებად ტარდება გამსვლელი სესიები, მოსამართლეები არ მონაწილეობენ პრესაში, საქმეების განხილვის დროს გამოვლინებულ კანონის დარღვევებზე არ გამოაქვთ კერძო განჩინებანი და ინფორმაციას არ უქეთებენ შემდგომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს იმ დარღვევებზე, რაც განაპირობებს საკოლმეურნეო დოვლთის განაივებას.

სასამართლოები სისტემატურად არ ეცნობიან თითოეულ კოლმეურნეობებში დებიტორული დავალიანების ლიკვიდაციის გატარების ღონისძიებებს, რის გამოც ჯერ კიდევ ზოგიერთ კოლმეურნეობებში ადგილი აქვს დიდი რაოდენობის დებიტორულ დავალიანებებს, რაც წლების განმავლობაში გრძელდება, ამ მხრივ უღელი მაჩვენებელია 100, 403 მანეთზე, აფხაზეთის ავტონომიურ სს რესპუბლიკაში 139 505 მან. აჭარის ასსრ 3. 675 მან. სამხრეთ ოსეთის ასსრ 4.673 მან.





ნებლები აქვთ აფხაზეთის ასსრ, ხობის, მახარაძის, სიღნაღის, დმანისის, ხაშურის, კასპის და სხვა რაიონის სასამართლოებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. სასამართლოებმა ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს იმ დავალიანებათა ლიკვიდაციაში, რომელიც მათ მიმართ აწევთ სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებს და დაწესებულებებს ხელშეკრულების მიხედვით და აგრეთვე სესხად წაღებული ქონების ან სახსრების ანდა ჩატარებული მუშაობის შედეგად. მოსამართლე ვალდებულია, როგორც აქტივის დახმარებით ასევე პირადად გამოარკვიოს დავალიანების ვითარება და მიიღოს ქმედითი ზომები მისი ლიკვიდაციისათვის.

დაევალოს სასამართლოებს სრულყოფილად და კანონით დაწესებულ ვადაში განიხილონ კოლმეურნეობის სარჩელის საქმეები ცალკეულ პირებსა, საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციებთან, რითაც უზრუნველყონ სახსრების დროული და მთლიანი დაბრუნება კოლმეურნეობებისადმი.

2. კოლმეურნეობების სარჩელების დროულად და ხარისხიანად განხილვის მიზნით ჩაატარონ წინამოსამზადებელი მუშაობა საქ. სსრ სამ. სამ. საპრ. კოდ. 149 მუხ. საფუძველზე და არასრულყოფილი სარჩელის აღჭრის შემთხვევაში დაიცვან საქ. სსრ სამ. სამ. საპრ. კოდ. 255 მუხლის მოთხოვნა.

3. მოაწყონ გამსვლელი სესიები კოლმეურნეობებში. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს კანონის დარღვევის გამოვლინების ცალკეულ შემთხვევებზე გამოიტანონ კერძო განჩინებები, წარდგინებებით დააყენონ საკითხი ზემდგომ პარტიულ, საბჭოთა და პროკურატურის ორგანოებში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის მიზნით.

4. სისტემატურად ჩაატარონ ლექცია-მოსვენებები და დაეხმარონ პრაქტიკული რჩევა დაირიგებებით კოლმეურნეობების ხელმძღვანელო-

ბას დებიტორული დავალიანებათა ლიკვიდაციის საქმეში.

5. რჩევა მისცენ კოლმეურნეობების გამგეობას სარჩელები თავიანთი კოლმეურნეობის მიმართ დებიტორულ დავალიანებაზე სასამართლოში აღძრან მას შემდეგ, როცა სათანადო სუბრეები ჩატარდება და ზომები იქნება მიღებული დავალიანების დასაფარავად.

6. სასამართლოებმა გადაწყვეტილებანი გამოიტანონ კანონზე მითითებით და ცვლადულ შემთხვევაში გადაწყვიტონ საკითხი გადაწყვეტილების წინასწარ აღსრულების შესახებ საქ. სსრ სამ. სამ. საპრ. კოდ. 218 მუხ. საფუძველზე.

7. სასამართლოებმა საქმის განხილვის დროს საკოლმეურნეო წესდების დარღვევის გამოვლინების არც ერთი ფაქტი არ დატოვონ სათანადო რეაგირების გარეშე. დებიტორულ დავალიანებათა საქმეების განხილვისას სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ მოქმედი კანონმდებლობით, როგორც საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის, ასევე სასოფლო სამეურნეო არტელის წესდებით. გადაწყვეტილებაში როგორც წესი მითითებული უნდა იყოს საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა და სხვა კანონების მუხლები, რომელთა საფუძველებზედაც სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება.

8. იმ შემთხვევაში თუ სასამართლო დაადგენს, რომ კოლმეურნეობასთან გარიგება დადებულია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევით ან გვერდის ავლით, გარიგება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და უზრუნველყოფილი იქნეს კოლმეურნეობისათვის უკანონოდ მიღებული ქონების დაბრუნება საქ. სსრ სამ. სამ. საპრ. კოდ. 48 მუხლით.


9. დაევალოს სახალხო სასამართლოებს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოებს სისტემატურად შეისწავლონ ზემოთ აღნიშნული სასამართლო პრაქტიკა და განიხილონ საკითხი საკოლმეურნეო დებიტორული დავალიანების ლიკვიდაციისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **გ. მანისურაძე**  
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი **წ. მანენაძე**



# მოწინავეთა პორტრეტები

## საქმეს იხილავს დავით გიორგაძე



გახმაურებული პროცესი მიმდინარეობს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში... სხდომათა დიდი დარბაზი ხალხითაა გაჭვდილი. შესვლა თითქმის შეუძლებელია. კარებთან ხალხი შეგუფუფულა. ხან-შიშესული მამაკაცი ფეხის წვერებზე შედგა და სასამართლოს შემადგენლობა შეათვალიერა.

— დავით გიორგაძის თავმჯდომარეობით იხილება საქმე?! მაშასადამე, განაჩენი სამართლიანი იქნება, — თავისთვის ჩაილაპარაკა მან და იქვე მდგომ კოლეგებთან შეჩერდა.

მართლაც, დაესწართ დავით გიორგა-

ძის თავმჯდომარეობით გამართულ პროცესს და თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს სიტყვები შემთხვევით არ ითქვა.

დავით ილიას ძე გიორგაძეს კარგად იცნობს ქართული იურიდიული საზოგადოებრიობა.

უკვე რამოდენიმე წელია, რაც იგი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრია. მისი, როგორც პიროვნებისა და იურისტის, ცხოვრებისეული მოწოდებაა იცავდეს სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს. ეს არ ისწავლება სკოლასა და ინსტიტუტში, ეს თვით ადამიანის ბუნებაშია, ეს უბრალო ადამიანური მოთხოვნილებაა.

შრომასა და მონდომებას ყოველთვის მოაქვს წარმატებები. მისი ასალგაზრდობა სამრეწველო-ეკონომიურ ტექნიკუმთან არის დაკავშირებული. მუშაობდა ინფორმატორად, პირად მდივნად, საქართველოს სსრ მომარაგების კომისარიატის ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსად, იმავე კომისარიატის კადრების სექტორის გამგედ. 1936 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1940 წელს დავით გიორგაძე უკვე ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლეა, ხოლო 1941 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად ირჩევენ.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. ამ მრისხანე დღეებში იგი მობილიზირებულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში და დაინიშნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა კო-



მისარიატის ჯარების სამხედრო ტრიბუნალის წევრად, ხოლო შემდეგ გროზნოს სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარედ. ექვსი წელიწადი დაჰყო დავითმა საბჭოთა არმიის რიგებში. ამ დროს დააჯილდოვეს იგი მედლებით: „საბრძოლო დამსახურებისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941-45 წლებში“. თმის დამთავრების შემდეგ კვლავ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრია. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურატურაში განყოფილების გამგედ, 1955 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ უმაღლესი სასამართლოს წევრად აირჩია.

მეოთხედ საუკუნეზე მეტია მუშაობს იგი მართლმსაჯულების ორგანოებში და ამ დროის მანძილზე ჩამოყალიბდა მისი ხასიათი: მგრძნობიარე და პრინციპული ადამიანისა, აქტიური, დაუღალავი მშრომელია, ერუდირებული იურისტისა.

შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდე მართლმსაჯულებას, ღრმად ერკვეოდე მის პერიპეტივებში და ამასთან გრძნობდე დიდ სიძნელებებს, როდესაც უნდა გამოთქვა საკუთარი აზრი კონკრეტულ საქმეზე. ამ დროს მეტად ადვილია გზა აგექცეს და შეუმჩნეველად დაარდვიო სამართლიანობის დიადი პრინციპი. სოციალისტური კანონიერების არც ერთი დარღვევა არ ხდება შეუმჩნეველი დავით გიორგაძისათვის.

სამუშაო მაგიდაზე მორიგი განსახილველი საქმე უდევს. იგი ეხება ომარ მიხეილის ძე ჯადუგიშვილის ბრალდებას. „სოფელ გამარჯვებიდან ერთი კილომეტრის დაშორებით, მანქანით მგზავრობის დროს თ. მ. ჯადუგიშვილმა წინასწარი განზრახვით, შურისძიების ნიადაგზე ცეცხლმსროლელი იარაღით „ტტ“-თი მოჰკლა მოქ.

არტავაზ მოსეს ძე ჩალოიანი, რომ „შემდეგ მოახერხა პისტოლეტის გადამაღვა, იგი ვეღარ იქნა აღმოჩენილი“, — ნათქვამია საბრალდებო დასკვნაში. აღნიშნული საქმე წარმართა სახალხო სასამართლოში; სასამართლომ განჩინებით დააბრუნა საქმე რაიპროკურატურაში დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად. საგამომძიებლო ორგანოებმა ჩაატარეს დამატებითი გამოძიება, ხელმოკრედ შეადგინეს საბრალდებო დასკვნა და ჯადუგიშვილს იგივე ბრალდება წაუყენეს.

საქმე უმაღლეს სასამართლოშია, გიორგაძესთან. იგი ყურადღებით ფურცლავს საქმის მასალებს, დაბეჯითებით ეცნობა სამართალში მიცემულის, მოწმეთა ჩვენებებს, ექსპერტის დასკვნებს, ფოტოსურათებს და სხვა საგამომძიებლო მასალებს, აკვირდება თითოეულ ბწყარს, თითოეულ სიტყვას, ორჭოფობს, ისევ კითხულობს, კვლავ აანალიზებს, ერთმანეთს უპირისპირებს საქმის მასალებს და ამჩნევს: საგამომძიებლო მასალებში თეთრი ლაქებია, არალოგიკურობაა, სიყალბეა. თავიდან ჩამოაყალიბა გონებაში საქმის მსვლელობა, მიმდინარეობა. სამართალში მიცემულს სამი ჩვენება აქვს. სამივე ერთმანეთის საწინააღმდეგო. იგი დადებითად ხასიათდება. საჭიროა პროცესზე იქნეს გამოწვეული ჯადუგიშვილი. დავითი უსმენს მის ჩვენებას, აკვირდება და ფიქრობს: არ შეიძლება, არ შეიძლება ეს ადამიანი მკვლეელი იყოს, შეუძლებელია იგი იყოს ამ ტრაგედიის ჩამდენი. უმაღლესი სასამართლოს წევრი გრძნობს თუ რასულიერ ტკივილს განიცდის სამართალში მიცემული. ომარის პიროვნება სრულიად არ ეთანხმება ჩადენილ დანაშაულს. რით დამთავრდა აღნიშნული საქმე? ომარ ჯადუგიშვილს მოეხსნა ბრალდება, ხოლო ნამდვილი დამნაშავე, ვინმე კარტოზია სამარ-



თალში იქნა მიცემული და სამაგიეროც მი-  
ეზღო.

გამომძიებლის შეცდომა დროულად გა-  
მოსწორდა. ეს იმიტომ, რომ საქმე ობი-  
ექტურად და ყოველმხრივად იქნა შეს-  
წავლილი. სქელტანიან საქმეში აღმოჩნდა  
მასალები, რომელიც ამტკიცებდნენ სამარ-  
თალში მიცემულის უდანაშაულობას.

\* \* \*

ერთი შეხედვით სიჩუმეა დაბუდებული  
უმადლეს სასამართლოს წევრის სამუშაო  
ოთახში. მას მთხოვნელები ყოველდღიუ-  
რად არ აწუხებენ, არც ისე ხშირად უს-  
მენს საკასაციო ინსტანციაში საქმის გან-  
ხილვის დროს სამართალში მიცემულთა და  
მოწმეთა ჩვენებებს. ცოცხალ ადამიანებ-  
თან უშუალო კონტაქტი თითქოს შეწყვეტი-  
ლია. მის წინ უმეტესად საბუთების გრო-  
ვაა და სწორედ ეს საბუთები, ჩვენებები,  
თვით საქმეები, რომლებიც ასე უხვადაა  
მის სამუშაო ოთახში, აკავშირებენ მას მის-  
თვის უხილავ ადამიანებთან.

მიუხედავად უამრავი საქმეებისა, სიძნე-  
ლეებისა მუშაობაში, დავით გიორგაძეს ვე-  
რასოდეს ნახავთ თავშეუკავებელს; მისთვის  
უცხოა უხეშობა, მოუთმენლობა. ეს იმიტომ,  
რომ მისი ყოველდღიური საქმიანობა ადა-

მიანის ცხოვრებასთან, მათ ბედთან არის  
დაკავშირებული. მას უყვარს ადამიანი, ყო-  
ველთვის კარგს ეძებს მასში. მისთვის უცხოა  
აზრთა და გრძნობათა გაყინვა.

სასოგადოებრივი საქმიანობითაც არის  
დაკავებული დავით გიორგაძე. მას ხშირად  
ირჩევენ პარტიული ბიუროს წევრად, მუ-  
შაობდა ადგილკომის თავმჯდომარის მო-  
ადგილედ, პარტიულ ორგანიზაციის მდივ-  
ნის მოადგილედ. ამჟამად საქართველოს  
სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსე-  
ბულ სახალხო კონტროლის კომიტეტის  
ხელშემწყობ ჯგუფს ხელმძღვანელობს. ამ  
დავალებებს ისევე უმწიკვლოდ და მონდო-  
მებით ასრულებს, როგორც თავის ძირითად  
სამუშაოს.

\* \* \*

მიაბიჯებს ცხოვრების დიდ გზაზე დავით  
ილიას ძე გიორგაძე. იგი ყურადღებით აკ-  
ვირდება გარემომოყოფთ. მის გამჭრიახ  
თვალს, მგრძნობიარე გულსა და მახვილ-  
გონებას არ გამოეპარება არც ერთი მნიშვ-  
ნელოვანი მოვლენა. იგი საბჭოთა პრინ-  
ციპებით შთაგონებული ადამიანია, ჩვენი  
მართლმსაჯულების დირსეული მუშაკია.

ლაშარა ისაბაძე



## პოლიტიკაში მძაბვებთან კოლაზი

პოლიტიკის კორუპცია, მისი კავშირი ბოროტმოქმედებთან საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა დღევანდელ ამერიკაში. გაზეთებში ზოგჯერ გამოჩნდება ხოლმე წერილები, სადაც მხილებულია პოლიციელთა დანაშაული. ასეთია უფროსად „ნიუზში“ გამოქვეყნებული რაღაც სმიტის სტატია. სტატიის ავტორი ფარდას ხდის საიდუმლოებას, რაც ასე დამახასიათებელია ამერიკული სინამდვილისათვის.

მსურდა რა გამეგო, თუ რატომ ხდებიან პოლიციელები დამნაშავენი გადავწყვიტე ეს კითხვა დამესვა პოლიციელებისათვის, რომელნიც ძარცვის გზას დაადგენ. მე დავეუკეე სტატის ციხის უფროსს, სადაც სასჯელს იხდიდნენ ყოფილი პოლიციელები ჯონ ბლეიკი და რობერტ გასტინგის და დავინტერესდი, შეიძლებოდა თუ არა მათი ნახვა. „გამომგზავრეთ თუგინდ ახლავე“, — მითხრა ციხის უფროსმა.

მეორე დღით ჩავედი. გავიარე რა რამდენიმე გისოსიანი კარები, რომლებიც დისტანციური მართვის დახმარებით იღებოდა, აღმოვჩნდი მისაღებში. აქ მე სწრაფად და კვალიფიცირად „ჩამათვალიერა“ ერთ-ერთმა მცველმა. ამის შემდეგ ჩვენ ნახვის ოთახში გავედით. იქ უკვე მელოდებოდნენ.

ორი მაღალი, წელში გამართული მამაკაცი — ბლეიკი და გასტინგის შესახვედრად წამოდგნენ და წარბშეკრულნი მომესალმნენ. მათ ეცვათ უბეში, გახუნებული ცისფერი ქსოვილის საპატიმრო კოსტუმები, რომელთაც პერანგსა და შარვალზე ციხის ნომრები ჰქონდათ დაკრული. ძნელი არ იყო მათი წარმოდგენა სამკერდე ნიშნებითაც პოლიციელთა ფორმაში. მაგრამ იმ სურათის წარმოსახვა, თუ როგორ ძარცვავდნენ ისინი მაღაზიებსა და საქონლის საწყობებს ღამის სიბნელეში, უფრო რთული შეიქმნა.

— როდის დაიწყეთ პოლიციაში მუშაობა? — შევეკითხე ბლეიკს.

— 1951 წელს?

— პირველად როდის შენიშნეთ, რომ პოლიციაში ყველაფერი თავის რიგზე არ იყო?

— საკმაოდ სწრაფად. ჩვენ გავიარეთ ოთხთვიანი მომზადება. შემდეგ სტაჟირებად გადაგვიყვანეს და ქუჩის პატრულირება დაგვაავალეს. მე მთელი მონღოლებით ვმუშაობდი და ორი ქურდის დაკავებაც მოვახერხე, რომლებიც გენერატორს იპარავდნენ საქონლის საწყობიდან. ორივენი პოლიციელები აღმოჩნ-

დნენ. რა უნდა მეღონა მე, ახალბედს და ამავე დროს გამოსაცდელი ვადის მქონეს? სინამდვილედ მიიჩნევა არა ჩემი, არამედ მათი ჩვენებანი. და საერთოდ, ეს კანონადაა მიჩნეული პოლიციაში: შენ თუ თვალს არ დასუჭავ ყველაფერზე, გამოსაცდელ ვადას ვერ გაუძლებ. ორიოდ უარყოფითი შეფასება ძველ თანამშრომელთა მიერ და შენც გაგათავისუფლებენ ყოველგვარი ახსნა-გამანარტების გარეშე.

— თქვენ რაღა დავემართათ? — მივუბრუნდი ახლა გასტინგს.

— დასაწყისში მე სტაჟირად ვიყავი და ქუჩის პატრულირება დამავალეს. პოლიტიკის მანქანით დავდიოდი უფროს ოფიცერთან ერთად, ვისგანაც, წესით, გამოცდილება უნდა მიმეღო.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთხელ როდესაც საჭესთან ვიჯექი, ჩემმა პარტნიორმა მიბრძანა ავტომანქანების სადგომთან გავჩერებულიყავი. ქუჩის ეს ნაწილი განათებული არ იყო. ავტომანქანების მფლობელი თანამგზავრი გადმოვიდა მანქანიდან და გამეურა ავტომანქანების მწკრივისაკენ. შეჩერდა ერთ-ერთ მანქანასთან, ხელკეტი ჩაართყა გვერდის შუშას, გააღო შიგნიდან კარები და აიღო საჯდომიდან პორტატული საკერავი მანქანა და „ნორელკოს“ მარკის ელექტროსაპარსი. საკერავი მანქანა საბარგულში დამალა.

— ჩემი ბებერი დიდი ხანია, რაც ამ ნივთზე ოცნებობს, — განმიმარტა მან. ელექტროსაპარსი ოფიცერმა მე გადმომიგდო. — თუ ენის მიტანას იფიქრებ, მე ვიტყვი, რომ ეს შენ ჩაიდინე. ვის დაუჯერებენ — მე, თუ ისეთ ახალბედს, როგორც შენ ხარ? აიღე საპარსი, ყმაწვილო და თავი ანებე ნერვიულობას.

იმ დამეს ძილი არ გამკარებია.

მეორე დღეს ელექტროსაპარსი მდინარეში გადავაგდე და ჩემს ყოფილ სამუშაოსაკენ გავეშურე, ბებერ შერიფთან, რომელსაც დიდ პატივს ვცემდი.

— შერიფო, — ვუთხარი მე მას, — არავის დაბეზლებას მე არ ვაპირებ და ძალიან გთხოვთ ნუ მაი-



ძულეობა ამას. მე მხოლოდ მინდა გითხრა, რომ არ მომწონს ზოგიერთი საქმეები და არ მინდა მასში მონაწილეობა მივიღო. მითხარით, შემიძლია თუ არა თქვენს კანტორაში დაეწყო ისევ მუშაობა რაიმე ადგილზე?

შერიფის პასუხმა საესებით შემაშფოთა:

— მე ვიცი, შვილო, შენ რაც გაქვს მხედველობაში, — მითხრა მან. ჩემთვის სრულიად ნათელია, რაც ხდება. ეს ყველამ იცის. ამოიღე ეგ აზრები თავიდან. აუცილებელი კი არ არის, შენც მიიღო მონაწილეობა ამგვარ საქმეებში. იმასურვე ერთი წელიწადი და მეერ თხოვე მათ, რომ გადაეყვანონ ქუჩებში მოძრაობის რეგულირების განყოფილებაში ან მოგცენ საკუთარი საპატრულო მანქანა.

ძალიან შეეწუხდი. თქვენ შეიძლება ძალიან გულუბრყვილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ როდესაც მე მილიციაში დაეწეე მუშაობა, აზრადაც არ მომსვლია, რომ მსგავს შემთხვევებს ექნებოდა ადგილი.

— მონაწილეობდით ხოლმე დამის შემოვლაზე? — შევეკითხე ბლიკს.

— არა, — მიპასუხა მან, — მე ქუჩების პატრულირება განვაგრძე და სულ უფრო და უფრო მეტს ვხედავდი. საქმე იმაშია, რომ თვით პოლიციის მუშაობის ხასიათი აყენებს მას უდიდესი ცდუნების წინაშე და მალე ეს მე თვალნათლივ დაეინახე. ერთხელ მე და ჩემმა პარტნიორმა შევამჩნიეთ ღიად დარჩენილი პატარა მაღაზიის კარები. რადიოთი ვაცნობეთ პოლიციის დისპეტჩერს, რომ მაღაზიაში გადაწყვიტეთ შესვლა. ეს ჩვეულებრივი პროცედურაა. თუ მორიგეობის დროს გისდება შენობაში შესვლა, ამაზე ვალდებული ხარ წინასწარ შეატყობინო დისპეტჩერს. როგორც წესი, იგი შემთხვევის ადგილზე გზავნის ავტომანქანით სერჟანტს ან ლეიტენანტს დასახმარებლად ან აუცილებელ შემთხვევაში დასაცავად.

როდესაც ჩვენ პისტოლეტებით ხელში მაღაზიაში შევედით, იქ არავინ არ დაგვხვდა. პისტოლეტები შევინახეთ. ჩემი პარტნიორი მივიდა სეიფთან და ციფერბლატის სახელურს ფრთხილად დაუწყო ტრიალი. უცბად სეიფის კარები ხმაურით გაიღო.

— ასეც ვიცი, — თქვა მან. — დღის საკეტი დაუტოვებიათ. ამ დროს საჭიროა მხოლოდ ზუსტი ნომრის აკრეფა.

სეიფიდან ფულის შეგვრა გამოიღო. შემდეგ სერიოზულად შემომხედდა.

— იცი, ჯონ, — მითხრა მან, — ისინი ერთ

ცენტსაც არ ჰკარგავენ. მათ აუნაზღაურებენ ზარალს სადაზღვეო ფონდიდან. დამიჯერე, უფრომეტყავ კი აუნაზღაურებენ და არავინ არ გამოედავებათ... ესლა კი არ მითხრა, რომ უარს აცხადებ შენს წილზე.

ბოლოს და ბოლოს ჩვენ გაეყავით ფული. ცოტაოდენი სერჟანტსაც შეხვდა. იმასაც ხომ რაიმე უნდა ერგოს. ასე ავიღე პირველად ფული.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ კიდევ დავაკავით ორი ახალგაზრდა, რომლებმაც საქონლის საწყობი გაძარცვეს. პისტოლეტების ლულების ქვეშ მათ სწრაფად გაგვაცნეს თავიანთი თავი და ისინიც პოლიციელები აღმოჩნდნენ. ჩვენ დავუშვით პისტოლეტები და მე მივხვდი, რომ უკვე აღარაფერი მადარდებდა: ანკესზე ვიყავი წამოდებული.

ის ერთი წუთით გაჩერდა, ამოიღო სიგარეტი, თუმც არც კი მოუკიდებია.

— შეიძლება სასაცილოდ მოგეჩვენოთ, — თქვა მან, — მაგრამ მე საბოლოოდ შემაცდინა იმან, რაც რამდენიმე დღის შემდეგ მოხდა. ერთხელ დამით მე და ჩემი პარტნიორი ბნელ ხეივანში მივდიოდით მანქანით. დაფიქტულ ხეივანში არ ჩანდა არც ადამიანის ფეხის კვალი, არც ავტომანქანის ბორბლის ანაბეჭდი. უცბად მე შევნიშნე, რომ საქონლის საწყობის კარები ოდნავ ღიად იყო. მასზე მიყუდებული იყო მორი. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს კარების გაღებას მორმა შეუშალა ხელი, თუმც შემტრევის ნიშნები არ შეიმჩნეოდა, მაგრამ მე მაინც მომიხდა ადგილის დათვალიერება.

— დაურგვე დისპეტჩერს და უთხარი, რომ მე გადაწყვიტე საწყობში შესვლა, — ვუთხარი მე ჩემს პარტნიორს. შემდეგ შევედი შენობაში და გავანათე იქაურობა. ეს იყო პატარა საწყობი, რომელიც ბეწვეულის პალტოების ფაბრიკის პატრონს ეკუთვნოდა. საკიდარზე ქურქები ეკიდა, ხოლო იატაკზე ტყავის შეგვრა იდო. ყველაფერი წესრიგში იყო და ძარცვის ნიშნებიც კი ვერსად შევნიშნე. რამდენიმე წუთის შემდეგ მეორე მანქანით მოვიდა ლეიტენანტი საწყობის მესაკუთრესთან ერთად. მესაკუთრე შემოვიდა, მიმოიხედა გარშემო და უცბად ღრმად ამოიხარა:

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა მან. — მოუპარიათ.

— რა მოიპარეს? — შევეკითხე მე.

— კედელთან ჩალის საგებზე ტყავის შეკვრები იდო, — წაილაპარაკა მან ადლებით. — ის მოუპარიათ!

— საგებთან ერთად?



თვალის დაუხამხამებელივ მიპასუხა:

— საგებთან ერთად!

— რამდენი იყო აქ ტყავი?

— ორასი.

— რა ღირდა?

— თითოეული ექვსიდან შვიდნახევარ დოლარამდე. ეს 1200-დან 1500 დოლარამდე ზარალს უდრიდა. მესაკუთრის განცხადებას სკეპტიკურად შევხვდი.

— შეხედეთ, — ვთქვი მე, — არ არის არავითარი ნიშნები იმისა, რომ კარები ძალით იყოს გაღებული. დღეს საღამოს რვა საათიდან თოვს, ჩვენს მოსვლამდის კი ხევიდან არც ადამიანის, არც ავტომანქანის კვალი არ ჩანდა.

ის გაშმაგებით მობრუნდა ჩემს მხარეს და იყვირა:

— ესე იგი თქვენ ჩემი არ გჯერათ?! — შემდეგ, შემომხედდა მე და სულ სხვა ხმით თქვა: — სხვათა შორის, ყმაწვილებო, იცით თქვენ რა ზომის პალტოები სჭირდებათ თქვენს ცოლებს? ჩვენ მაღლობელნი ვართ თქვენი, რომ კარგად დაცვათ ეს საწყობი. მე მინდა დავასაჩუქრო თითოეული თქვენგანი პალტოთი. მე არ ვიცი, შეგიძლიათ თუ არა რომ გამოგოთ, მაგრამ ეს კი დასასრული იყო.

— დიას, — ვთქვი მე, — კარგად ვიცი ჩემი ცოლის პალტოს ზომა და მივიღებ კიდევ თქვენს საჩუქარს.

— თქვენი პარტნიორიც? — შემეკითხა მეპატრონე.

— ისიც აიღებს, — ვუპასუხე.

— ლეიტენანტი, რომელიც ქუჩაში იცდის?

— ვიცი, ისიც აიღებს, — შეეძახე მე და მართალიც გამოვდექი.

იმის შემდეგ, როცა თითოეულმა ჩვენგანმა თავისი წილი მიიღო, ლეიტენანტმა მითხრა:

— შეადგინეთ აქტი ძარცვის თაობაზე.

მე ჩავწერე მასში ყველაფერი, რასაც მკარნახობდა მეპატრონე და მოვაწერე ხელი. მეორე დღეს აქტი საწყობის გაქურდვის თაობაზე გადაეცა სამძებრო ბიუროს და იქაურმა აგენტმა დამიძახა თავისთან.

— თქვენ დარწმუნებულ ხართ, რომ ეს საქონელი ნამდვილად მოიპარეს? — შემეკითხა იგი.

— არ ვიცი, — ვუპასუხე მე, — ჩემთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ თუ თქვენ გინდათ მიიღოთ მშვენიერი ქურქი თქვენი ცოლისათვის, შეგიძლიათ აისრულოთ წადილი.

დღემქტივი უმაღლე გაეშურა საწყობის მეპატრონესთან და დაბრუნდა ქურქით. აქტი ძარცვის თაობაზე გადაეგზავნა სადაზღვეო კამპანიას, რომელმაც ყოველგვარი ხმაურისა და წინააღმდეგობის გარეშე გადაუხადა მოთხოვნილი თანხა.

ახლა გასტინეს მივუბრუნდი:

— თქვენც იღებდით მონაწილეობას მსგავს ოპერაციებში?

მან თავი დამიქინა თანხმობის ნიშნად.

— იმის შემდეგ, რაც ჩვენ პროფესიულ მძარცველებად გადავიქცით, ბიზნესმენები თვითონ მოდიოდნენ ჩვენთან და გვარწმუნებდნენ, რომ საწინააღმდეგო არ ექნებოდათ, თუ ვინმე შეიპარებოდა მათ საწყობში ან მაღაზიაში. ისინი იმასაც კი გვატყობინებდნენ, თუ რა თანხას მივიღებდით ამა თუ იმ ღამეს. როდესაც ჩვენ ვტყვდით დასახელებულ შენობას, იქ ვაბოლომდით სწორედ იმას, რასაც გვეუბნებოდნენ. ეს იყო თავისებური სახის ქრთამი. საქონლის საწყობისა და მაღაზიის მესაკუთრეები წარადგენდნენ სადაზღვეო სარჩელს იმ თანხაზე რაც შესამჩნევად აღემატებოდა გაძარცვის ღირებულებას და სარჩელსაც საფასებით აკმაყოფილებდნენ ჩვენ წესად გვექონდა მიღებული საზღაური შეგვედარებინა სარჩელში აღნიშნულ თანხასთან.



# ჯაბოქაძეთა შემოცნალება

გიუნტარ პოლოლი

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოქვეყნდა გიუნტერ პროდელის წიგნი „უმაგალითო კრიმინალური ისტორიები“, სადაც მოთხრობილია რამდენადმე დაუჯერებელ და ამავე დროს სოციალური თვალსაზრისიდან გამომდინარე მეტად საჩვენებელ დანაშაულზე, რას ასე დამახასიათებელია ამ უკანასკნელ წლებში დასავლეთის ქვეყნებისათვის. ამ საქმეთა გამოძიებისა და პროცესის დროს აშკარად ჩანს კაპიტალისტური სინამდვილის ნამდვილი სურათი, რომელიც გამსჭვალულია ავანტიურიზმისა და მოგების სულსკვეთებით. ამჟამად თქვენს ყურადღებას მივაქცევთ ერთ-ერთ „უმაგალითო ისტორიას“.

მაინის ფრანკფურტის სისხლის სამართლის პოლიციის თანამშრომლები ბეგრის მნახველი ხალხია. მათთვის კარგად არის ცნობილი, რომ ქალაქი, სადაც ისინი მუშაობენ, პირველ ადგილზეა დანაშაულის ჩადენის მხრივ. ამიტომაც პოლიციელები კარგა ხანია დარწმუნდნენ, რომ მათ არავითარი დანაშაული არ გააკვირვებს. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც გაოცებულნი დარჩნენ, როდესაც 1964 წლის 26 თებერვლს მეწაღე გეორგ კრაუზერტის სახელისნოში შევიდნენ, კაზინოშტრასაზე 2.

ნახევრად ჩაბნელებული ოთახის უკანა კედელზე ჯვარცმული იყო მეწაღის გვამი. წელამდის გვამი გაშვებულ იყო, გულს არემი გარტობილი ჰქონდა მეტალის ღერძი. შუბლზე ნახშირით გამოხატული შავი ჯვარი, არავითარ ეჭვს არ ბადებდა, რომ კრაუზერტი რელიგიური ფანატიკოსების მსხვერპლი გახდა. მკვლელობა ძარცვის მიზნით, გამორცხული იყო.

პოლიციის კომისარი, რომელიც ცდილობდა სახლის მცხოვრებლებისაგან გაეგო რაიმე მეწაღის ცხოვრებასა და მისი მეგობრების წრეზე, საოცარ თავშეკავებულობას წააწყდა დაკითხული პირებისაგან. არავის არ სურდა ჩვენება მიეცა და ყველა თავს იმით იზღვევდა, რომ კრაუზერტი ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი იყო. ერთნი ახასიათებდნენ მას, როგორც უცნაურ ადამიანს, მეორენი კი როგორც მორწმუნე და ჩამორჩენილ ადამიანს. ხანში შესული ქალი შეშინებული უყვებოდა ინსპექტორს: „ის იყო ჯადოქართა შემოცნეული და ამასთან გლეხთა კარმიდამოს გადამლოცველი, როდესაც ავადმყოფობდა მათი საქონელი ანდა მოსავალს ცუდი პირი უჩანდა“.

ინსპექტორმა ყურადღება არ მიაქცია ამ ჩვენე-

ბებს, მაგრამ ჩხრეკვის შემდგომმა მსვლელობამ აიძულა ის ჩაფიქრებულიყო ზოგიერთ საკითხზე. საკუჭნაოში ნახეს სკიერი, რომელიც სავსე იყო ავგაროვნებით, ჯვრებით, სატებით. აქვე იყო რამდენიმე პრიმიტიულად აწყობილი წიგნი დარიგებებით ჯადოქართა შელოცვებზე.

„თუ შენი ბავშვი ავად გახდება წითელატი, ყივანახველით ან სხვა რაიმე სატკივართი, — ნათქვამი იყო ერთ-ერთ იმ წიგნში, — ილოცე და ჭიშკარს ურტყი ჯოხით. მეორე დღეს ბავშვის ავადმყოფობაში დამნაშავე პიროვნება, თვით გახდება შეუძლოდ“...


„კარების კლიტის ტუტურტანაში ჩაყრილი წიწაქა, ჯადოქარს შესაძლებლობას უსპობს გამოიყენოს ეს საძრომები სახლში შესაპარად“, ნათქვამი იყო შემდეგ.

მაგრამ პოლიციას აინტერესებდა მეწაღის მკვლელობის გარემოება და არა ექიმბაზის მისტიური რწვეები.

კაზინოშტრასაზე მომხდარ საიდუმლოებით მოცულ მკვლელობის შემდგომ გამოძიებას მოულოდნელად თავი ანებეს. პოლიციელმა ჩინოვნიკებმა გაზეთის რეპორტიორებს აცნობეს, რომ მეწაღემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. საქმის ამ მოულოდნელი დამთავრების ახსნა-განმარტებას ჩვენ ვპოულობთ სისხლის სამართლის პოლიციის უფროსის მოხსენებით ბარათში: „ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელსაც ხელმძღვანელობს ქრისტიანული პარტია და სადაც ღმერთის არსებობაში რწმენის განმტკიცება წარმოადგენს სახელმწიფოს მნიშვნელოვან ამოცანას. ამიტომ პრესის მიერ ამ ქმედობის შემდგომმა გაშუქებამ და წინადადებათა გამოთქმამ მკვლელობის რელიგიურ მოტივებზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მოსახლეობის რწმენაზე ეკლესიის მიმართ და გაადვილოს კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელება“.

მხოლოდ იმის შემდეგ, რაც საზოგადოების აზრი დაკმაყოფილდა კრაუზერტის „თვითმკვლელობის“ შეტყობინებით, პოლიციამ მიიღო ნებართვა საქმის გამოძიებაზე. საქმის მსვლელობაში პოლიციას დაეხმარა მეწაღის დღიურები. ჩანაწერებიდან ჩანდა, რომ ახლადმოვლენილი გრძნეული მთელ დასავლეთ გერმანიაში მოგზაურობდა, „ჯადოსნებს აძევებდა“ მიმ-





დობ გლახთა ოჯახებიდან და ამავე დროს ჰყიდა ავაგროსებს, ჯერებსა და ხატებს.

ზაგარის სოფელი ხილპატსდორფი პირველი დასახლებული პუნქტი იყო, რომელსაც პოლიციის ინსპექტორი ეწვია კრაუსერტის საქმიანობის გამოსაძიებლად. ძლივს მოახერხა ერთი სამოცდათორმეტწლიანი ავადმყოფი ქალის დაკითხვა, რომელიც კრაუსერტის წყალობით ჯადოქრად იყო ცნობილი. ამ მოსუცის ტრაგედია 1956 წლის დასაწყისში დაიწყო. ერთ-ერთი გლახის ოჯახში ბავშვი გახდა ავად. სიცხებმა რამდენიმე კვირას გასტანა, მაგრამ ღრმად მოსუცებულმა სოფლის ექიმმა ვერ შეიტყო, რით იყო გოგონა ავად. იმის მაკვირად, რომ ბავშვი საავადმყოფოში წაყვანათ, დედამ დახმარებისათვის კრაუსერტს მიმართა. „მას აქვს ძლიერი თილისმა ჯადოსნების წინააღმდეგ, — უთხრა მას ნაცნობმა ქალმა, — რადგანაც ბავშვს ვერ უშველა ექიმმა, ამ საქმეში ჩარეული იქნება უწმინდური ძალა!“

კრაუსერტი ორი დღის შემდეგ გამოჩნდა სოფელში. ტერეზას მამა „გრძნიულს“ მოსვლის დროს მინდორში იყო, ხოლო დედა კი ყველაფერზე თანახმა იყო ბავშვის გადარჩენისათვის. კრაუსერტის რჩევით მან ფანჯრებზე ფარდები ჩამოაფარა და ყველა კარები დაკეტა. შემდეგ შემლოცველმა ბავშვი გაატიტვლებინა დედას. ამ დროს კი თვით კრაუსერტი, როგორც არანორმალური, ბუტბუტებდა რაღაც გაუგებარ სიტყვებს. თვალმდასუჭული მიუახლოვდა ბავშვის საწოლს, ერთი ხელი მკერდზე დაადო, ხოლო მარჯვენა ხელით რაღაც საიდუმლო ნიშნებს ხაზავდა ჰაერში. დასასრულს კრაუსერტმა შიშველ ბავშვს სიხვე გადაასხა, რომელიც თვითონ ჰქონდა მოტანილი ბოთლით. შემინებულმა ბავშვმა ყვირილი მორთო, დედა კი ცრემლად იღვრებოდა. მეწაღემ უესტით აგრძნობინა დედას გაჩერებულიყო და თვითონ მგრძნობიარე ხმით წარმოთქვა: „ჯადოქრებმა მოაჯადოვეს ბავშვი. უპირველესად საჭიროა საწოლის შელოცვა, თუ ეს არ უშველის, მაშინ ვისხარა უფრო ძლიერ საშუალებას“. თავისი ძველებური ჩემოდნიდან „ოსტატმა“ ამოიღო ჭინჭრის სამი შტო და ჟანგიანი მაკრატელი. ბავშვი წამოაყენა, ზეწარზე დალაგა ჭინჭარი და ჯვარისებურად გახსნილი მაკრატელი. ამ მანიპულაციას კვლავ ბუტბუტი სდევდა: „შენზე ალაპარაკდნენ ავი ენები? შენ ძალას? შენ სულს? შენ სხეულს? თუ ეს ჩაიდინა მამაკაცმა, დაე თვით დასწეულდეს, თუ ეს ქალის საქმეა, დაე ავი სული მის სხეულში გადავიდეს. გეყალობდეს ღმერთი“.

ჭინჭარზე და მაკრატელზე დაწოლილი ბავშვი კვლავ განავრძობდა ტირილს, დედა კი ცრემლებს წმენდას. კრაუსერტმა ბავშვს ფხვნილი მისცა, რომელიც, ალბათ, ძილისმომგვრელი საშუალება იქნებოდა. შემდეგ ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო, თან ლოცულობდა და იქნედა ხელებს. მალე პატარა ტერეზამ დაიძინა მიღებული ფხვნილის მეშვეობით და დედამ დაუჯერა მაგიურ ძალას.

„შემიძლია იმედი ვიქნით ბავშვის გადარჩენაზე?“ — შევეითა დედა, რომელიც სასოებით უყურებდა მეწაღეს. „ყველაფერი ღვთის ნებაა“, — ფრთხილად უპასუხა მან, — „ნაგრამ ჩვენ უნდა დავეხმაროთ მას სახლიდან ჯადოქრის გაძევებაში. სახლის შესწორულა მომიხდება!“.

მეექვსე დღეს კრაუსერტმა სახლის შესწორულა გადასწყვიტა. საიდუმლო ცერემონია შუალამისას დაიწყო. პირველად ჩაკეტეს ყველა კარები, ფანჯრებს ჩამოაფარეს ფარდები. შემდეგ ბამბით ჩაკეტა საკეტის ყველა ხვრელი, თანაც ქინძისთავებსა და ნემსებს არტობდა ბამბაში. „ეს აუცილებელია, — განმარტავდა იგი, — როგორც კი ჯადოქრები და ავი სულები იგრძნობენ კვამლის სუნს, ეცდებიან სახლში შემოსვლას. მათთვის საკამარისია სულ პაწაწკინტელა გასაძრომი, მაგრამ ამასთან ძალიან ეშინიათ ბასრი საგნების“.

შეამჩნია რა რომ მშობლები სულგანაბულნი უსმენდნენ, „გრძნეული“ შთაგონებულად განავრძობდა ახსნა-განმარტებას: „ჯადოქრებს ძალიან კარგი ალღო აქვთ. როგორც კი შეამჩნევენ, რომ მათ წინააღმდეგ რაიმე ამბადება, მაშინვე ეცდებიან გზა-კვამლის არევის. ამიტომ სახლში აბსოლუტური სიჩუმი უნდა იყოს. თუ ზანჯარაზე ვინმე დააკაკუნებს, არავითარ შემთხვევაში არ გააღოთ იგი. ეს ეშმაკის თინები იქნება!“.

ამ დარიგებების შემდეგ კრაუსერტმა დაიწყო სახლის შესწორულა. სამხარეულოში გაადრევა თანმოტანილი ნახშირი. მშობლები დაარწმუნა, რომ ეს ნახშირი „არაბული ხისგან“ არის დამზადებული. შემდეგ აქანდახით ნახშირი საწოლ ოთახში შემოიტანა და თან რაღაც ფხვნილი მოჰყარა. მყარლი კვამლისაგან უბედურ მშობლებს სუნთქვა შეეკრა.


„არა უშვავს, — ამშვიდებდა მათ კრაუსერტი. — ყველაფერი, რაც ჰაერს და თვალებს წვავს კარგა ავ სულებთან საბრძოლველად“. ლოცვა-კურთხევით შემლოცველმა მოიარა მთელი სადგომი. უცბად იგი შეჩერდა, ხელით გააფრთხილა მშობლები, მიიპარა ფანჯარასთან და ფარდა ასწია. მთვარის შუქით განათებულ ქუჩაზე ნელა მიდიოდა ორთვალა.

„ის ვინ არის?“ — „მეეტლე ხეგნერია“ — გულბრყვილოდ უპასუხა სახლის პატრონმა. „ეს ცუდის მომასწავებელია“ — მრავალმნიშვნელოვნად წაილაპარაკა კრაუსერტმა, „იგი სწორედ შესწორულვის დროს გამოჩნდა“.

დასასხლის მაშინვე გაახსენდა მეზობლების ლაპარაკი, რომ არც ერთი მორწმუნე ქრისტიანი შუალამისას ცხენებით არ ივლისო და ხეგნერის ბედი გადაწყდა. გლახები დარწმუნდნენ, რომ ბავშვის ავადმყოფობა ხეგნერის ბრალი იყო.

მეორე დღეს პატარა ტერეზა ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. კრაუსერტმა მიიღო ჰონორარი 450 მარკა უბედური მშობლებისაგან, ხოლო გოგონას სიკვდილის მიზეზად ერთხმად მიიჩნიეს მეეტლე ხეგ-





ნერი, რომელმაც თითქოს ხელი შეუშალა კრაუსერტს შესწრაფვის მომენტში და ხელახლა მოაჯადოვა გამოჯანმრთელებული გოგონა.

თვით ხეგენერს არც კი შეუძინევია თავზე ჩამოწოლილი ღრუბლები, სანამ უშუშეგარი არ დარჩა. არც ერთ გლუხს არ სურდა მიეცა მისთვის რაიმე გადასახიდად. მეტელეს სურდა თანასოფლელებთან ლაპარაკი თავის უბედურებაზე, მაგრამ მას ერიდებოდნენ, როგორც ჭირიანს. ხეგენერსა და მისიანებს ქვევს ესროდნენ. ადგილობრივი მედუქნეები უარს ეუბნებოდნენ პროდუქტების გაცემასზე, ხოლო ეკლესიაში მის დანახვაზე დემონსტრაციულად პირჯვარს იწერდნენ და მოშორებით სხდებოდნენ ხეგენერისა და მისი სუფელისაგან. ბავშვები და მოხუცები წინ უფურთხებდნენ ხეგენერს ქუჩაში შეხვედრისას, რადგანაც „ოსტატმა“ დაარბია ისინი, რომ ეს ავი სულისაგან შევლისო. ასაღვარდა გოგონები, მეტელის დანახვისთანავე ქვედაკაბას ტანზე იკრავდნენ, რადგან თავის ერთ-ერთ ქადაგებაში კრაუსერტმა განაცხადა, რომ ჯადოქარს შეუძლია შეუძინეგლად შეძერეს კაბის ქვეშ და უმანკოება წაართვას ქალიშვილსო.

ხეგენერმა მიმართა სასამართლოს, ეპარქიას, საოლქო სასამართლოსა და პოლიციის პრეზიდენს. ამოდ. მის წერილებს უპასუხოდ ტოვებდნენ. საბოლოოდ იგი დანებდა ბედს, გაყიდა ქონება და ოჯახით გაემგზავრა ქალაქში საცხოვრებლად, სადაც ტაქსის მძღოლად დაიწყო მუშაობა. მაშინ თანასოფლელთა სიძულვილი მის ღრმად მოხუცებულ დედას დაატყდა, რომელსაც სიბერისა და ავადმყოფობის გამო არ შეეძლო შეიღს გაპყლოდა ქალაქში. კრაუსერტის მიერ წასისიანებული გლეხები მოითხოვდნენ მოხუცის გასასწვებას შორეულ, ნახევრად დანგრეულ ქოხმასში და აუკრძალეს მას სოფელში გამოჩენა.


ოქმები კრაუსერტის საქმეზე ოთხ ტომს შეადგენს. არ არის აუცილებელი მთელი იმ მასალების ციტირება, რომელიც ავლენს ამ გაიძვერის საქმიანობას. მოყვანილი ფაქტებიც კი საკმარისია იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ თუ რამდენ ადამიანს მოუტანა მან უბედურება და ტანჯვა. ამიტომ საკვირველი არ არის, თუ მეწაღის მკვლელობის საქმის მიმოხილვა შემდეგი ფრაზით მთავრდება: „ლოგიკურია იმის ვარაუდი, რომ კრაუსერტის მიერ დაზარალებულმა ზოგიერთმა პირებმა განახორციელეს შურისძიების გეგმა—მოპკლეს ადამიანი, რომელმაც შეურაცხყო ისინი ანდა წარმოადგენდა მათთვის ახლობელი ადამიანების სიკვდილის მიუხედავად.“

კრაუსერტის საქმე ყურადღებას არ დაიმსახურებდა, იგი რომ დაზარალებული არ იყოს დასავლეთ გერმანიისათვის. ამ უკანასკნელ წლებში ათეულობით იურისტი, მასწავლებელი და ისტორიკოსი ცდილობენ გამოამჟღავნონ მიზეზები ცრუმორწმუნოებისა და მისტერიული რწმენის გავრცელებისა ვერ მოსახლეობას შორის. მათ მიერ შეგროვილი მასალებს, საუბედუროდ, პრესა არ აქვეყნებს, ხოლო მათი შეკითხვები მთავრობისადმი უყურადღებოდ რჩება.

განსაკუთრებულ ინტერესს ამ მიმართებით წარმოადგენს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხერბეტ შეფერის დისერტაცია, რომელიც მიძღვნილია დასავლეთ გერმანიაში ჯადოქართა შემოღობვების, ექიმბაშებისა და სხვა თაღლითების საქმიანობისადმი. თავის შრომას შეფერმა დაურთო გფრ რუჟა. ამ რუჟაზე აღნიშნულია ის დასახლებული პუნქტები, სადაც ყველაზე მეტი ცრუმორწმუნენი ცხოვრობენ. ასოთხმოცდა ექვს სოფელსა და დაბაში „განდვენეს ჯადოქრები“, ამ ადგილებში ჩამოდიოდნენ კრაუსერტის მსგავსი „ოსტატები“.

შეფერის მიერ გადმოცემულ ფაქტებიდან, ყურადღებას იპყრობს სოფ. ხეიდელორფში აღწერილი მღვდომარეობა. ამ სოფლის 300 მოსახლიდან 250 სწამს ჯადოქრებისა და ემბაკების არსებობა. 1957 წელს ერთ-ერთ გლუხს, რომელიც უფრო განათლებულად ითვლებოდა თანასოფლელებს შორის, დაეხოცა ორი ცხვარი და შვიდი ღორი. სოფლის მცხოვრებლებმა მაშინვე გადაწყვიტეს, რომ საქონელი მოსაქვს ჯადოქრებმა, რომელიც ამ გლუხის ბავშვების სხეულში დაბინავდნენ; ერთი იმათთაგანი ორი წლის იყო, მეორე კი ხუთისა. ორივე ბავშვი პოლიომელიტი იყო დაავადებული და ეს გამოდგა საფუძველი იმის დასამტკიცებლად, თითქოს თავიანთი ავადმყოფობა მათ საქონელზე გადაიტანეს. ბავშვების დედამ მოიწვია ექიმბაში, რომელმაც წინასწარ გაიგო რა მეზობლებისაგან ბავშვების ავადმყოფობა, მოსვლისთანავე განუცხადა მშობლებს, რომ საქონელი ბავშვებმა მოაჯადოვესო. 500 მარკად ექიმბაშმა ჩაატარა უწმინდური სულის გაძევების ცერემონიალი ამ ეზოდან. ხოლო როდესაც მისმა მანიპულაციებმა არ უშეუღეს და საქონელი ისევ იხტებოდა, ექიმბაშმა განუცხადა, რომ ჯადოქრებთან ბრძოლის ერთადერთი საშუალებაა სახლის გათავისუფლება ავადმყოფი ბავშვებისაგან. ბავშვების მამა კატეგორიულად წინ აღუდგა ამას, რის გამოც უსიამოვნება მოუვიდა ცოლთან და ძმასთან გადავიდა საცხოვრებლად. რამდე-





ნამე დღის შემდეგ ღამის ორ საათზე სოფლის მცხოვრებნი საშინელმა ხმამ გამოაღვიძა. ქუჩაში დარბოდა ტანთშემოხეული ბავშვების დედა, რომელიც განწირული ხმით ყვიროდა: „ღმერთი შეგვეწია!“ „ეშმაკები გააძევა ჯოჯოხეთში“. როდესაც ბავშვების მამა ძმასთან ერთად სახლში შევარდა, მათ თვალწინ საშინელი სურათი დაუდგათ: მთელი ავეჯი ნაკუწებად იყო ქცეული, ხოლო დამტვრეულ საწოლთან ბავშვების გვამები ეწყო დედამ დაახრჩო ისინი, დარწმუნებული იმაში, რომ ბავშვები მოჯადოებულნი იყვნენ ჯადოქრებისაგან!

გაუბედურებული ქალი საგიჟეთში მოათავსეს, ხოლო საქმეს, რომელიც ბავშვების მამამ აღძრა ექიმბაშის წინააღმდეგ, სასამართლო ინსტანციებში მსვლელობა არ მიუღია.

1958 წელს გამოცემულ თავის შრომაში შეფერო მიუთითებს, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაახლოებით ორი-სამი ათასი სხვადასხვა სახის „შემლოცველი“ ცხოვრობს. მას შემდეგ მათი რიცხვი არა თუ შემცირდა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა.

გფრ სისხლის სამართლის კოდექსით არ არის გათვალისწინებული ამ თაღლითების დასჯა. არ იქნება იგი გათვალისწინებული მართლმსაჯულების ასალდოკუმენტებშიც, რადგანაც ბუნდესტაგის კომისიამ არ მიიღო წინადადება სასჯელის შეფარდებაზე იმ პირებისათვის, რომელნიც ცრუმორწმუნეობას დანაშაულებრივი მიზნით იყენებენ.



## ბანაჩენი მოყვანილია სისკულები

გურამ ლუკავა თავის პატარა ოთახში ბორგავდა.

— არა, მარტო გამიჭირდება. ორი სამი კაცი ერთად, რომ ვიქნებით უფრო ვიმოქმედებთ. მაგრამ ვის უნდა ვენდო? ზუგდიდის მუშა-ასალგაზრდობის საღამოს სკოლაში სადაც მე ვწავლობ სანდო ბიჭი არავინ მეგულება. მამ რა ვქნა? არის. მივაგენი. ჩემ ძმას, კანაკის დავიბარებ ცხაკაიას რაიონ სოფელ კირცხიდან, მერედა კაწაკი მისი აღმზრდელი მამილის ჯიქიას გვარს რომ ატარებს? მით უკეთესი, ეინცილობა ჩავეარდეთ, კანაკოზე ვიტყვი, რომ არ ვიციან. მაშ ასე, ვიწყებთ მოქმედებას.

გურამ ლუკავამ შეასრულა თავისი გადაწყვეტილება. ძმა თავისთან ჩამოიყვანა. მთილაპარაკეს და გადაწყვიტეს ერთად ჩაენიანთ ძარცვა. ვინც წინააღმდეგობას დააპირებდა, იარაღით ადვილზე მოესპოთ.

ძმებმა პირველი ოპერაცია შედარებით იოლად ჩაატარეს. სობის რაიონის სოფელ საჯიჯასთან იარაღით დახვდნენ ნოდარ ჩანგელიას, წაართვეს 50 მანეთი, ჩამოაგდეს ცხენიდან და უკვალოდ გაქრნენ.

შემდეგ ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხასკარის შესასვლელთან მდინარე ტანისწყლის ნაპირთან ჩასაფრდნენ.

უკვე დაღამდა და გზაზე არავინ არ ჩანდა. ბოლოს როგორც იქნა ცხენოსანი გამოჩნდა.

— აბა, ყოჩაღად ბიჭო, დანა კარგად მთიმარჯვე, თუ წინააღმდეგობა გასწია არ დაინდო—გადასძახა გურამმა ძმას და თოფი მოიმარჯვა.

როდესაც მგზავრი ტანისწყალს მიუახლოვდა ყრუ შეძახილმა იგი ადვილზე გააშეშა.

— ხელეები მადლა! ძირს ჩამოდი, თორემ ვაგათავებ! — შესძახა გურამმა და თოფი მომართა.

მგზავრმა დუღუნო ჩახაიამ ერთი კი გადახედა მოძალადეებს და ცხენი დაოთხილი გააჭენა.

— ძაღლო, გერსად გაგვექვევი. — დასჭყვილა გურამ ლუკავამ და დ. ჩახაიას თოფი ზურგში დაასალა.

მგზავრი ცხენიდან გადმოფარდა.

მძარცველები მივარდნენ წაქცეულს, რომელსაც პირიდან სისხლი გადმოსდიოდა. — ჯობია ამას ბოლო მოვუღოთ. — წამოიძახა გ. ლუკავამ, ძმას ხელიდან

გამოვლიჯა დანა და სამჯერ ჩაარტყა თავში დ. ჩახაიას.

— აბა, ჩქარა ხელი გაანძრიე, რას გამოშტერებულხარ, — დასჭყვილა გურამმა ძმას და გასისხლიანებულ დ. ჩახაიას ჯიბეები გაუჩხრიკა, ჩემები გააძრო, რის შემდეგ ძმები სიბნელები მიიშალნენ.

მაღე მთვარემაც გამოანათა და იქაურობა გაანათა. ბალახებში ჩამოსობილი გასისხლიანებული სხეული შეინძრა, შემდეგ თვალი გაახილა, — ვაიმე ჩემო უბედურო ცოლშვილო—დაიკენესა და ბალახებში გაფორთხდა.

დიდხანს მიფორთხავდა დაჭრილი ღამეში, თვითვეულ ქვას, ბუჩქს ებღაუჭებოდა. არ უნდოდა ისე დაეღლია სული, რომ ერთხელ კიდევ არ გადაეკლო თვალი თავისი ოჯახის წევრებისათვის. როგორც იქნა თავისი ეზოს ჭიშკარში შეებღადა, შემდეგ ოდის კარებიც შეაღო და უგონოდ დაეცა.

რამდენიმე დღის შემდეგ დუღუნო ჩახაიას ცხეღარი მეზობლებმა, ნათესაებმა და ახლობლებმა მიწას მიაბარეს.

ძმებმა შემდგომ სამოქმედოდ ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია აირჩიეს. ერთხელ ისინი სანადირო თოფითა და დანებით შეიარაღებულნი გზის პირას ჩასაფრდნენ. მაღე, გზაზე მგზავრები ს. სოჭარია და ვ. ბებურაია გამოჩნდნენ.

— არ გაინძრეთ თორემ ვაგათავებთ, — დასჭყვილა გ. ლუკავამ. დაბნეული მგზავრები, რომლებიც არავითარ საფრთხეს არ ელოდნენ ადვილზე გაშეშდნენ. გ. ლუკავამ მათ ჯიბეები გადმოუჭრილა, წაართვა 320 მანეთი, სხვა ნივთები და ღამის სიბნელებში ძმასთან ერთად მიიშალა.

მძარცველები მთელი ღამე მიდიოდნენ. მათ გადაწყვიტეს ქ. ცხაკაიასაკენ აეღოთ გეზი. დილის მსაათი იქნებოდა, როდესაც საბჭოთა მეურნეობის დაფნის პლანტაციების მცველმა აკაკი კანკიამ თვალი მოჰკრა ორ შეიარაღებულ ასალგაზრდას, რომლებიც ბუჩქებს ეფარებოდნენ და ისე მიიპარებოდნენ.

— აქ რაღაც ამბავია, დაფნის ფოთოლი სომ არ მოიპარეს? გაიოქრა ა. კანკიამ და მგზავრებს შეუძახა. — ჰეი, შეჩერდით, ერთი აქეთ მიიწით!





- რაშია საქმე მეზობელო, მოვდივართ.
- ეტყობა მონადირეები არიან, მე კი ბოროტ-მოქმედნი მეგონნენ.
- გაივლო გულში ა. კანკიამ და მოახლოვებულ „მონადირეებს“ დააკვირდა.
- გ. ლუკავა და მისი ძმა კანაკი ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ ა. კანკიასაკენ. როგორც კი ამ უკანასკნელს 10 ნაბიჯზე მიუახლოვდნენ, გ. ლუკავამ თოფი უცბად მოიგდო მხრიდან და პირდაპირ გულში დაახალა ა. კანკიას, რომელიც იქვე გარდაიცვალა.
- ვინც გადამედობება გზაზე ყველას ეს დღე მოეღის! აბა, ახლა კი გავსწიოთ. — წაისისინა გ. ლუკავამ და თავქვე დაეშვა.

კაცის მკვლელები და ყაჩაღები მართლმსაჯულების მასვილს ვერ გაექცნენ. მათი საქმე ამას წინათ გაარჩია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ა. ფალავანდიშვილის თავმჯდომარეობით. გ. ლუკავას მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, კ. ჯიქიას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი გ. ლუკავას მიმართ მოყვანილია სისრულეში.

**ზ. მესენგისერი,**

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი.





# ნაპრობი გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს სასაქონლო პირობების შესახებ<sup>1</sup>

XVII—XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში სამართალწარმოების შესახებ არსებული ლიტერატურა ღარიბი როდია. საქმარისია გავისენოთ გ. თარხნიშვილის, ი. კარსტის, ალ. ვაჩიშვილის, ივ. სურგულაძის, მ. ქიქოძის, მ. კეკელიას წერილები თუ მონოგრაფიები, რომ ზემონათქვამის სისწორეში დავრწმუნდეთ. ამასთანავე, ჯერჯერობით მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ ამ დროის აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლო პროცესი სამეცნიერო ლიტერატურაში სასურველი სისრულით იყოს დოკუმენტალურად შესწავლილი. ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი წყარო სასამართლო პროცესის გასაცნობად სასამართლო პრაქტიკის მასალებია, რომლებიც მეცნიერულ მიმოქცევაში მხოლოდ ნაწილობრივ თუ არის შემოსული. სანამდის დეტალურად არ იქნება შესწავლილი ცოცხალი იურიდიული პრაქტიკა და მათი საკრუპულოზური ანალიზის მეშვეობით ყოველ ცალკეულ კითხვაზე არ გაიცემა პასუხი, მანამდის არ შეიძლება ითქვას, რომ საკითხის კვლევა ამომწურავადაა ჩატარებული.

სასამართლო პრაქტიკის ახალი მასალების შუქზე ცდილობს სარეცენზიო ნაშრომის ავტორი წარმოგვიდგინოს სამართლის წარმოების წესი და დამამტკიცებელ საბუთთა სისტემა XVII—XVIII საუკუნეების საქართველოში.

სარეცენზიო ნაშრომი შედგება შესავლისა და ორი თავისაგან. შესავალში ავტორი მოკლედ ჩერდება ფეოდალური საზოგადოების სასამართლო წარმოებისათვის ცნობილ ორ ძირითად ფორმაზე — საბრალდებო და სამძებრო ინკვიზიციურ პროცესზე. სარეცენზიო ნაშრომის პირველი თავია — „სამართლის წარმოების წესი XVII—XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში“, სადაც განხილულია ქართული საბრალდებო პროცესი, როგორც პროცესის გაბატონებული ფორმა.

XVII—XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს სინამდვილეში სამსჯავრო სხდომის მსვლელობისა და სხვადასხვა პროცესუ-

ლურ მოქმედებათა თანმიმდევრობის აღდგენა შესაძლებელი ხდება სასამართლო პრაქტიკის იმ მასალების საფუძველზე, რომლებიც დღემდე შემორჩენილი, ნაწილობრივ გამოქვეყნებულია და ნაწილობრივ, დედნებისა და პირების სახით დაცულია საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში.

ამ საბუთების ანალიზის შედეგად შეიძლება იმის დადგენა, რომ საბრალდებო პროცესისათვის დამახასიათებელ მხარეთა აქტივობასა და ინიციატივასთან ერთად, თვითონ სასამართლოც ხშირად გამოდიოდა ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების ინიციატორად. კერძოდ, როდესაც ბრალდებული თუ მოპასუხე თავისი ნებით არ ცხადდებოდა სასამართლოში, მოსამართლენი, რიგ შემთხვევაში, ავალდებუნებდნენ კომპეტენტურ პირებს ურჩი მოპასუხეთა სასამართლოში მოყვანას (გვ. 17).


სარეცენზიო ნაშრომის ავტორის აზრით აღმოსავლეთ საქართველოში პროცესის გაბატონებულ ფორმას საბრალდებო პროცესი წარმოადგენდა. სისხლისა და სამოქალაქო საქმეების სამართალწარმოებაში არავითარი სხვაობა არ არსებობდა. სასამართლო საქმე, როგორც წესი, აღიძვრებოდა თვით დაზარალებულისა თუ მოსარჩელის მიერ. სასამართლო თავისი ინიციატივით საქმის განხილვას არ იწყებდა.

პროცესის მონაწილე ორივე მხარე თანასწორი უფლებით იყო აღჭურვილი. სასამართლო პროცესს კი შეჯიბრებითი ხასიათი ჰქონდა. მხარეთა მოვალეობას შეადგენდა სასამართლოში, ერთის მხრივ, საჩივრის დასაბუთება და, მეორეს მხრივ — მასზე თავის მართლება; ამისათვის ისინი წარადგენდნენ სხვადასხვა დამამტკიცებელ საბუთებს, სთხოვდნენ სასამართლოს ამა თუ იმ პროცესუალური მოქმედების ჩატარებას და სხვა (გვ. 108).

საბრალდებო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნე-

<sup>1</sup> მ. ლიკვეიშვილი. სასამართლო პროცესი XVII—XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში. თბილისი. 1963. გვ. 109.





ლოვანი პრინციბი — პროცესის საქვეყნობა XVII—XVIII საუკუნეების ქართულ სამართალში დაცული იყო. სამსჯავრო პროცესი წარმართებდა საქვეყნოდ, ხალხის თანდასწრებით და არა დახშულ კარებში, როგორც ეს სამძებრო პროცესისათვის იყო დამახასიათებელი.

პროცესზე დაცული იყო უშუალოდ პრინციბი. როგორც წესი, მოსამართლე თვითონ ეცნობოდა უშუალოდ ყველა იმ მასალას, რომელიც სახეზე იყო, ისმენდა მხარეების ახსნა-განმარტებას, აწარმოებდა მოწმეთა დაკითხვას, დამამტკიცებელი საბუთების შეფასებას.

უმეტეს შემთხვევებში სასამართლო პროცესი ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობდა, თუმცა გამორიცხული არ იყო პროცესუალური აქტების გაფორმების წერილობითი ფორმაც.

ვახტანგის სამართლის წიგნის მე-3 მუხლი სწორედ პროცესის ასეთ წერილობით ხასიათზე მიგვითითებს. თუ ესა თუ ის განსახილველი საქმე თავისი მნიშვნელობითა და მოცულობით დიდი იყო, მაშინ სასამართლოს სპეციალური მოხელე — მდივანი აწარმოებს მხარეთა ახსნა-განმარტების ჩაწერას; ამასთან დაკავშირებით კანონმდებელი ამბობს: „თუ გრძელი და დიდი რამე საჩივარი იყოს, ორისავე სიტყუა მდივანმა დასწეროს, რომე არ დაავიწყდეს, და მერმე ცალკე გასინჯონ, ეცადონ მართლის შეტყობასა“. სასამართლოში პროცესუალური მოქმედების წერილობით გაფორმებაზე მეტყველებს ვახტანგის სამართლის წიგნის 24-ე მუხლის შინაარსიც. დიდებულებს შორის დავის განხილვისას მოსამართლეებმა „ჯერ ერთი აჩივლონ, ის ააყენონ, გაიცალონ, მისი საჩივარი დაწერილი იქონიონ, მერმე მეორე მთად აჩივლონ, და მისი საქმე და საჩივარიც დასწეროს“.

ავტორის აზრით XVI—XVII საუკუნეების საქართველოში დასაშვები იყო ახლო ნათესავების წარმომადგენლობა სამოქალაქო სარჩელში და სხვა პირის წარმომადგენლობა იმ შემთხვევაში, თუ მხარე მცირეწლოვანი იყო (გვ. 27), წარმომადგენლობა დაიშვებოდა მხოლოდ სამოქალაქო საქმეზე დავის განხილვის დროს.

ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველო XVIII საუკუნის დასაწყისისათვის, როდესაც ვახტანგის სამართლის წიგნი შეიქმნა, დიდი ხნის დაცემულობის შემდეგ ერთგვარ აღმავლობას განიცდიდა: ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა და საქალაქო ცხოვრება. შეინიშნებოდა ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის განვითარება, კულტურული მშენებლობა. ვახტანგის სამართლის წიგნში აისახა საზოგადოება, რომელსაც განვითარებული ფეოდალიზმის

საფეხურის გავლის შემდეგ განუტლია ნგრევის, უკანდახვევის და ქვეყნის დამატკეველი შინა და საგარეო ძალების თარევი; XVII—XVIII საუკუნეების მიჯნაზე ეს მრავალსაუკუნოვანი რევრესი შეიცვალა დინამიურობის და წინსვლის ნიშნებით, მაგრამ ამ უკანასკნელს თან ახლავს საზოგადოებრივ და სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში უკუღმართო დამპყრობლების მიერ დანერგული ნახევრად პატრიარქალური და ნახევრად ფეოდალური წყობის ზოგიერთი ნიშანი.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორის აზრით XVII—XVIII საუკუნეების სამართალწარმოებაში შეიმჩნევა სამძებრო პროცესისათვის დამახასიათებელი რიგი ელემენტების არსებობა. გამონაკლისის სახით გვხვდება შემთხვევები, როდესაც სასამართლო ორგანო თვითონ თავისი ინიციატივით იწყებს სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოებას. ეს ხდება განსაკუთრებით ისეთ მძიმე დანაშაულის ჩადენისას, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფოსა და მეფის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

ავტორი ავითარებს თეზისს, რომ სასამართლო დაწესებულებასთან არსებობდნენ სპეციალური მოხელეები — იასაულები, რომელთაც საგამომძიებლო ფუნქცია ჰქონდათ დაკისრებული. იასაულები მეფესა თუ მოსამართლეთა დავალებითა და ბრძანებით აწარმოებდნენ საქმეზე წინასწარ გამოძიებას, ახდენენ ადვილობრივ დათვალიერებას, მოწმეთა დაკითხვას, მხარეთა დაპირისპირებას და სხვა. იასაულები თავიანთ საგამომძიებლო საქმიანობის შედეგს სასამართლოს ახსენებდნენ წერილობით ან ზეპირად. იასაულებს გარდა საგამომძიებლო ფუნქცია შეიძლებოდა დაკისრებოდა სხვა პირსაც.

სასამართლო პროცესი XVII—XVIII საუკუნეების საქართველოში სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით თვითმყოფი განვითარების ისეთ საფეხურს აღწევს, როდესაც მოწმის ჩვენება სხვა მტკიცებულებათა გვერდით თანაბარუფლებიან დამამტკიცებელ საბუთად ითვლება.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორის აზრით განსახილველი პერიოდის საქართველოს სამართალწარმოებაში გამოიყენებოდა მტკიცების სხვადასხვა საშუალებები. ძალაში იყო ფორმალური დამამტკიცებელ საბუთთა თეორია, რომლის მიხედვით მტკიცების საშუალებათა შეფასება მოსამართლეების მხრივ ხდებოდა არა შინაგანი რწმენის საფუძველზე, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობასა და ძალას ანიჭებდა ამა თუ იმ დამამტკიცებელ საბუთს კანონმდებელი.

XVII—XVIII საუკუნეების საქართველოში



დამამტკიცებელ საბუთების სისტემისათვის დამახასიათებელი იყო გარკვეული „ეკლექტიზმი“. აქ ერთიმეორის გვერდით ვხვდებით როგორც განვითარებული სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელ მტკიცებულებებს (წერილობითი დამამტკიცებელი საბუთი, მოწმის ჩვენება), ასევე პრიმიტიული სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელ მტკიცებულებებს (შანთი, მღუღარე, სასამართლო ღუელი, ცოდვის მოცილება).

მტკიცების საშუალებათა შორის მოწმეთა ჩვენება, წერილობითი და ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები, აგრეთვე ექსპერტთა დასკვნა, ქართული სამართლის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს. რაც შეეხება ვახტანგის სამართლის წიგნში ნახსენებ და სასამართლო პრაქტიკაში ნაკლებად გამოყენებულ ზმალს, შანთს და მღუღარეს, როგორც მტკიცებულების სახეებს, ისინი ჩვეულებითი სამართლის ვადმონაშთებად უნდა ჩაითვალოს.

XVII—XVIII საუკუნეების საქართველოში არსებულ დამამტკიცებელ საბუთთა სისტემაში განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს ფეოდალურ ეპოქაში ვაბატონებული წოდებრივ-კლასობრივი უთანასწორობის პრინციპი (თავადის და აზნაურის ჩვენებასა თუ ფიცს მეტი ძალა აქვს სასამართლოში ვიდრე გლეხისა და მოქალაქისა და სხვა).

ასეთია მოკლედ სარეცენზიო ნაშრომის შინაარსი. ავტორს გამოყენებული აქვს ძირითადად სასამართლო პრაქტიკის მასალები. ნაშრომში ვხვდებით მითითებას ასზე მეტჯერ გამოქვეყნებულ საარქივო საბუთზე რაც უთუოდ მისასალმებელია.

ნაშრომი იწვევს ზოგიერთ შენიშვნებსაც.

პირველყოვლისა, უნდა შეინიშნოს, რომ ავტორს უნდა გამოეყენებინა უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული ზოგიერთი ნაშრომი; ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ სარეცენზიო ნაშრომის ავტორის საწინააღმდეგო შეხედულება უკვე გამოთქმულია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მ. კეკელიას წერილი „წინასწარი და სასამართლო გამოძიების საკითხისათვის XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში“ („საბჭოთა სამართალი“ № 4, 1962 წ.) მ. კეკელიას აზრით ქართულ სასამართლო პროცესის წარმოება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სამძებრო ხასიათისა იყო, სადაც შემონახული იყო საბრალდებო პროცესის ზოგიერთი ელემენტები, რომლებიც მიიმართება შერეული პროცესის ჩამოყალიბებისაკენ. სარეცენზიო ნაშრომის ავტორს ჰქონდა შესაძლებლობა გამოეთქვა თავისი აზრი ამ შეხედულების ირგვლივ რამდენადაც მისი ნაშრომი გამოვიდა მის შემდეგ,

რაც მ. კეკელიას წერილი უკვე გამოქვეყნებული იყო.

ეხება არა ქალის პროცესუალური უფლება და ქმედობაუნარიანობის საკითხს, ნაშრომის ავტორი ასკვნის: „უნდა ვივარაუდოთ, რომ XVIII საუკუნის სასამართლო პრაქტიკა მაინც, თუ უფრო ადრინდელი არა, დასაშვებად თვლიდა ქალების ჩივილი სასამართლო მსჯელობის საგნად გამხდარიყო“ (გვ. 17). ის ვარაუდობა, რომ ქალების ჩივილი სასამართლო მსჯელობის საგნად შეიძლებოდა ყოფილიყო, არავითარ ეჭვს არ იწვევს არა მარტო XVIII საუკუნისათვის, არამედ ვაცილებით ადრეც. ჩვენ ვიცით რომ საქართველოში დიდებულთა ქალები ზოგჯერ უმსხვილეს სენიორებს ოლობდნენ და მართავდნენ (მაგ. ათაბაგის ქალები გვანცა, დედისიშვილი და სხვები). ჩვენ ვიცით მეფე ქალებიც. ცხადია, ავტორს ამ კუთხით არ უნდა დაესვა საკითხი. დიდებულთა ქალების საჩივარს არა მარტო უბრალოდ მოისმენდა მამაკაცებისაგან შემდგარი სასამართლო, არამედ დიდი ყურადღებითა და ანგარიშის გაწევითაც.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი XVII—XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ზმირად უწოდებს „გვიანფეოდალურს“ (გვ. 33, 79, 84, 89, 109). დღეს ქართველი ისტორიკოსების მიერ გაწეული კვლევის შედეგად ვიცით, რომ ყოველ შემთხვევაში XVII საუკუნის საქართველო არ იყო „გვიანფეოდალური“. ის თავისი განვითარების ისტორიული სიმაღლით უფრო დაბლა იდგა.

სარეცენზიო ნაშრომის 35-ე გვერდზე ვკითხულობთ: „უალკეული მდივანბეგის მიერ გარჩეული საქმე ერთ-ერთი მხარის პროტესტის შედეგად ზემდგომი სასამართლო ორგანოს — საქართველოს მსაჯულთშეკრებულების მსჯელობის საგანი ხდებოდა“.

სპეციალურ ლიტერატურაში უკვე გამოთქმულია საკმაოდ დასაბუთებული მოსაზრება, რომელიც საქართველოს მსაჯულთშეკრებულების, როგორც მდივანბეგზე ზემდგომი სპეციალური სასამართლო ინსტანციის არსებობას უარყოფს. თუ ავტორი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება, ამის შესახებ თავისი აზრი მას გარკვევით უნდა ეთქვა.

ეს შენიშვნები არ ამცირებენ სარეცენზიო შრომის ღირებულებას. სასურველია, რომ ავტორმა უფრო ვრცელ ასპექტში განაგრძოს სასამართლო პროცესის ისტორიის საკითხებზე მუშაობა.



## საქართველოს ადვოკატთა პირველი კონსულტაციის

1965 წლის 11 დეკემბერს თბილისის მასწავლებელთა სახლში გაიმართა საქართველოს სსრ ადვოკატთა პირველი კონფერენცია.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. პაიჭაძემ.

ირჩევენ საქმიან პრეზიდიუმს, სამანდატო კომისიას და სამდივნოს.

კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობა.

ანგარიში საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ გააკეთა აშხ. ა. პაიჭაძემ.

ბოლო წლებში, — ამბობს მომხსენებელი, განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი ადვოკატების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. დიდი ყურადღება ექცევა მათი იდეურ-პოლიტიკური და საქმიანი კვალიფიკაციის, აგრეთვე სტაჟირებისა და ახალგაზრდა ადვოკატების პროფესიული ცოდნის ღონის ამაღლებას, ადვოკატთა კადრების ყოველმხრივ შესწავლას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ 1965 წლის 19 ოქტომბერს მიიღო კანონი „საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

ახალი დებულებით დადგენილია, რომ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი კონტროლს უწევენ ადვოკატების საქმიანობას, ამტკიცებენ იურიდიული კონსულტაციების დისლოკაციას და სხვ.

დებულების 28-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმის საქმიანობას. იგი უფლებამოსილია გააუქმოს ამ ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონს ან ამ დებულებას.

დებულებაში ზოგადად იყო ნათქვამი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ხელმძღვანელობის შესახებ ადვოკატთა კოლეგიებისადმი. ახალ დებუ-

ლებაში ზუსტადაა ჩამოყალიბებული უფლებები და მოვალეობანი, რაც ამ დარგში იურიდიულ კომისიას აკისრია.

მომხსენებელი ლაპარაკობს ადვოკატთა იდეურ-პოლიტიკური ღონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობაზე, საბჭოთა სამართლის პროპაგანდის საქმეში ადვოკატთა მონაწილეობის შესახებ.

საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის საქმეში კარგი მაჩვენებლები აქვთ ქ. თბილისის პირველი მაისის, კალინინის, ორჯონიკიძის, ოქტომბრის და სხვა რაიონის იურიდიულ კონსულტაციებს.

მოსახლეობაში სისტემატურად და მაღალ დონეზე აწუბონენ ლექცია-მომხსენებებს ადვოკატები: ჯ. ბაქრაძე, გ. უგრეხელიძე, შ. ლეკვიშვილი, გ. კერესელიძე, და სხვ.

გორის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატებმა (კონსულტაციის გამგე დ. რაქამაშვილი) გასულ წელს ჩატარეს 43 ლექცია-მომხსენება, აქედან კოლმეურნეობებში — 31, რომლებსაც დაესწრო 3440 კაცი. კონსულტაციის ინიციატივით კოლმეურნეობებში მოეწყო კითხვა-პასუხის საღამოები.

ასევე კარგად მუშაობენ ტყიბულის, სამტრედიის, ზესტაფონის, ზუგდიდის, მარნეულის, ონის, თელავის და სხვა რაიონის ადვოკატები.

არის ცალკეული ფაქტები, როდესაც ადვოკატები არ ასრულებენ საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულების მე-4 მუხლის მოთხოვნას მოსახლეობაში ლექცია-მომხსენების ჩატარების შესახებ.

მაგალითად, მესტიის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეს გ. ქალდანს მიმდინარე წლის პირველ ნახევარში არცერთი ლექცია-მომხსენება არ ჩატარებია.

ლექცია-მომხსენების ჩატარებასთან ერთად ადვოკატთა გარკვეული ნაწილი შემოქმედებით მუშაობას ეწევა. ისინი წერილებსა და სტატიებს ათავსებენ ურუნალ-გაზეთებში სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, აქვეყნებენ შრომებს საინტერესო თემებზე და სხვ. ამ მხრივ აღსანიშნავია ადვოკატების ვ. სიღამონიძის, ნ. კვეციშვილის, ა. გელოვანის, გ. ხარატიშვილის, შ. ჯოხაძის და სხვ. მუშაობა.



გამოსვლის დიდი ნაწილი მომხსენებელმა დაუთმო იურიდიული კონსულტაციების საქმიანობასა და ადვოკატების მუშაობის განვითარებას.

1965 წლის მარტო პირველ კვარტალში საქართველოს სსრ სსკ 321 მუხლის საფუძველზე ადვოკატების მიერ შეტანილი 12 შუამდგომლობიდან სასამართლომ დააკმაყოფილა 9 შუამდგომლობა.

საფუძვლიანი შუამდგომლობები აქვთ აღძრული სასამართლოში ქალაქების ფოთის, ჭიათურის, აგრეთვე ზუგდიდის, თელავისა და სხვა რაიონების ადვოკატებს.

ამჟამად მთელ რიგ მსხვილ წარმოება-დაწესებულებებში ჩამოყალიბებულია იურიდიულ საკონსულტაციო პუნქტები. საკონსულტაციო პუნქტებში მორიგე ადვოკატები მშრომლებს ადგილზევე აძლევენ რჩევა-დარიგებას მათთვის საინტერესო საკითხებზე. პრეზიდიუმი სისტემატურად ამოწმებდა კონსულტაციებში ამ მიმართებით ჩატარებულ მუშაობას და ღებულობდა ზომებს მის გასაუმჯობესებლად.

ამხ. ა. პაიჭაძე ყურადღებას ამახვილებს ადვოკატების მონაწილეობაზე წინასწარ გამოძიებაში, კოლმედიურობების და საბჭოთა მეურნეობების იურიდიული მომსახურების, სტაჟიორებთან მუშაობის საკითხებზე.

ჩატარებულ შემოწმებებში ცხადყოფენ, რომ ადვოკატთა დიდი უმრავლესობა, თავიანთი პრაქტიკული მოვალეობის შესრულების დროს კანონის საფუძველზე მოქმედებენ, ბრალდებულთა და სამართალში მიცემულთ უწევს ისეთ იურიდიულ დახმარებას, რაც მხოლოდ და მხოლოდ კანონიდან გამომდინარეობს.

პრინციპულობის, საქმეთა დრმა შესწავლის, საფუძვლიანი ანალიზებისა და დასკვნების გაკეთების შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან ადვოკატები ბ. ბარათაშვილი, ა. გელოვანი, გ. უგრეხელიძე, მ. აღმაშვილი, ბ. ხომერიკი, შ. ლეკვეიშვილი, ალ. საგინაშვილი, ვ. სიღაშინიძე, ჯ. ბაქრაძე, ვლ. გვათუა, თ. ნიკოლეიშვილი და სხვ.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი ხშირად ღებულობს იმ მოქალაქეების მადლობის წერილებს, რომლებმაც უკანონოდ ჰქონდათ აღკვეთილი თავისუფლება, ან რომელთა კანონიერი უფლებები შელახული იყო და ადვოკატთა ენერგიული, კანონიერი დახმარებით შესაძლებელი გახდა დაშვებულ შეცდომათა გამოსწორება.

მაგრამ ადვოკატთა შორის ჯერ კიდევ გვხვდებიან პირები, რომლებიც სასამართლო პროცესში დაცვის ისეთ პოზიციებს ირიყენ, რაც არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალებიდან. ისინი დახმარების ნაცვლად ხელს უშლიან

მართლმსაჯულებას ობიექტური კეშმაობების დადგენის საქმეში.

ზუგდიდის რაიონის იურიდიულ კონსულტაციაში მომუშავე ადვოკატი გოგოხია სასამართლოში იცავდა სამართალში მიცემულ გ. ბასილაის ინტერესებს, რომელსაც ბრალად ედებოდა საქართველოს სსრ სსკ 105 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

დადასტურებული იყო, რომ ბასილაიმ არაკანონიერი ქორწინების შედეგად შექმნილი ახალშობილი ბავშვი საპირფარეოში ჩაავდო. წარდგინლ ბრალდებას იგი არ უარყოფდა და თავს დამნაშავედ ცნობდა. ადვოკატმა გოგოხიამ სასამართლოში იშუამდგომლა წარდგენილი ბრალდება (სსკ 105 მუხლი) მოეხსნათ და დანაშაული დაეკვალიფიცირებიათ სსკ 129 მუხლით. ამ მუხლში დაზარალებულს გასაცდელში დატოვებაზე ლაპარაკი, საქმის მასალებით კი უდაოდ იყო დადგენილი ახალშობილის წინასწარი განზრახვით მკვლელობა.


ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით ამახვილებდა ადვოკატების ყურადღებას ე. წ. ალტერნატიული მოთხოვნის მიუღებლობაზე, კატეგორიულად ავალდებდა მათ სასამართლო პროცესში ყოველ კონკრეტულ საქმეზე გამოეთქვათ ერთიანი, მტკიცე მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო სამართალში მიცემულის ბედი.

ზოგიერთი ადვოკატი დაუდევრად, უწიგნურად ადგენს საქმიან ქალაქებს, მათ შორის საკასაციო და სასედახმედველო წესით შედგენილ საჩივრებსაც.

სამტრედიის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს დ. დანელიას ერთერთ საკასაციო საჩივარში სულხან-საბა ორბელიანის ივავარაკის „დათვისა და კაცის შესახებ“ მთელი ტექსტი აქვს მოტანილი (!!).

არის შემთხვევა, როცა ადვოკატი კონსულტაციის გვერდის ავლით აწარმოებდა იურიდიულ რჩევა-დარიგებას, ადგილი ქონდა მოქალაქეებისათვის არასწორ, უკანონო პასუხების გაცემის ფაქტებს. ორჯონიძის რაიონის იურიდიულ კონსულტაციაში გამოცხადდა მოქალაქე გაბისონია და მოითხოვა განმარტება თუ ვისთვის მიემართა ნიკო მარის ვინაობისა და მისი წარსულის დადგენის საკითხზე. კერძოდ მას აინტერესებდა დაედგინა, რომ მარი წარმოშობით ქართველი იყო. მორიგე ადვოკატმა ა. დათუაშვილმა მას მისცა შემდეგი განმარტება: „თუ თქვენი ეჭვები სინამდვილეს შეეფერება და საამისო მასალები გაქვთ, შეგიძლიათ იგი წარადგინოთ არა სასამართლოში, არამედ სანოტარი კანტორაში. სპეციალური აქტის გაფორმე-





ბით დაგიდასტურონ თქვენი ეპევი ამ საკითხის ირგვლივ, ხოლო ამის შემდეგ იმოქმედოთ სათადად ხაზით სადაც ჯერ არის“. (?).

პრეზიდენტის ახალ შემადგენლობას მართებს მუდმივად ჰქონდეს დღის წესრიგში ადვოკატთა დაცვის პოზიციის სწორად შერჩევისა და საკონსულტაციო მუშაობის გაუმჯობესების საკითხები. საჭიროა მუშაობის ამ უბანზე სრული წესრიგი იქნეს დამყარებული.

სარევიზიო კომისიის ანგარიშით კონფერენციის წინაშე წარდგა ა. მიქაძე.

საფინანსო ანგარიშით გამოვიდა საქართველოს სსრ ადვოკატთა პრეზიდენტის მთავარი ბუღალტერი გ. მირზელაშვილი.

საქართველოს სსრ ადვოკატთა შრომის ანაზღაურების ახალი წესის შესახებ კონფერენციის დელეგატებს ესაუბრა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილე ნ. დავითაია.

მოხსენებების შემდეგ დაიწყო კამათი.

კამათში გააოსულმა აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის თავმჯდომარემ ფაღვაძე და აფხაზეთის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის თავმჯდომარემ ახუბამ ილაპარაკეს აფხაზეთში და აჭარაში მომუშავე ადვოკატების, კოლეგების საქმიანობაზე, მათი მოღვაწეობის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

საქართველო სსრ პროფსაბჭოს იურიდიული ბიუროს გაძვემ ნ. წერეთელმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ სუსტია იურიდიული სამსახურის მუშაებისა და ადვოკატების კონტაქტი. ადვოკატები ხშირად უგულვებელყოფენ იურიდიულ სამსახურის მუშაკთა ინიციატივასა და წინადადებებს კონტაქტების გაძლიერების თაობაზე.

ადვოკატი ბ. ბარათაშვილი ლაპარაკობს ადვოკატთა შორის საქმეების განაწილებაზე. ძალიან ხშირად ადვოკატების მონაწილეობა წინასწარ გამოძიებაში ატარებს ფორმალურ ხასიათს. ზოგჯერ საგამომძიებლო ორგანოებში ადვოკატს იბარებენ და ეუბნებიან: „აი, საქმეა 50 ტომად, გაცანით დღეს, დღესვე დაწერეთ შეამდგომლობა და დღესვე წადით ციხეში, იქ უნდა მოვლაპარაკოთ პატიმარს“. ასეთ პირობებში ადვოკატის წინაშე დასმული ამოცანის შესრულება უშუქდება.

იმისათვის, რომ მოტყუებული არ დარჩეს არც კლიენტი, რომლის წინაშეც ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ და არც საგამომძიებლო ორგანო, პროკურატურამ ადვოკატებს უნდა მისცეს სამოქმედო ვადა, რათა ისინი საფუძვლიანად გაეცნონ საქმეს.

პერსონალური მოთხოვნა, — თქვა ბ. ბარათაშვილმა, — ერთგვარი ფეტვი არის. ალბათ გაივლის ხანი და პერსონალური მოთხოვნათვის თავად მოისპობა, მაგრამ ჯერჯერობით ამას ადგილი აქვს და ამიტომ ანგარიშიც უნდა გაუწიოთ. არასწორი იქნება, რომ პერსონალური მოთხოვნა უუქვავდოთ, კანონის ძალით ეს იქნებოდა მოქალაქეთათვის დაცვის უფლების გაუქმება, ზოგიერთ შემთხვევაში კლიენტის უფლების შელახვა და შეკვეცა.

ეურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქტორმა ო. კაციტაძემ ილაპარაკა ეურნალის საქმიანობასა და მასში ქართველი ადვოკატების მონაწილეობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ გ. მასიურაძემ ილაპარაკა მთავართლებებისა და ადვოკატებს შორის ურთიერთდაპოკიდებულებაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ მ. ლომიძემ აღნიშნა, რომ თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ფაქტებს, როდესაც ადვოკატები უხეშად არღვევენ ადვოკატის ეთიკას. თავშეუყავებლად იქცევიან სასამართლო პროცესზე, რითაც სახელს უტეხენ საბჭოთა ადვოკატურას.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა აშხ. ჯინჯინაშვილმა და კალიაინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა აშხ. ფხალაძემ 1964 წლის 7 თებერვალს უმაღლეს სასამართლოს პროცესზე საქმის განხილვის დროს ერთმანეთს მიაყენეს სიტყვიერი შეუტაცყოფა, რამაც დამსწრე საზოგადოების სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლში ნათქვამია, რომ დამცველ-მოვალეა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული დაცვის ყველა საშუალება და ხერხი იმ მიზნით, რომლებიც ამართლებენ ბრალ-



დებულს ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას. დაუშვებელია ადვოკატის მიერ ე. წ. „დაცვის“ ისეთი ხერხის გამოყენება, რომელიც მიზნად ისახავს საქმის განზრახ გაჭიანურებას. დამცველი უნდა ხელმძღვანელობდეს კანონით და სოციალისტური მართლშეგნებით. საკუთარ სინდისთან კომპრომისი ისევე დაუშვებელია ადვოკატისათვის, როგორც მოსამართლისათვის, გამომძიებლისათვის და პროკურორისათვის.

თავისი პოზიციის განსაზღვრისას ადვოკატი ვალდებულია მოეთათბიროს მისი დაცვის ქვეშ მყოფ ბრალდებულს, გაითვალისწინოს მისი მოსაზრებები, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას დამცველი დებულობს ბრალდებულისაგან დამოუკიდებლად და მთლიანად პასუხისმგებელია თავის მოქმედებაზე.

საინტერესო იყო ადვოკატ ჯ. ბაქრაძის გამოსვლა. მან ყურადღება გაამახვილა საქართველოში იურიდიული საზოგადოების შექმნის აუცილებლობაზე, ადვოკატთა შორის საქმეების განაწილების თაობაზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ადვოკატებმა ქიტოშვილმა, ჩიქოვანმა, დგებუაძემ და სხვ.

კონფერენციამ კოლეგიის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მიიღო სათანადო დადგენილება.

\* \* \*

გაიმართა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის არჩევნები. კოლეგიის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ა. პაიჭაძე, მოადგილედ ნ. დავითაია.



## საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

29 სექტემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

პირველ საკითხად განხილულ იქნა: სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 18 მარტის დადგენილების „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს კანონების ზუსტად დაცვის შესახებ“ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 5 მარტის დადგენილების „საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში კანონიერების დარღვევის ფაქტების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“ შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის საკასაციო ინსტანციის მიერ. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ქაჯაია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გარკვეული მუშაობა ჩატარა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 18 მარტის და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 5 მარტის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის. საგრძნობლად ამაღლდა საქმეთა განხილვის ხარისხი, გაიზარდა მომთხოვნელობა სახალხო სასამართლოებისადმი, გაძლიერდა მათადმი პრაქტიკული დახმარების გაწევა.

შემდეგ ს. ქაჯაია ვრცლად ჩერდება ნაკლოვანებებზე, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი კოლეგიების საქმიანობაში.

სიტყვით გამოვიდა აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ს. მაკარაძე. მიმდინარე წლის 9 თვეში, აღნიშნა მან, ჩვენს მიერ გამოტანილი განაჩენების გაუქმება შეადგენს 2,1 პროცენტს. საქმეთა 94,5 პროცენტი განხილულია ვადებში; ყურადღება ეთმობა წინასწარ სამსჯავრო გამოძიების მაღალხარისხიანად ჩატარებას, განაჩენების სტაბილურობას.

შემდეგ ამხ. ს. მაკარაძე აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიები ზოგჯერ საქმეებს სრულყოფილად არ განიხილავენ კოლეგიებზე.

სიტყვით გამოსული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი დ. გიორგაძე ეთანხმება მომხსენებლის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს. იგი გამოთქვამს თავის მოსაზრებას დადგენილების პროექტის ირგვლივ — განსაკუთრებით იმ ნაწილზე, სადაც ლაპარაკია სახალხო

სასამართლოებისადმი დახმარებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი თ. პაიჭაძე ეხება კოლეგიების მუშაობას აღნიშნავს, რომ მომხსენებლის კრიტიკული შენიშვნები სწორია. ამხ. თ. პაიჭაძე საჭიროდ თვლის მოგვარდეს პრეზიდიუმის დანაშინის დღის საკითხი.

ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ა. იობიძე ჩერდება ქუთაისის სახალხო სასამართლოს მუშაობაზე. 9 თვეში სახალხო სასამართლოს მიერ განხილულ და გასაჩივრებულ საქმეებიდან გაუქმება უდრის 0,7 პროცენტს, სამოქალაქო საქმეებზე 8 პროცენტს.


აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ღვინჯილია შეჩერდა იმაზე, თუ როგორ იბრძვიან აფხაზეთის ასსრ სასამართლო ორგანოები პლენუმის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის. აფხაზეთის ასსრ სასამართლო ოპერატიულად ხელმძღვანელობს რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მუშაობას. შემჩნეული დარღვევების ირგვლივ გამოტანილია კერძო განჩინებები, ასე მაგალითად, მიმდინარე წელს გამოტანილია 25 კერძო განჩინება, ყოველივე ამან, — აღნიშნავს იგი, — საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად შეგვემცირებინა განაჩენებისა და გადაწყვეტილებათა გაუქმების პროცენტი.

საქართველოს სსრ პროკურორი პ. ბერძენიშვილი ეხება რა პლენუმზე წარმოდგენილ მოხსენებას, აღნიშნავს, რომ უკანასკნელ სანებში გაცილებით გაუმჯობესდა კოლეგიების მუშაობა. მაგრამ არის ნაკლოვანებანიც, როგორც კოლეგიების მუშაობაში ასევე საპროკურორო ზედამხედველობის დარგში. კარგი იქნება კვარტალში ერთხელ ჩატარდეს კოლეგიების წევრთა და პროკურორთა ერთობლივი თათბირი, იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართოს მუშაობა მომავალში. ამხ. პ. ბერძენიშვილი ჩერდება აგრეთვე საზედამხედველო წესით გამოთხოვილ საქმეებზე, აღნიშნავს, რომ საჭიროა ამ დარგში სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების საქმიანობის კოორდინირება.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრი დ. თუხარელი განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება განაჩენების შეცვლის საკითხზე, რასაც რესპუბლიკაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი. —

უნდა გავითვალისწინოთ, ამბობს ამხ. თუხარელი, — რომ რაც უფრო მეტი განაჩენები და განჩინებები იცვლება და უქმდება, უარყოფითად მოქმედებს სასამართლოს ავტორიტეტზე. ორატორი ვრცლად ეხება განაჩენების სტაბი-





ლობის, მოსამართლეთა დატვირთვის, ადგილებზე დახმარების გაძლიერების საკითხებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მისურაძე მომთხრობდა განაჩენებისა და განჩინებების ხარისხს, ლაპარაკობს იმ ღონისძიებებზე, რაც უნდა განხორციელდეს კანონიერების სრულყოფილად გატარებისათვის, — ჩვენს მუშაობაში აღნიშნავს იგი, — არ უნდა იქნეს დაშვებული შეცდომები.

მეორე საკითხზე მოხსენებით — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულების „ნასვამ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისათვის და მოძრაობის უშიშროების და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების სხვადასხვა დარღვევისათვის ავტომოტორანსპორტის და ქალაქის ელექტროტრანსპორტის მძღოლთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ გამოყენების სასამართლო პრაქტიკა“ გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ი. გოგაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებში ჯერ კიდევ არ არის ერთიანი პრაქტიკა ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს, ადგილი აქვს როგორც საპროცესო ნორმების დარღვევას, ასევე, საქმეთა განხილვის გაჭინაურებას, უსწორო დადგენილებების გამოტანას და სხვ. მომხსენებელი ვრცლად ჩერდება მილიციის ორგანოებიდან მასალების შედგენასა და ვაგზავნაზე სახალხო სასამართლოში. ამხ. ი. გოგაშვილი აღნიშნავს, რომ პროკურორები ნაკლებად ღებულობენ მონაწილეობას ასეთი საქმეების განხილვაში.

მომხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ავტონისპექციის უფროსი რ. თუშუარაშვილი. იგი შეეხო რესპუბლიკაში ტრანსპორტის მართვისა და მოძრაობის უსაშიშროების და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევებს; აღნიშნა, რომ როგორც რესპუბლიკაში, ასევე ქ. თბილისში ამ მხრივ მდგომარეობა ძალიან ცუდია. ჩვენს მხრივ, — ამბობს იგი, — უკანასკნელ ხანებში გატარდა მთელი რიგი ღონისძიებანი, გამოვლინებულ იქნა 2200 შემთხვევა ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვისა. ამხ. რ. თუშუარაშვილს მოყავს იმის მაგალითები, როდესაც პირები, რომლებიც არსად არ მუშაობენ, ავტომანქანებს იყენებენ პირადი გამორჩენის მიზნით. მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს მუშაკებმა მათ მიმართ უნდა გაატარონ მკაცრი ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ პროკურორი პ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: როგორც უმაღლესი სასამართლო საპროკურორული № 6

მართლოს ასევე პროკურატურის ხელმძღვანელობას მეტი მუშაობა დასჭირდებათ, რათა ამ საკითხზე მიღებული სადირექტივო მასალები დაეყვანოთ თვითიველ მუშაკებზე. შემდეგ იგი აყენებს წინადადებას ამ საკითხზე დამუშავებული პრაქტიკის მასალები, როგორც სადირექტივო წერილი, დაეგზავნოს რესპუბლიკის, როგორც სასამართლო ასევე პროკურატურის მუშაკებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მისურაძე განიხილავს მოხსენების ირგვლივ წამოჭრილ საკითხს და აღნიშნავს, რომ საჭირო იქნება მილიციის მუშაკებმა უფრო ქმედითი ზომები მიიღონ ავტოსატრანსპორტო წესრიგის დამრღვევ პირთა სასამართლოზე გადაცემისათვის. პლენუმზე მიღებული დადგენილება საგრძნობლად დაგვეხმარება ავტომოტორანსპორტზე წესრიგის დარღვევათა აღკვეთაში.

მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს ს. ქაჯაიამ, ს. მაკარაძემ, ვ. ლვინჯილიამ და სხვ.

პლენუმმა განიხილა საქართველოს სსრ პროკურორის წარდგინება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 22 დეკემბრის დადგენილების „ხულიგნობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ შესრულების მიმდინარეობაზე“.

პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო რომ წინა პერიოდთან შედარებით 1965 წლის პირველ ნახევარში სასამართლოებმა გააუმჯობესეს ხულიგნობის საქმეების განხილვის ხარისხი. ამ კატეგორიის საქმეებს უფრო მეტად იხილავენ გამსვლელ სესიებზე, საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობით, ამასთანავე რესპუბლიკის პროკურორი აღნიშნავს იმ ნაკლოვანებებს, რასაც ვხვდებით სასამართლოების საქმიანობაში ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს. ზოგიერთი პროკურორი არ ახორციელებს სათანადო ზედამხედველობას სასამართლოში ხულიგნობის საქმეების განხილვაზე.

თანამომხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ს. აღამიაში. წარდგინებაში — ამბობს იგი, — სწორადაა აღნიშნული, თუ რა ნაკლოვანებანია ზემოაღნიშნული საქმეების განხილვისას სასამართლოებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო წევრს ო. გველესიანს აუცილებლად მიაჩნია, რომ ხულიგნობის საქმეებზე იყოს ერთიანი პრაქტიკა. იგი აყენებს საკითხს ხულიგნობის სწორი კვალიფიკაციის შესახებ, მისი აზრით შესწორება უნდა იქნეს შეტანილი საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის მეორე ნაწილში.





საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო თავმჯდომარის მოადგილე ს. ქაჯაია ეთანხმება ო. გველესიანის მოსაზრებას. მას მოყავს ციფრობრივი მაჩვენებლები ხულიგნობის საქმეებზე. ყველაზე მეტი გასამართლებული ხულიგნობის საქმეებზე კავშირის მასშტაბით მოდის საქართველოში, გაშინ როდესაც წვრილმანი ხულიგნობა სხვა რესპუბლიკებში გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენს რესპუბლიკაში. ამხ. ქაჯაია შეჩერდა აგრეთვე ხულიგნობის საქმეების გამოძიების ვადებზე, აგრეთვე აღმკვეთ ღონისძიების შეფარდების საკითხზე.

საქართველოს სსრ პროკურორი პ. ბერძენიშვილი ეთანხმება კამათში გამოსულ ამხანაგებს საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის 11 ნაწილის დისპოზიციის გადახედვის თაობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო თავმჯდომარე ვ. მაისურაძე ეხება რა ამ საკითხს, აღნიშნავს, რომ საჭირო იქნება საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის მე-2 ნაწილი საფუძვლიანად გადაისინჯოს. ამ საკითხს, — თქვა მან, — ჩვენ განვიხილავთ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე და საჭიროების შემთხვევაში სათანადო წარდგინებით შევალთ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში.

„საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 19 ივლისის № 4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო თავმჯდომარე ვ.

მაისურაძე. მან აღნიშნა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1965 წლის 9 აპრილის დადგენილებს ავტომატრანსპორტის ან ქალაქის ელექტროტრანსპორტის მოძრაობის უშიშროებისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 15 ივნისის № 4 დადგენილებაში უნდა შევიდეს ცვლილებები. ამხ. ვ. ი. მაისურაძე პლენუმს აცნობს ცვლილებების შინაარსს.

პლენუმმა ყველა განხილულ საკითხებზე მიიღო სათანადო დადგენილებანი, რის შემდეგ განიხილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტები სისხლისა და სამოქალაქო საქმეებზე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ზ. რატიანი. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი თ. ონოფრიშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრი დ. თუხარელი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს უფროსი კონსულტანტი ნ. ნოვიკოვი.



## სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

ამას წინათ რესპუბლიკის პროკურატურის ინიციატივით ქ. თბილისში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა, სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, საქართველოს სსრ პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, იურიდიული კომისიის მუშაკებმა, ადვოკატებმა.

კონფერენცია მიმდინარეობდა იურიდიული მეცნიერების პრაქტიკასთან კავშირის გაუმჯობესების საკითხებს, დანაშაულის გამომწვევი მიზეზების გამოვლენებისა და აღმოფხვრის პრობლემებს.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კონფერენციაზე სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საკითხებს.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. თ. წერეთელმა.

თ. წერეთელმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმ ამოცანების დიდ მნიშვნელობას, რომელიც დააყენა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იურიდიული მეცნიერების წინაშე. მან ილაპარაკა იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის შემდგომი განმტკიცების და განვითარების უდიდეს მნიშვნელობაზე.

მოხსენებით — „დანაშაულის გამომწვევი ზოგიერთი მიზეზისა და მისი აღმოფხვრის საკითხები“ გამოვიდა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბ. ფურცხვანიძე. მან ყურადღება გაამახვილა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფორმებსა და მეთოდებზე, დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრისა და პროფილაქ-

ტიკური ღონისძიებების გაძლიერების აუცილებლობაზე.

დამნაშავისა და მისი დამცველის პროცესუალური უფლებების საკითხებს მიექდნა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. სავიციის გამოსვლა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ა. შუშანაშვილი შეჩერდა საგამომძიებლო პრაქტიკაში ბრალდებულის უფლებების უზრუნველყოფის საკითხებზე.

„აუცილებელი მოგერიების საკითხები საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაში“ ასეთი იყო იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის თ. შავგულიძის მოხსენების თემა.

სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეებზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ლ. ზაჩიკი კონფერენციის მონაწილეებს ესაუბრა სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო წესით განხილვის დროს საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების საკითხებზე.

წინასწარ გამოძიებაში დამნაშავის დაკითხვის ტაქტიკისა და მეთოდის საკითხებზე ილაპარაკა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა გრ. ნადირაძემ.

მოხსენებების ირგვლივ გაიმართა კამათი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ ვ. პრავდინმა, ადვოკატებმა ა. რაზმაძემ, ჯ. ბაქრაძემ, მ. ნანიკაშვილმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა შ. გვათუამ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. ბ. ხარაზიშვილმა, რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა დ. ქორიძემ, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსმა ლაბორანტმა ლ. თალაკვაძემ, რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა გ. მეგრელიშვილმა,



ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკმა ა. გაბიანმა და სხვ.

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის საკი-

თხებს, წამოყენებული იქნა ბევრი სასარგებლო წინადადება.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ ასეთი შეხვედრები დიდი სარგებლობის მომტანია.

**ა. კახელი.**





# წიგნის საკარო მენილა<sup>1</sup>

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ა. მენაბდის წიგნმა „საბჭოთა სახელმწიფო აპარატი და მისი შემდგომი სრულყოფის საკითხები“ ფართო სამეცნიერო საზოგადოებისა და პრაქტიკის მუშაკთა ყურადღება მიიქცია. ეს ვასაგებია. უკანასკნელ წლებში დიდად გაიზარდა ინტერესი საბჭოთა სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციისა და ტექნიკის, სახელმწიფო აპარატის სრულყოფის საკითხებისადმი.

სახალხო შეურენობის სხვადასხვა უბანზე ისეთი მდგომარეობაა, როცა სახელმწიფო აპარატის საქმიანობა ჩამორჩება მის წინაშე მდგომი ამოცანების მოცულობით და თვისობრივ განვითარებას. ამ წინააღმდეგობის გადალახვა, რაც აუცილებელია კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის, მოითხოვს სახელმწიფო აპარატის მუშაობის პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების სისტემატურ განვითარებასა და სრულყოფის ნამდვილ მეცნიერულ საფუძველზე. ცხოვრებამ ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი აღნიშნული საკითხების გადაჭრისას შეუწყნარებელია და საზიანო.

საბჭოთა იურისტების, ეკონომისტებისა და ფილოსოფოსების ერთობლივი ძალებით ნაწილობრივ დაძლეულია ნაკლოვანებები, რაც თან სდევდა საბჭოთა სახელმწიფო აპარატის საკითხების მეცნიერულ დამუშავებას. მისასალმებელია, რომ ინტერესი აღნიშნული საკითხებისადმი გაიზარდა აქა მარტო ცენტრში, არამედ მოკავშირე რესპუბლიკებშიც, რის თვალსაჩინო მაგალითსაც ა. მენაბდის ნაშრომი წარმოადგენს.

ყოველივე ამან განაპირობა ა. მენაბდის დასახელებული წიგნის განხილვა მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფო აპარატის სრულყოფისა და ადმინისტრაციული სამართლის პრობლემების სექტორში. ეს განხილვა მოეწყო მიმდინარე წლის 25 თებრვალში. მასში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის გამორჩენილმა სპეციალისტებმა.

ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომლებმა — ი. აზოვიცმა, ზ. ლაზარევმა, ა. გაიდეკოვმა, ი. მუქსინოვმა, ე. შორინამ, ვ. ვიშნაიკოვმა, ნ. სავინკოვმა, ა. მოზოხინამ, ნ. სალინიჩევამ, სექტორის გამგემ მ. პისკოტინმა და

ასპირანტმა ი. დავითიძემ საერთოდ დადებითი შეფასება მისცეს ა. მენაბდის წიგნს. გამოსული ამხანაგების აზრით ა. მენაბდის წიგნი „საბჭოთა სახელმწიფო აპარატი და მისი შემდგომი სრულყოფის საკითხები“ ნაწილობრივ ავსებს ხარვეზს ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში და უფროდ მისასალმებელია. წიგნი დაწერილია „საინტერესოდ, სახელმწიფო აპარატის საქმიანობის ლენინური პრინციპების საფუძველზე და პოლიტიკური პუბლიცისტიკის ნიმუშს წარმოადგენს“ (მ. პისკოტინი); მკითხველის ყურადღებას იპყრობს „ავტორის მაღალი პარტიული პრინციპულობა, მოქალაქეობრივი შეგნება და სურვილი, გაუმჯობესდეს და სრულყოფილ იქნეს საბჭოთა სახელმწიფო აპარატი, მტკიცედ იქნას დაცული სახელმწიფო აპარატის საქმიანობის ლენინური სტილი“ (ი. აზოვიცნი); „წიგნში გამოყენებულია ისეთი საინტერესო მასალები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებიდან, რომლებიც დღემდე არ იყო ბრუნვაში შემოტანილი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში“ (ა. მოზოხინა); „განხილულ საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირველ რიგში პრაქტიკული მუშაკებისათვის“ (ი. მუქსინოვი) და სხვ.


ამასთან ერთად განხილვაში მონაწილეებმა აღნიშნეს წიგნის ზოგიერთი ნაკლოვანებანი. ი. აზოვიცნის თქმით მისი სათაური არ ასახავს ნაშრომის შინაარსს; ყურადღების გარეშე დარჩენილი ზოგიერთი ისეთი პრობლემა, რომელიც შრომაში უნდა ასახულიყო. მაგალითად, საბჭოთა სახელმწიფო აპარატის არსის დახასიათებისას გვეჩლი აქვს ავლილი სახელმწიფო ორგანოთა სისტემის საკითხს, რომლის გარეშე სახელმწიფო აპარატი არ არსებობს. ცალკეული საკითხები (მაგალითად, ბუჯეტური სახელმწიფო მექანიზმი, ხელისუფლების დანაწილება და სხვ.) განხილულია ტრადიციულად, ავტორი არ იძლევა ამ საკითხების დრმა მეცნიერულ ანალიზს თანამედროვე ამოცანებისა და პრობლემების შესაბამისად.

ზ. ლაზარევის აზრით ზუსტი არ არის სახელმწიფო აპარატში ბიუროკრატიზმის მიზეზად მარტოდონ სახელმწიფო ორგანოების ორგანიზაციული ნაკლოვანებების გამოცხადება, რადგან თვითონ ეს ნაკლოვანებანი სოციალური ფაქტორებითაც არის გაპირობებული.

განსახილველი წიგნის დადებით და უარყოფით მხარეებზე ვრცლად ილაპარაკა ა. გაიდე-

<sup>1</sup> А. Менабде. Советский государственный аппарат и вопросы его дальнейшего совершенствования. Изд-во «Мецниереба». Тбилиси, 1965 г.





კოემა. იგი ფიქრობს, რომ სასარგებლო იქნებოდა გაშუქებულიყო საკითხი საერთო-სახალხო სახელმწიფოს პოლიტიკური ხასიათის შესახებ. მისი აზრით, უფრო ზუსტი იქნებოდა ვოლპარაკოთ არა სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციების გადაცემაზე საზოგადოებრივ ორგანიზაციებისათვის, არამედ მათი მონაწილეობის შესახებ სახელმწიფო ფუნქციების შესრულებაში.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ი. მუქსინოვის შეხედულებით, ბევრი პრეტენზია, რაც წიგნის ავტორის მიმართ გამოითქვა, უსაფუძვლოა. ცალკეული ხარვეზების მიუხედავად, მისი ნაშრომი მეტად სასარგებლოა არა მარტო პრაქტიკის მუშაკების, არამედ მეცნიერი მუშაკებისათვის.

ე. შორინამ ძირითადად დადებითად შეაფასა წიგნი, მაგრამ ამასთანავე აღნიშნა, რომ ნაშრომი დაწერილია არათანაბრად. გაურკვეველია, კერძოდ, მკითხველთა რა კონტიგენტისათვის არის იგი გათვალისწინებული. ზოგიერთი დებულება დასაზუსტებელია. მაგალითად, თქმა იმისა, ვითომ მუშგლენინი არ ეწეოდა მუშაობას სახელმწიფო აპარატის სრულყოფისათვის სინამდვილეს არ შეესაბამება.

ასპირანტ ი. დავითნიძის შენიშვნები ძირითადად შეეხო ა. მენაბდის წიგნის მეორე თავს. მისი აზრით, ამ თავში გამოტოვებულია ზოგიერთი აუცილებელი პარაგრაფი, მასში არ არის, მაგალითად, განხილული სახელმწიფო აპარატის პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპი. ავტორს ყურადღება უნდა მიექცია იმ გარემოებისათვის, რომ ზოგჯერ სახალხო რაზმეულის ჩამოყალიბებისას ირღვევა გაერთიანების ნებაყოფლობის პრინციპი.

ნ. სავინკოვის აზრით შრომაში სადავოა სახელმწიფო სუვერენიტეტის ცნების განმარტება. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ა. მოზოხინას აზრით, განსახილველია წიგნის ბევრი ნაკლი, რაზეც გამოსულმა ამხანაგებმა მიუთითეს, სადისკუსიოა. კარგი იქნებოდა თუ ა. მენაბდე უფრო გრძელად შეჩერდებოდა საბჭოთა სახელმწიფო აპარატის საქმიანობის პრინ-

ციპებზე, ახსნიდა ამ პრინციპების მიზეზებსა და სხვ.

ა. მენაბდის წიგნის განხილვის შედეგები შეაჯამა მ. პისკოტინმა. მან აღნიშნა, რომ კამათში გამოსულმა პირებმა სრულიად სამართლიანად დადებითად შეაფასეს ნაშრომი. მ. პისკოტინის აზრით, წიგნისადმი ინტერესი განაპირობა თემის აქტუალობამ. წიგნი გვიპყრობს იმით, რომ დაწერილია პარტიული, ლენინური პოზიციებიდან, ის ჩვენ დღევანდელობას ასახავს. წიგნი შეიცავს მრავალ უთუოდ საინტერესო წინადადებას.

წიგნის ნაკლოვანებათა აღნიშვნისას მ. პისკოტინმა მიუთითა, რომ ცალკეული საკითხები გადაწყვეტილია გამარტივებული წესით, რაც შრომას ზოგჯერ უკარგავს სიახლის ხასიათს. ზოგჯერ საკითხისადმი ლოგიკურ მიდგომას ცვლის ემოციური მიდგომა. კარგი იქნებოდა, რომ ავტორს უფრო გრძელად მოეცა სახელმწიფო ორგანოთა აგების ორგანიზაციულ-ტექნიკური პრინციპები, აეხსნა სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის არსებული წინააღმდეგობის ხასიათი, ფართოდ შეჩერებულიყო სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა აქტების მიმართ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განხორციელების მეოღებზე.

მ. პისკოტინმა აღნიშნა, რომ უმართებულოა ე. შორინას შენიშვნა, თითქოს გაურკვეველი იყოს მკითხველთა რა კონტიგენტისათვის არის გათვალისწინებული ნაშრომი. უდავოა, რომ ა. მენაბდის წიგნი გათვალისწინებულია პირველ რიგში სახელმწიფო და პარტიული აპარატის მუშაკებისათვის, რომელთაც ის დიდ დანხარებას გაუწევს.

ა. მენაბდის წიგნის განხილვამ გაამართლა თავისი დანიშნულება. განხილვამ ჩაიარა უაღრესად საქმიან ვითარებაში. წამოყენებულ იქნა საბჭოთა სახელმწიფო აპარატის საქმიანობასა და სრულყოფისათან დაკავშირებული ბევრი ახალი საკითხები.

ა. აბუსაძე.



## საქირი და სსსრკმპლ სემინარი



საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილებამ ქალაქისა და რაიონის გამომძიებელთათვის მოაწყო სასწავლო-მეთოდური სემინარი — „მკვლევლობის საქმეთა გამოძიების მეთოდები“.

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა.

ჩვენს პირობებში, აღნიშნა მან, ზოგიერთი ნებით თუ უნებლიეთ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შეგნებულად თუ შეუგნებლად ჯერ კიდევ არღვევს კანონებს, ხელყოფს ადამიანის სიცოცხლეს. ამდენად განსახილველ საკითხებს დიდი მნიშვნელობა აქვს. პროკურატურის ამოცანაა ამ დანაშაულის მიზეზებისა და პირობების შესწავლა, ბრძოლა მათი აღმოფხვრისათვის.

1964 და 1965 წლის პირველ ნახევარში მომზადარი განზრახ მკვლევლობის და მკვლევლობის მცდელობის გაუხსნელ საქმეთა შესწავლის შედეგებზე ილაპარაკა საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა გ. მეგრელიშვილმა.

გასულ წელს, — აღნიშნა გ. მეგრელიშვილმა, — მკვლევლობის გაუხსნელ საქმეებზე სრულყოფილი და კვალიფიციური გამოძიების უზრუნველსაყოფად რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილებამ განაზოგადა 1961-63 წლების მკვლევლობის გაუხსნელი საქმეები და ადგილებზე დაუშვა სათანადო მიმოხილვა. შესწავლილია მკვლევლობის გაუხსნელი ყველა საქმე. შედეგები განხილული იქნა მილიციის ოპერატიული მუშაკებისა და პარტიული აქტივის ოპერატიულ თაბიბრზე.

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არის მკვლევლობის გაუხსნელი საქმეები, რაც იმის შედეგია, რომ ამ საქმეთა გამოძიებას ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის პროკურორები, გამომძიებლები დაუდევრად და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან. გამოძიება ტარდება უხარისხოდ და ზერელად. პროკურორები ამ კატეგორიის საქმეებზე სათანადო ზედამხედველობას არ უწყვენ გამომძიებლებს. ამის გამო გამომძიებლები უშვებენ ერთი და იგივე ხასიათის დარღვევებს.

საგამომძიებლო განყოფილებამ ყურადღება

ვაამახვილა შემთხვევის ადგილის დასათვალისწინებლად ქალაქისა და რაიონის პროკურატურების გამომძიებელთა დროულად გამოცხადებაზე და დათვალერების კვალიფიციურად ჩატარების აუცილებლობაზე. მიუხედავად ამისა, საქმეთა შესწავლამ ცხადყო, რომ გაუხსნელ საქმეებზე შემთხვევის ადგილის დათვალერება ჩატარებულია უხარისხოდ და არაკვალიფიურად, რაც ხშირად იწვევს იმას, რომ საქმეები გაუხსნელი რჩება და ბოროტმოქმედები დაუდგენელი.

ზოგჯერ განზრახ მკვლევლობის საქმეებზე შემთხვევის ადგილის დათვალერება წარმოებს სამართლო-სამედიცინო ექსპერტის მონაწილეობის გარეშე, რის გამოც ოქმში გვამის დათვალერების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ფიქსირება არ ხდება. ზოგჯერ გვამის დათვალერების ოქმს ხელს არ აწერენ თანამოწმენი, რაც საპროცესო ნორმის უხეში დარღვევაა.

პროკურატურის ზოგიერთი მუშაკი უგულვებლყოფს რა მკვლევლობის გაუხსნელ საქმეთა გამოძიებას, ამკარა უპასუხისმგებლობას იჩენს საქმისადმი. გამომძიებლები საგამომძიებლო მოქმედებებს ატარებენ გარკვეული გეგმის გარეშე, ხოლო ორთვიანი საგამომძიებლო ვადის გასვლის შემდეგ საქმეებს წარმოებით აჩერებენ და შემდგომ კმაყოფილებიან ფორმალური ხასიათის მიმოწერით მილიციის ორგანობისადმი.

მთელი რიგი ქალაქისა და რაიონის პროკურორები უხეშად არღვევენ გენერალური პროკურორის № 225 ბრძანების მოთხოვნას, რომლითაც მკვლევლობის საქმეთა გამოძიება ექვემდებარება პროკურატურის ორგანობებს და ყოველად დაუშვებელია ამ კატეგორიის საქმეთა დატოვება გამოსაძიებლად მილიციის ორგანობებში.

პროკურორ-კრიმინალისტმა ო. ქლენტიმა სემინარის მონაწილეებს გააცნო 1964 წელს შეწყვეტილ მკვლევლობის საქმეთა პრაქტიკის შესწავლის მასალები.

დანაშაულის მიზეზების შესწავლისა და ვფრთხილების ღონისძიებათა შემუშავების სა-





კავშირო-სამეცნიერო — კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა ვ. პ. ვლასოვმა მსმენელებს გააცნო დანაშაულის ადგილზე კვლების ფიქსაციის ახალი მეთოდები.

შემთხვევის ადგილზე გვამის დათვალიერებისა და მისი გამოკვლევის შესახებ სემინარის მონაწილეებს ესაუბრა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სამინისტროსთან არსებული სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს უფროსი რ. გვეტაძე.

კრიმინალისტიკის ახალი შესაძლებლობანი, კრიმინალისტიკის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენება შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, კრიმინალისტური ექსპერტიზის როლი დანაშაულის გახსნის საქმეში, ექსპერტიზის დასკვნის შეფასების ძირითადი საკითხები, ასეთი იყო თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის უფროსი ექსპერტის ო. მგელაძის გამოსვლის თემა.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო — სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთთა გამოკვლევის განყოფილების გამგემ ი. თვალჭრელიძემ, თბილისის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ექსპერტმა ო. ყავლაშვილმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. ბ. ნარაზიშვილმა, რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა დ. ქორიძემ, საქართველოს სსრ სწდს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების უფროსმა ექსპერტმა ა. მიქელაძემ.

შემუშავებულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

სემინარის შემდეგ მოეწყო პრაქტიკული მეცადინეობა.

**მ. გიგაშვილი**



# ზეპირი ჟურნალი — „მართლმსაჯულების საჯარო“

ზეპირი ჟურნალის — „მართლმსაჯულების სა-  
დარაჯოზე“ მორიგი ნომრის პირველი გვერდი  
დაეთმო ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს  
უფროსის მოადგილის, პოლკოვნიკ შ. ჩხატა-  
რაშვილის გამოსვლას თემაზე — „დაუნდობ-  
ლად ვებრძოლოთ ხულიგნებსა და საზოგადო-  
ებრივი წესრიგის დამრღვევებს“.

ვინ იცის რამდენ ქარიშხალს გადაუვლია  
ჭალარა თბილისის მკერდზე, რამდენ მომხე-  
დურს უბოვნია აქ სამუდამო სამარე. ქალაქი  
იბრძოდა, ცოცხლობდა. ჩვენს წინაპრებს ცალ  
ხელში მახვილი ეკავათ და კვეთდნენ დუშმანს,  
მეორეში კი საჭრეთელი ან კალამი, რომლი-  
თაც აჩუქებდნენ და ხატავდნენ ტაძრებს  
და სასახლეებს, ქმნიდნენ ხუროთმოძღვრები-  
სა და ფერწერის უბადლო ნიმუშებს, ქვებსა და  
სადეზაჟში აქსოვდნენ თავიანთ დიდ სიყვარულს  
ქალაქისადმი.

ქალაქში სანიმუშო წესრიგის დამყარებისა-  
თვის ბრძოლის მედროზე ჩვენი ახალგაზრდო-  
ბაა, რომელიც შრომისა და გამარჯვების ბრწყინ-  
ვალე მაგალითებს იძლევა. სამწუხაროდ, მორა-  
ლურად ჯანსაღ არმიაში ჯერ კიდევ შემოგვ-  
რჩნენ სულიერად გაცრეცილი, გონებრივად  
დაჩლუნგებული, წარსულის საქლველი ვად-  
მონაშთით დაავადებული ადამიანები, რომლე-  
ბიც ჩრდილს აყენებენ ჩვენი წინაპრების მიერ  
ცეცხლში გამოტარებულ კულტურას. ისინი,  
როგორც სარეველა ბალახი, ფეხებში გვებ-  
ლანდებიან, შრომასა და დასვენებაში ხელს  
გვიშლიან.

ძირითადად ამ მიზეზის გამომწვევია ლოთო-  
ბა. ღვინის გადაჭარბებული სმა დანაშაულს  
იწვევს. ხშირად ქართული სტუმართმოყვარე-  
ობისა და ადამიანური პატივისცემის ტრადი-

ციას ლოთობა ცვლის. მაგარი სასმელით აფო-  
რიაქებული ადამიანი უწმაწურ სიტყვებს ხმა-  
რობს, ადამიანს და საზოგადოებას შეურაცყო-  
ფას აყენებს. ლოთობა ოჯახს ანგრევს და  
თაობის აღზრდას შავ ლაქას ცხებს. მას ყვე-  
ლა საშუალებებით უნდა ვებრძოლოთ.

დანაშაულის გაფრთხილება და აღკვეთა დღეს  
მთელი ჩვენი მოღვაწეობის მთავარი საგანია.  
მართლწესრიგის დარღვევის მოსპობისათვის,  
ადამიანის პოლიტიკური აღზრდისა და იდეუ-  
რი წრთობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა  
აქვს პროპაგანდასა და აგიტაციის. მასების კო-  
მუნისტური აღზრდისათვის უნარიანად უნდა  
გამოვიყენოთ აგრეთვე მთელი კოლექტივის ძა-  
ლა.

ჟურნალის მეორე გვერდი დაეთმო ლიტერა-  
ტურასა და ხელოვნებას.

ქართული თეატრის ისტორიის უახლოეს  
წარსულზე ილაპარაკა საქართველოს სსრ თეატ-  
რალური საზოგადოების თავმჯდომარემ დ. ან-  
თაძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეყამირეთა რაზმის მეთაურმა ი. მახა-  
რაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო იურის-  
ტი — სტუდენტების შრომითი მიღწევები ყა-  
მირზე.

შემდეგი გვერდი სპორტმა დაიკავა. სპორტის-  
ოსტატმა დ. გვანცელაძემ და ნ. ასათიანმა სა-  
ინტერესოდ ილაპარაკეს იურისტი სპორტსმენე-  
ბის წარმატებებზე საერთაშორისო სარბიელზე.

ზეპირი ჟურნალი, რომელმაც მსმენელთა სა-  
ერთო ინტერესი და მოწონება დაიმსახურა,  
დამთავრდა მხატვრული განყოფილებით.

**ა. გაყელიშვილი.**



# ახალი წიგნები

რე იურიდიული ლიტერატურა განიცავს ქართულ ენაზე 1966 წელს

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ხაზით:

**ზ. ახვლედიანი.** საცალო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ახალი ფორმები, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3., ტირაჟი 1.000., სასტამბო თაბახი 3,0., პირველი გამოცემა, ფასი 07 კაპ.

ავტორი განიხილავს საბჭოთა ვაჭრობის ისეთ ფორმებს, როგორცაა თვითმომსახურება, განვადებით გაყიდვა, გასაგზავნი ვაჭრობა, გაყიდვა ავტომატის, ამანათების საშუალებით და სხვ.

**ნ. ღვინია.** ბრძოლა არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4., ტირაჟი 3.000., ნაბეჭდი თაბახი 15,0., პირველი გამოცემა, ფასი 09 კაპ.

მცირეწლოვანთა დანაშაული მოუთმენელი მოვლენაა. ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმულია მთელი საბჭოთა საზოგადოება, ვინაიდან მოზარდი თაობა ჩვენი ზვალინდელი დღე, ჩვენი იმედი და მომავალია. მათზე ზრუნვა ყველა საბჭოთა მოქალაქის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ვალია.

მცირეწლოვანთა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის სკოლებს და არასასკოლო სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებს, პედაგოგებსა და მშობლებს.

ავტორი ხსნის ბავშვთა დანაშაულობის მიზეზებს და იძლევა პრაქტიკულ რჩევებს აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

**ს. ჯორბენაძე.** საბინაო სამართალი და მოქალაქეთა მოვალეობანი, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12., ტირაჟი 2.000., სასტამბო თაბახი 28,0., პირველი გამოცემა, ფასი 38 კაპ.

ჩვენს ქვეყანაში წარმატებით მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა.

ამასთან დაკავშირებით იზრდება საბინაო კანონმდებლობის ზუსტად დაცვის მნიშვნელობა.

იმისათვის რომ არ დაირღვეს მოქმედი კანონმდებლობა, საბინაო ორგანოები და საცხოვრებელი ფართობით მოსარგებლე მილიონობით მობინადრენი უნდა იცნობდნენ ამ კანონს.

ამ წიგნში პირველად არის ქართულ ენაზე ფართოდ ჩამოყალიბებული საბინაო სამართალი და სსრ კავშირის მოქალაქეთა ძირითადი ვალდებულებანი.



**3. კოროტკოვი, მ. გოლდუშტინი.** რა უნდა იცოდნენ მუშებმა და მოსამსახურებმა შრომის კანონმდებლობაზე, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12., ტირაჟი 2.000., სასტამბო თაბახი 28,0, თარგმანი რუსულიდან, 1963 წ., პირველი გამოცემა, ფასი 43 კაპ.

**ზ. მესენგისერი.** ჩანაწერები სასამართლო დარბაზიდან, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7., ტირაჟი 10.000, სასტამბო თაბახი 80,0., პირველი გამოცემა, ფასი 16 კაპ.

წიგნი დაწერილია პოპულარული ენით. იგი აცნობს მკითხველს მოკვლევის, გამოძიების და სასამართლო ორგანოების ბრძოლას სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის, მართლწესრიგის დარღვევის ფაქტების აღმოფხვრისათვის. ნაჩვენებია საზოგადოების როლი საბჭოთა მოქალაქეების კანონიერი უფლების დაცვის საქმეში.

ბროშურა მკითხველთა ფართო წრეებისთვისაა გათვალისწინებული.

**რ. ჰოლოშვილი.** ძიება დამთავრებულია, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9., ტირაჟი 8.000., სასტამბო თაბახი 88,0, პირველი გამოცემა, ფასი 21 კაპ.

ფაქტიურ მასალებზე დაყრდნობით ავტორი წარმტაცი ფორმით მოგვითხრობს რთულ და საინტერესო მუშაობაზე, რომელსაც ახორციელებენ საგამომცემლო და სასამართლო ორგანოები სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევის წინააღმდეგ. წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საზოგადოების ჩაბმას დანაშაულისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების საქმეში.

წიგნი დაინტერესებს მკითხველთა ფართო წრეს.

### გამომცემლობა „მეცნიერებას“ ხაზით:

**მ. ვ. წიკრიძე.** დანაშაულებრივი ქმედობა და შედეგი საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5., ტირაჟი 1000., სასტამბო თაბახი 6. ფასი 35 კაპ.

შრომა თავის ამოცანად ისახავს დადგინოს დანაშაულებრივი ქმედობისა და მისი შედეგის არსი.

**მ. ვ. შაპვლიძე.** აუცილებელი მოგერიება როგორც დანაშაულობასთან საზოგადოების ბრძოლის ერთერთი საშუალება. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9., ტირაჟი 1500, სასტამბო თაბახი 15.000, ფასი 63 კაპ.

შრომაში ნაჩვენებია აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტის გაზრდილი მნიშვნელობა საერთო-სახალხო სახელმწიფოს პირობებში. გარკვეულია აუცილებელი მოგერიების არსი, დადგენილია აუცილებელი მოგერიების კანონზომიერების პირობები; განხილულია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს ჩადენილი დანაშაულის სამართლებრივი შედეგები, გაანალიზებულია აუცილებელი მოგერიების ზოგერთი მომიჯნავე ინსტიტუტი და ა. შ.





**თ. ა. ლილუაშვილი.** სასამართლო ექსპერტიზა საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესში. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8., ტირაჟი 1500.. ნაბეჭდი თაბახი 14.000, რუსულ ენაზე, ფასი 56 კაპ.

შრომაში გაშუქებულია შემდეგი საკითხები: ექსპერტიზის მნიშვნელობა, ექსპერტის მიერ გამორკვეული ფაქტების ხასიათი და იურიდიული ბუნება, ექსპერტის დასკვნის გამოყენება და შეფასება.

**დ. ო. ფურცელაძე** (შემდგენელი. სამოქალაქო კანონმდებლობა, II ტექსტი, ლექსიკონი და საძიებლები, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7., ტირაჟი 1000, სასტამბო თაბახი 8.000, ფასი 55 კაპ.

„სამოქალაქო კანონმდებლობა“ წარმოადგენს მეტად საინტერესო და ამავე დროს თავისებურ მოვლენას XVIII საუკუნის საქართველოს გაშლილ სარეფორმო საქმიანობაში. ისინი ნათლად გვიხატავენ სოციალ-ეკონომიურ და კერძოდ, იმდროინდელ სამართლებრივ ურთიერთობას, ამასთან ცნობილი ხდება, თუ რომელი საკანონმდებლო დონისძიებანი წარმოადგენენ აუცილებელს ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების მოსაწესრიგებლად.



# ბიბლიოგრაფია

ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“  
1965 წელს გამოქვეყნებული მასალების სპიობები

## მედიცინა და სარეაბილიტაციო წერილები

- ლენინის მიერ ნაჩვენები გზით № 2 გვ. 3—4  
საქართველოს სსრ ახალი სამოქალაქო სამართლის კოდექსი № 1 გვ. 3—13  
საქართველოს სსრ ახალი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი № 2 გვ. 5—14  
სოციალისტური სახელმწიფო საწარმო — სახალხო მეურნეობის ძირითადი რგოლი № 5 გვ. 3—9

## სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ისტორია, ადმინისტრაციული, საერთაშორისო სამართალი

- ა. აბესაძე — საჩივრის ინსტიტუტის საკითხისათვის საბჭოთა ადმინისტრაციულ სამართალში № 2 გვ. 23—29
- ა. გეგია — დეპუტატის გაწვევის უფლების შესახებ ბურჟუაზიულ ქვეყნებში № 4 გვ. 48—56
- ვ. ლორია — საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ადმინისტრაციული კომისიების როლის საკითხისათვის № 1 გვ. 25—33
- ვ. სიღამონიძე — ქართული სამართლის ისტორიიდან № 3 გვ. 74—79
- ა. ხოჭოლავა — საურთიერთო პასუხისმგებლობა რუსულ ფედერალურ სამართალში № 6 გვ. 43—52

## სისხლის სამართალი, პროცესი, კრიმინალისტიკა

- კ. ვაჩიშვილი — მოწმის ჩვენების შეფასების ზოგიერთი საკითხი სასამართლო პრაქტიკაში № 3 გვ. 21—29
- ვ. მაყაშვილი — ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის № 4 გვ. 19—27
- ო. მგელაძე — სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება ავტოავარიის საქმეთა გამოძიებისას № 5 გვ. 25—33
- გ. ნადირაძე — სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევის ობიექტი და საგანი № 5 გვ. 18—24

- ა. ფალიაშვილი — სახელმწიფო საქსპერტო დაწესებულებებში ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი პროცესუალური საკითხები № 4 გვ. 28—38
- მ. ფაფიაშვილი — მექრთამეობის საქმეების განხილვის მეთოდის ზოგიერთი საკითხები № 6, გვ. 22—27
- ბ. ხარაზიშვილი — დამამტკიცებელი საბუთების ცნების საკითხისათვის საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში № 6 გვ. 10—21
- თ. შავგულიძე — მოჩვენებითი მოგერიება საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში № 2 გვ. 15—22
- ა. შუშანაშვილი — სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის მომენტის განსაზღვრა და მისი მნიშვნელობა № 5 გვ. 10—17
- თ. წერეთელი — საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც დანაშაულის ცნების აუცილებელი ნიშანი № 1 გვ. 14—24

## სამოქალაქო სამართალი, პროცესი, არბიტრაჟი

- დ. ავერიანი — სსრ კავშირში უცხოეთის არბიტრაჟების გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების საკითხისათვის № 3 გვ. 54—57
- ა. ხოჭოლავა — დაგეგმვა და სამოქალაქო ბრუნვა № 1 გვ. 34—48
- ა. ხოჭოლავა — გარიგების და ადმინისტრაციული აქტების ბათილობის საკითხები № 3 გვ. 30—44
- ს. ჯორბენაძე — აღმოჩენის სამართალი № 5 გვ. 34—44

## კომუნისტური ახალ კანონმდებლობაზე

- გ. დედარიანი — საკომუნისტრო კომლის ზოგიერთი საკითხი ახალი სამოქალაქო კანონმდებლობით № 3 გვ. 58—63
- ლ. ისაკაძე — სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოყენება ავტორის თანხმობის გარეშე № 5 გვ. 45—51
- საბჭოთა გამოგონების საერთაშორისო სამართლებრივი დაცვა № 5 გვ. 62—67





- გ. ყოლბაია — მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ზოგიერთ თავისებურებათა შესახებ № 5 გვ. 52—61
- ზ. ჩიკვაშვილი — მოქალაქეთა უფლება საცხოვრებელ ფართობზე № 4 გვ. 38—47
- ა. უღნტი — სპეკულაციის დანაშაულის შემადგენლობა № 2 გვ. 43—54
- ბ. ჭაფარიძე — მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლება № 5 გვ. 68—71
- ს. ჭაფარიძე — მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება საცხოვრებელ ფართობზე № 6 გვ. 32—37

**სხვადასხვა სტატიები და წერილები**

- ა. მათიაშვილი — კვლავ გიორგი ჭილაშვილის შესახებ № 4 გვ. 57—61
- ვ. მერკვილაძე, ლ. თოიძე — საქართველოს რევოლუციური კომიტეტების როლის მეცნიერული გაშუქებისათვის № 4 გვ. 3—18
- მ. მურცხვალაძე, ვ. მეგრელიშვილი — 48 წელი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრების სადარაჯოზე № 6 გვ. 40—42
- მ. ნანიკიშვილი — ლოგია განაჩენში № 6, გვ. 27—31
- ვ. სიღამონიძე — პეტრე უმიკაშვილი — ექსპერტი № 5 გვ. 84—85
- ვ. პაპიტაშვილი — ომის მრისხანე დღეებში № 3 გვ. 3—7
- ც. შარია — არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედობის მიზეზები № 3 გვ. 45—53
- ზ. უვანია — 1864 წლის სასამართლო რეფორმა № 4 გვ. 72—78

**წინადადებანი ახალი კანონმდებლობისათვის**

- შ. ლეკვეიშვილი — აუცილებელია შეივსოს კანონის ხარვეზი, № 3 გვ. 64—67
- შ. ჩიკვაშვილი — საბინაო სამშენებლო კოოპერატივებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით ასაღები სახლების ღირებულების ანაზღაურების შესახებ № 2 გვ. 55—57

**ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის პრაქტიკა**

- პ. ბერძენიშვილი — განუხრელად დავიცვათ საბჭოთა კანონები № 6, გვ. 3—9
- ო. გველესიანი, ზ. მესხეთელი — საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი საბრალდებო სკამზე № 1 გვ. 49—51

- დ. გიორგაძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პარტიულ-საბჭოთა კონტროლის კომიტეტის ხელშემწყობი ჯგუფის საქმიანობის შესახებ № 3 გვ. 71—73
- შ. გელაშვილი — არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობის შორის დანაშაულის აღკვეთისათვის, № 3 გვ. 68—70
- ა. ტაყიძე — განუხრელად დავიცვათ სოციალისტური კანონიერება № 2 გვ. 58—63

**გამოჩენილი ძარბაველი იურიდიული, ძარბაველი სამართლის ისტორიის მკვლევარი**

ექვთიმე თაყაიშვილი № 1 გვ. 59—65

**პორტრეტები, ნარკვევები, მხატვრული ნაწარმოებები**

- ა. აბესაძე — ვაზის ტირილი № 5 გვ. 79—83
- მ. ვაყელიშვილი — მუღამ შეუწელებელი ენერგიით № 1 გვ. 65—67
- გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი ს. ნ. ბრატუსი № 1 გვ. 75—76
- დ. მ. გენკინი № 2 გვ. 83—85
- ლ. ისაკაძე — მუღამ ძიებაში № 3 გვ. 79—82
- ლ. ისაკაძე — საქმეს იხილავს დავით გიორგაძე, № 6 გვ. 61—63
- დ. ნადირაძე, ლ. ჭანტურია — რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი ქალები № 2 გვ. 64—71
- დ. ნანობაშვილი — შემთხვევა კვაისას გზაზე № 2 გვ. 72—82
- ზ. მესხენისერი — წინ კიდევ საინტერესო გზა № 1 გვ. 68—69
- ნ. ტომანი — უკანასკნელი „კოზირი“ № 4 გვ. 66—79
- ს. ხარაზიშვილი — მოსკოვის მისადგომებიდან ბერლინამდე № 3 გვ. 8—17

**უცხოეთში, საერთაშორისო თემაზე**

- ლ. ალექსიძე — ამომაველი შუის ქვეყანაში № 1 გვ. 54—58
- ვ. მაისურაძე — სტუმრად მომე უნგრეთის იურისტებთან № 6 გვ. 38—39
- რ. სმიტი — პოლიციელები მძარცველთა როლში № 6 გვ. 64—66
- გ. პარდელი — ჯაღოქართა შემლოცველები № 6 გვ. 67—70

**ვატსულის ფურცლები**

- დ. კაკაბაძე — ვიპერის გასამართლება № 1 გვ. 70—71
- თ. შავიშვილი — ჯალათი № 1 გვ. 72—74



**დანაშაულის კვალდაკვალ**

- მ. მირზოევი — ბარბაროსის მსხვერპლი № 1 გვ. 52—53
- ზ. მესხენგისერი — განაჩენი მოყვანილია სისრულეში № 6 გვ. 71—72
- შ. რობაქიძე, ზ. მესხენგისერი — საქმე გაიხსნა 32 წლის შემდეგ № 4 გვ. 62—65

**კრიტიკა და გივლითგრაფია**

- ახალი წიგნები იურიდიულ თემებზე № 6 გვ. 90—93
- ბიბლიოგრაფია № 1 გვ. 94—96
- ბიბლიოგრაფია № 6 გვ. 93—95
- მ. დუმბაძე — მონოგრაფია სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის პრობლემებზე № 2 გვ. 86—92
- გ. თამარაშვილი — ნაშრომი გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს სასამართლო პროცესის შესახებ № 6 გვ. 73—75
- გ. კვარაცხელია — იურიდიული ტერმინოლოგიის გამო № 3 გვ. 85—88
- ბ. როგავა — მონოგრაფია საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვან პრობლემებზე № 3 გვ. 89—92
- ვ. ფარქოსაძე — მონოგრაფია სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემებზე № 4 გვ. 80—84

**ოფიციალური მასალა**

- საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 3, № 3 გვ. 82—84
- საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 6, № 6 გვ. 53—55
- საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 7, № 6 გვ. 55—56
- საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 8, № 6 გვ. 56—58
- საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 9, № 6 გვ. 58—59
- საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 10, № 6 გვ. 59—60

- ინფორმაცია** № 1 გვ. 77—94, № 2 გვ. 93—96
- № 3 გვ. 18—20, გვ. 92—95, № 4 გვ. 85—96, № 5 გვ. 88—96, № 6 გვ. 76—89

**ნაპროლოგი**

- გ. დ. ნაჭყებია № 3 გვ. 96
- დ. ვ. გელაშვილი № 6 გვ. 96



## დ. ვ. გელაშვილი



მიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი დიმიტრი ვარლამის ძე გელაშვილი

დ. ვ. გელაშვილი დაიბადა 1920 წელს, ლაგოდეხის რაიონის სოფელ გურგენიანში, გლეხის ოჯახში. 1938 წელს დაამთავრა ქ. თბილისის პირველი საშუალო სკოლა. 1940 წლიდან 1946 წლამდე საბჭოთა არმიის რიგებშია, მონაწილეობდა ლენინგრადის დაცვასა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების განთავისუფლებაში. დაჯილდოებული იყო მედლებით „მამაცობისათვის“, „ლენინგრადის დაცვისათვის“ და „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, 1944 წლის 20 მაისს მიღებულ იქნა სკკპ წევრად.

1946 წლიდან 1948 წლამდე ეწეოდა სოფლის მეურნეობას თავის სოფელში. 1948 წლიდან 1953 წლამდე მუშაობდა ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარის მოადგილედ, 1953 წლიდან ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებლად, 1963 წლამდე კვლავ გადაყვანილი იქნა სოფლის კოოპერაციაში, ხოლო 1963 წლიდან ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებლად.

დ. ვ. გელაშვილი იყო ენერგიული, შრომისმოყვარე და თავმდაბალი მუშაკი. მთელ თავის ცოდნასა და ენერგიას ანდომებდა სასამართლოს გადაწყვეტილებების სწორად და დროულად აღსრულებას. სასამართლო-პროკურატურის მუშაკებსა და მოსახლეობაში სარგებლობდა კარგა ავტორიტეტით. დ. გელაშვილის სსოვნა დიდხანს იცოცხლებს მის მეგობართა წრეში.

აზხანაგების ჯგუფში.



0-722

3560 50 353.

ИНДЕКС 76185

საქართველოს  
საბჭოთა კავშირი

# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 6

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Юридической комиссии при Совете Министров  
Грузинской ССР